ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 3-4, 2014

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი.არჩვაძე;ა.აბრალავა;ე.ბარათაშვილი;რ.გოგოხია;ვ.დათაშვილი;ზ.ვაშაკიძე;მ.კაკულია;დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); ო. ფაჩულია; დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქავა; მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джабнидзе, Т., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**) Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О., Схиртладзе А., (**Украина**); Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Фачулия О., Чикава Л., Читанава Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE O. FACHULIA; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. JIBUTI; R. JABNIDZE.

თბილისი - 2014

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პროგლემები, პერსპექტივები

ზურაბ ვაშაკიძე, მერაბ კელენჯერიძე, მარიკა დიასამიძე - საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ძირითადი პერსპექტივები ---------- 6
ქეთევან შენგელია - ეკონომიკური რეგულირების სპეციფიკა საქართველოში ---------- 14

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლემები

Лаша Багратиони - Законодательно-правовая база инвестиционной активности в Грузии ---------- 34
ნათია შენგელია - სოციალური ინვესტიციები და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები ---------- 41
ნანა რინკიაშვილი, მაია ალადაშვილი - პირდაპირი ინვესტირება- ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი პირობა ------- 48
ნანული ხიზანიშვილი - თანამედროვე ტენდენციები და ახალი ინიციატივები სტატისტიკის სფეროში ---------- 55

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

დავით ნაჭყებია - ქვეყნის საბანკო მომსახურების ევოლუციური პროცესების თანამედროვე ტენდენციები ---------- 60
ზურაბ ვაშაკიძე, მანუჩარ ჯაგოდნიშვილი - საფინანსო სისტემა ადგილობრივ თვითმმართველობებში ---------- 68

დარგობრივი ეკონომიკა

პაატა კოლუაშვილი, გიორგი ზიბზიბაძე - აქეთ – აყვავება, იქეთ – ხრამი (ქართული სოფლის ბედი) ---------- 77
თამარ ვანიშვილი, თამაზ ხმელიძე - ორგანიზაციული მართვის ეფექტურობა მშენებლობაში ---------- 91

თენგიზ ლაჭყეპიანი, ნინო თევდორაშვილი - სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპები და თავისებურებები ---------- 98

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

თემურ მაისურაძე - ინოვაციური მართვის სისტემის წინააღმდეგობების კვლევის მეთოდები ---------- 108
ნანული ხიზანიშვილი - ლოჯისტიკა-თანამედროვე ბიზნესის განვითარებისათვის ---------- 119
ნანა მაისურაძე - სტრატეგიული დაგეგმვის როლი და მნიშვნელობა კორპორაციის მართვის სისტემაში ---------- 124
თეიმურაზ ტაბატაძე, თეიმურაზ გოგნაძე - ბიზნეს ორგანიზაციებში ახალი თაობის ინტერნეტ პროტოკოლის (IPv6) დანერგვის ტექნიკური და ფინანსური საკითხებისათვის ---- 134
ევგენი ბარათაშვილი, ირმა მახარაშვილი, მანანა მარიდაშვილი - გადაწყვეტილების მიღების თეორია და პრაქტიკა თანამედროვე მენეჯმენტში ---------- 142
თამარ ვანიშვილი - მოტივაციის თანამედროვე თეორიები და მათი შედარებითი დახასიათება ---------- 153
ნათია შენგელია, რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური - "ბიზნეს -ანგელოზები" და „ვენჩურული კაპიტალი" - მცირე ბიზნესში კერძო კაპიტალის ინვესტირების წყარო --------- 161

მსოფლიო ეკონომიკა

მაია ბენია - ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად საქართველოს ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები ---------- 167

მილოცვა

რევაზ შენგელია, გიორგი შუბლაძე - გამოჩენილი მეცნიერი - იუბილარი ---------- 172

ინფორმაცია

რევაზ შენგელია, - სამეცნიერო კონფერენცია ---------- 180

CONTENT

ECONOMIC REFORMS: ANALYZE, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Zurab Vashakidze, Merab Kelenjeridze, Marika Diasamidze - The Main Perspectives of Socio-Economic Development of Georgia -------6

Ketevan Shengelia - The Specifics of Eonomic Regulation in Georgia-- 14

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Lasha Bagrationi – Law - Legal Framework of Investment activity - in Georgia ---------- 34

Natia Shengelia - Social Investments and the Development Perspectives of Tourism---------- 41

Nana Rinkiashvili, Maia Aladashvili - Direct Investment – The Important Precondition of Economic Growth ---------- 48

Nanuli Khizanishvili - The Modern Tendencies and New Initiatives in the Statistics Sphere---------- 55

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

David Nachkebia - The Modern Tendencies for Evolutionary Processes of Bank Service of a Country---------- 60

Zurab Vashakidze, Manuchar Jagodnishvili - Financial System of Local Governments ---------- 68

SECTORAL ECONOMY

Paata Koguashvili, George Zibzibadze - The Fortune of Georgian Village ---------- 77

Tamar Vanishvili, Tamaz Khmelidze - The Effectiveness of Organizational Management in Construction---------- 91

Tengiz Lachkepiani, Nino Tevdorashvili - The Principles and Peculiarities of Formation and Functioning of Food market---------- 98

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Temur Maisuradze - The Research Methods of Contradictions in Innovative Management System ----------108

Nanuli Khizanishvili - Logistics – for the Development of Modern Business ----------119

Nana Maisuradze - The Role and Significance of Strategic Planning for the Corporate Governance System----------124

Teimuraz Tabatadze, Teimuraz Gognadze - For the Technical and Financial Issues of Implementing a New Generation Internet Protocol (IPv6) in Business Organizations----------134

Evgeni Baratashvili, Irma Makharashvili, Manana Maridashvili - Decision-Making Theory and Practice of Modern Management----------142

Tamar Vanishvili - The Modern Theories of Motivation and their Comparative Characterization ----------153

Natia Shengelia, **Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri** - "Business Angels" and "Venture Capital" –The Source of Investment of Private Capital in Small Business ----------161

WORLD ECONOMY

Maia Benia - The Development Possibilities of Georgian Economy as a Result of Signing A European Union Association Agreement --------167

CONGRATULATIONS

Revaz Shengelia, Giorgi Shubladze - An Eminent Scientist-Birthday Anniversary----------172

INFORMATION

Revaz Shengelia - Scientific Conference ----------180

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები პერსპექტივები

საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ძირითადი პერსპექტივები

ზურაბ ვაშაკიძე
სტუ პროფესორი
მერაბ კელენჯერიძე
სტუ ასოცირებული პროფესორი
მარიკა დიასამიძე
სტუ დოქტორანტი

„ძლიერთა დასუსტებით - სუსტს ვერ გაძლიერებ; მდიდრების განადგურებით - სიღარიბეს ვერ დაძლევ; ადამიანებს ვერ მიეხმარები, თუ მათ გასაკეთებელს - შენ გააკეთებ“
აშშ პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი

საქართველო, როგორც ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, 90-ანი წლებიდან მოყოლებული, სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსურ რეფორმათა გატარების რეალობამ მოიცვა, მათ შორის გამოსაყოფია:

ა) არსებულ საწარმოო სტრუქტურებში, საწარმოო მოცულობათა და წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურული მრავალფეროვნების თანდათანობითი შემცირება და მათი დაყვანა მინიმუმამდე ან სრულ შეჩერებამდე.

ბ) არსებულმა ტენდენციებმა გამოიწვია ქვეყნის შიდა და გარე ბაზარზე ტრადიციული მომხმარებლის დაკარგვა, რაც მათი გადახდისუუნარობითაა გამოწვეული.

ვ) სავალდებულო ნედლეულსა და ენერგო რესურსებზე ფასების ზრდა.

გ) ობიექტურმა ვითარებამ გამოიწვია საწარმოო სტრუქტურებში სავალდებულო ტექნოლოგიურ ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობა.

დ) არსებული ადამიანური რესურსის, მეცნიერულ - ტექნიკური ცოდნის დონის, მოძველებული მორალური და ფიზიკური ფაქტორების წინა პლანზე წამოწევა.

ე) სათანადო და სავალდებულო ცოდნის დეფიციტი, რაც მასიური უმუშევრობის წინაპირობაა და რასაც შესაძლოა ორგვარი მიზეზი - ბუნებრივი მიზეზები და ეკონომიკური ცვალებადობა განაპირობებდეს.

შესაბამისად, სტაბილიზაციის დონეზე მყოფი პოსტსაბჭოთა საწარმოები საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში დგანან რესტრუქტურიზაციის წინაშე, რათა მიღწეულ იქნას სოციალურ-სამომხმარებლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ბერკეტები, ეკონომიკის სამი მთავარი პოსტულატის უზრუნველსაყოფად: „ვისთვის ვაწარმოოთ? რა ვაწარმოოთ? როგორ ვაწარმოოთ?“

აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება განაპირობებს პროდუქციის ასორტიმენტის და მოცულობის სტაბილურ ზრდას ხანმოკლე პერიოდში, სოციალურ სფეროში მომხმარებლის მოთხოვნილებათა შესაბამისად. ამ ფაქტორების ზრდა კი ინოვაციური მეწარმეობის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია.

მეწარმეობა, როგორც ეკონომიკური ცნება და ქმედითი პროცესი, ამავდროულად წარმოადგენს „შემოქმედებით პროცესს“, ანუ ქმედების რთულ ჯაჭვს, რასაც საფუძვლად უდევს:

1) სამეწარმეო იდეის ძიება, ჩასახვა, წარმოშობა და მისი რეალური განვითარების შემდგომი ეტაპები;

2) ეკონომიკური ფაქტორების საფუძველზე შესაბამისი სარგებლის მოტანა და შემდგომში მისი სხვა ანალოგიურ სამეწარმეო საქმიანობაში დაბანდება/გამოყენება სოციალურ-ეკონომიკური ანბანური ჭეშმარიტებაა, ანუ „ ფულმა ფული უნდა მოიტანოს“!

3) სამეწარმეო იდეის რეალური და პრაქტიკული გადაწყვეტილება ბევრადაა დამოკიდებული მის შემსრულებელზე, ანუ ადამიანური რესურსის პოტენციალზე;

4) არარეკომენდირებულია ადამიანური რესურსის გამოყენება მხოლოდ ერთ სამეწარმეო საქმიანობაში და სავალდებულოა ახალი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება;

5) სამეწარმეო საქმიანობაში დაბანდებული ფინანსური სახსრების მიზანმიმართულობა უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს წარმოების ყველა ეტაპზე;

6) „მორალურად მოძველებული ცოდნის" განახლება და პროფესიონალური ზრდა, ასევე წარმოადგენს წამყვან ფაქტორს „გლობალიზაციის პროცესში";

7) „მორალურად მოძველებული ცოდნის" ზრდის ტენდენცია სახელმწიფოსაგან მოითხოვს ქვეყნის მმართველობითი ორგანული სტრუქტურების, მსოფლიო/ევროპული სტანდარტების შესაბამისი ახალი ფორმირებითი მოღვაწეობის, მოთხოვნილებებისა და განვითარების გზაზე უცილობელ გადასვლას.

საქართველოს პერსპექტიული და პოტენციური განვითარება ბევრადაა დამოკიდებული დიფერენცირებული ქვეყნების რეიტინგში მის ადგილზე.

საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის ცნობილია თავისი:

ა) გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობით - აზიისა და ევროპის გეოგრაფიულ გასაყართან;

ბ) სოფლის მეურნეობის- აგრარულ ქვეყნად, რაც მას ანიჭებს სათანადო რეიტინგს ამ მიმართულებით.

ვ) ადამიანური რესურსის პოტენციალი, რაც დაფუძნებულია ქართული ერის ინტელექტუალურ პოტენციალზე. ამას მსოფლიოში მრავალი მაგალითი იძლევა (დღევანდელ რუსეთში არსებული რიგი ქართველების პოტენციალურ-ინტელექტუალურ-ორგანიზაციული ქმედითობა, გამოიხატება მათი რეიტინგის „სუპერ ახალი რუსების/СВЕРХНОВЫЕ

РУССКИЕ" რანგში გადასვლაში, რაც პრაქტიკულად გამოიხატება - 15 000 § დღიურ შემოსავალში. დღევანდელ ევროპულ რიგ ქვეყანებში - არსებულ სამეცნიერო წამყვან სტრუქტურებში, საკმაოდ დიდ დონეზეა წარმოჩენილი, ქართველ მეცნიერთა პლეადა, მაგალითად, მრავლისმთქმელია ავსტრიის ქ. ზალცბურგში - ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიაში: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ბ-ნი გიორგი კვესიტაძის არჩევა - ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის სრულ და ექსკლუზიურ წევრად - საბუნისმეტყველო მეცნიერების სფეროში.) ინტელექტუალური პოტენციალური მაჩვენებლები და რეიტინგული მონაცემები, მსოფლიო ქვეყნების დიფერენცირებული მაჩვენებლებში აღნიშნული პარამეტრებით - საქართველოს პოზიცია, პრეტენზიას აცხადებს მე-3-5 ადგილზე - (ინფორმაციის წყარო: J.W.MELLOR, B.F.JOHNSTON " THE ROLE OF AGRICULTURAL IN ECONOMIC DEVELOPMENT". American Economic Reviw, vol 103, no 3, 666-93).

გასულ საუკუნეებში საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და მიმართულება განისაზღვრებოდა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, მოსახლეობის მიერ სასურველი ეკონომიკური მიმდინარეობა კი სასოფლო-სამეურნეო-აგრარული საქმიანობით, რაც განპირობებული იყო ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ნაყოფიერი მიწით და საქართველოსათვის დამახასიათებელი ისეთი პარამეტრებით, როგორიცაა:

- ქვეყნად არსებული წყლის მარაგების მრავალფეროვნება და ოდენობა;
- ქვეყნად წარმოებული ხილის მრავალფეროვნება და მაღალი ხარისხი;
- ქვეყნად წარმოებული ბოსტნეულის მრავალფეროვნება და მაღალი ხარისხი;
- მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მრავალფეროვნება, მაღალი ხარისხი და შესაბამისი ოდენობა;

- ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის მრავალფეროვნება;
- პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისა და მთელი ევროპულ-ამერიკული კონტინენტებისათვის მეტად მისაღები ეკონომიკური პოსტულატის უზრუნველყოფაა აბრეშუმი, რომლის განვითარების ყველა წინაპირობას საქართველოს გეოგრაფიული განლაგება იძლეოდა/იძლევა;
- საქართველო ისტორიულად იყო პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ინდუსტრიული სახელმწიფო და დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რაც ბუნებრივად ითხოვდა მეტად მრავალფეროვან და სხვადასხვა მიმართულებით მომსახურე პერსონალს. საქართველოში ტრადიციულად არსებობდა და დღესაც არსებობს ადამიანური რესურსი, სათანადო ინტელექტუალური პოტენციალით;
- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე სავალდებულოა შესაბამისი საწარმოო ინდუსტრიული პოტენციალის განვითარება.

თუ დღეის მდგომარეობით განვითარებული ქვეყნები დამაჯერებლად გადადიან განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპზე - ინოვაციურზე, ეს ნიშნავს, რომ ინდუსტრიულ სიახლეთა გამოყენების პროცესი ხორციელდება გააზრებულად, მიზანმიმართულად, დასაბუთებულად და ეკონომიკურად სრულყოფილად.

ინოვაციური განვითარება - საზოგადოებაში განიხილება, როგორც კაცობრიობის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების მთავარი ინსტრუმენტი.

ტერმინი ინოვაცია ახალი ეკონომიკური კატეგორიაა და სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა XX საუკუნის დასაწყისში, ავსტრიელი მეცნიერის, ი. შუმპეტერის ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“, სადაც განხილული იყო ინდუსტრიულ განვითარებაში სათანადო ცვლილებების შეტანა, ანუ ინოვაცია, რის გამოც მანვე გამოკვეთა საკითხები, რომელთა გარეშეც ინოვაცია არასრულყოფილია ან სრულად

არ შეესაბამება მის მიერვე გამოთქმულ დაუწერელ კანონს: „განვითარების გარეშე არ არის მოგება, მოგების გარეშე არ არის - განვითარება“.

ინოვაციური განვითარების ძირითადი და სავალდებულო ცვლილებების ნუსხა:

- ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიური პროცესების ან წარმოების ახალი, საბაზრო უზრუნველყოფის გამოყენება.
- ახალ თვისებათა მქონე პროდუქციის დანერგვა.
- ახალი ნედლეულის გამოყენება საწარმოო პროცესში.
- ცვლილებები წარმოების ორგანიზაციასა და მის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში.
- გასაღების ახალი ბაზრების ძიება და პოვნა.

ჩამოთვლილ ინოვაციურ ინდუსტრიულ ვალდებულებათა გარდა ინოვაციური განვითარების სამი საბაზო სავალდებულო მოდელი იკვეთება:

1) „ტრადიციული მოდელი“ ანუ სრული საინოვაციო ციკლი, რაც ითვალისწინებს: იდეის ჩასახვა-ფორმირებიდან მზა პროდუქციის, მასიურ წარმოების ეტაპამდე მისვლას. ასეთი ინოვაციური მიმდინარეობის მიმდევრებად, საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკაში ითვლება: აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია. ეს მოდელი ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიური პროდუქციის საექსპორტო მიწოდებაზე.

2) „ორიენტირებული მოდელი“ - მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოება საგარეო ბაზრისათვის. ასეთი ინოვაციური მიმდინარეობის მიმდევრებად საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკაში ითვლება: იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ჩინეთი და სხვა, რომლებიც წარმოებაში იყენებენ „ტრადიციული მოდელის'' ქვეყნების ტექნოლოგიურ მიღწევებს.

3) „ალტერნატიული მოდელი“ - ამ შემთხვევაში, საინოვაციო პოლიტიკა მიმართულია არა ახალი ტექნოლოგიების შექმნაზე, არამედ მის გამოყენებასა და გავრცელებაზე ეკონომიკის სხვადასხვა მიმდინარეობათა სფეროებში, როგორიცაა:

3.1. ეკონიმიკის მენეჯმენტი;

3.2. სამომხმარებლო სოციოლოგიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილება;

3.3. შრომითი ფსიქოლოგიურ სისტემაში - ადამიანის ფაქტორზე ორიენტირება;

3.4. ადამიანური რესურსისათვის - სათანადო/თანამედროვე, მოთხოვნად განათლებაზე ორიენტირება;

3.5. საფინანსო და საბანკო მოღვაწეობის სფეროში - საკადრო მომზადება, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ეფუძნება მომსახურებისა და საინფორმაციო სექტორებს, ხოლო კონკურენტული წარმატების მისაღწევად სავალდებულოდაცაა მიჩნეული-ახალი თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისი ცოდნის ინოვაცია.

სწორედ ასეთი მიდგომა განაპირობებს ყოველი ქვეყნის წინაშე მდგომ სავალდებულო გადასაწყვეტ პრობლემას - ცოდნის შექმნისა და მისი ეფექტურად მართვის სტრატეგიულ ამოცანათა გადაწყვეტას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის {(ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო), ОРГАНИЗАЦИЯ ЭКОНОМИЧЕСКОГО СОТРУДНИЧЕСТВА И РАЗВИТИЯ (ОЭСР)} - მიხედვით, წარმატებული ეკონომიკის მართვა, ეყრდნობა ინოვაციური მოღვაწეობის ოთხ წამყვან წყაროს:

1. სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის სავალდებულო დონე;

2. ინოვაცია - შემქმნელთა და მომხამარებელთა შორის ურთიერთქმედება, ინოვაციურ ქმედებათა სტიმულირება;

3. კოორდინირებული სისტემის ფარგლებში შესაბამისი მოღვაწეობისათვის, ინოვაციათა დეცენტრალიზებული სტრუქტურის ამოქმედება;

4. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიათა ფართე გამოყენებითობა, მ.შ. მომსახურე პერსონალის განათლების დონის ასამაღლებლად.

ამასთანავე, ეკონომიკაში გამოიყოფა ის მრავალფაქტორული ანალიზის მახასიათებლები, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ ეკოსისტემას:



THE MAIN PERSPECTIVES OF SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

Zurab Vashakidze, GTU Professor
Merab Kelenjeridze, GTU Associate Professor
Marika Diasamidze, Doctoral Student of GTU

S u m m a r y

The main goal of the thesis is to portray the importance of professional training of the technical-engineering staff. It is necessary for the perspective development of the country, which means to create an innovative ecosystem.

ეკონომიკური რეგულირების სპეციფიკა საქართველოში

ქეთევან შენგელია,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სეუ-ს ასოცირებული პროფესორი.

ერთ-ერთი უდიდესი დილემა, რომელიც ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს მთავრობის და, საერთოდ, საზოგადოების წინაშე დგას, არის ის, თუ როგორი უნდა იყოს თანაფარდობა ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ თანასწორობას შორის. ტოტალური თავისუფლების დროს (თუ არაა არავითარი შეზღუდვა) ცალკეულ პირთა თავისუფლება ეწინააღმდეგება სხვათა თავისუფლებას. ეს კონფლიქტი შეიძლება გადაჭრას მხოლოდ მაღალტექნოლოგიურმა რეგულირებულმა საბაზრო ეკონომიკამ.

ამიტომაც თანამედროვე ბაზარი განიხილება, როგორც სოციალურად ორიენტირებული, ეფექტურად რეგულირებადი. სახელმწიფოს აქტიური მარეგულირებელი როლის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს ეფექტური, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე დაფუძნებული, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა. მსგავსი მაგალითები მსოფლიოს დღეისათვის არ გააჩნია. სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები, ფორმები, მეთოდები და მექანიზმი უცვლელი არაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს რჩება ისეთი კლასიკური ფუნქციები, როგორიცაა: საკუთრების უფლების დაცვა, მეწარმეობის არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფა, საქმიანი აქტიურობის სტიმულირება და მონოპოლიურ ტენდენციებთან ბრძოლა, სამეურნეო სფეროში კანონიერებისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, ფულის ბრუნვის რეგულირება, ეროვნული ვალუტის მდგრადობის უზრუნველყოფა, შრომასა და კაპიტალს, მეწარმესა და დაქირავებულ მუშათა შორის ურთიერთობათა რეგულირება, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის

კონტროლი, საბაჟო სისტემის რეგულირება, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა. შ.

XX საუკუნის 30-იანი წლებში, ცივლიზებულ ქვეყნებში მიმდინარე მძლავრი ეკონომიკური რყევის შემდეგ, ჯ. მ. კეინზმა საზოგადოებას საკუთარი თეორია წარუდგინა, სადაც მან მთლიანად უარყო სახელმწიფოს შესახებ კლასიკოსების შეხედულებები. მისი მოსაზრებების სათავეებთან გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსები იდგნენ, პირველ რიგში: ი. გ. ფიხტე, სამეურნეო კუთხით კი, გერმანელი კამერალისტები კ. იუსტი, ა. ზენერფელდე, ასევე აღსანიშნავია ფ. ლისტი და ჟ. სისმონდი. კეინზის თეორიას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „კრიზისული“, რადგან იგი ეკონომიკას დეპრესიულ მდგომარეობაში განიხილავს. მისი თეორიის მიხედვით, სახელმწიფო აქტიურად უნდა ერეოდეს ეკონომიკურ პროცესებში, ამის მიზეზი თავისუფალი ბაზარია, რომელსაც ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისთვის რეალური მექანიზმები არ გააჩნია. კეინზი თვლიდა, რომ სახელმწიფო ერთობლივი მოთხოვნის ზრდისათვის უნდა ზემოქმედებდეს ბაზარზე, რადგან საბაზრო ეკონომიკის კრიზისის მთავარი მიზეზი საქონელთა ჭარბი წარმოებაა. ხოლო 70-იან წლებში, როცა კვლავწარმოების პირობები მკვეთრად გაუარესდა, უ. ფილიპსმა აღნიშნა, რომ, არ შეიძლება ერთდროულად ადგილი ჰქონდეს ინფლაციასაც და დასაქმების ზრდასაც, ეს წინააღმდეგობრივი პროცესია, მაშასადამე, კრიზისიდან გამოსვლის კეინზური გზა არ არის სრულყოფილი, ზოგიერთ შემთხვევაში იგი კიდევ უფრო ამწვავებდა ეკონომიკურ პრობლემებს, ხოლო ეკონომიკური რყევა უფრო მწვავეს ხდის სოციალურ პრობლემებს, რამაც თავისთავად მოითხოვა კეინზური მოდელის შეცვლის აუცილებლობა.

ნეოკლასიკური თეორია უფრო პროგრესულია, თუმცა წინააღმდეგობრივია, რადგან ამ დროს გადაუჭრელ პრობლემად იქცევა მაღალი საგადასახადო განაკვეთი და ინფლაცია. მაღალი გადასახადები ზღუდავენ კაპიტალდაბანდებების ზრდას, ხოლო ინფლაცია აძვირებს ფულს და ამით ართულებს სასესხო

სახსრების დაგროვებას. ამიტომ ნეოკონსერვატორებმა ანტიინ-ფლაციური ღონისძიებების განხორციელება დაიწყეს (მონეტა-რისტების რეკომენდაციების ბაზაზე), ხოლო შემდეგი ნაბიჯი მეწარმეებისათვის საგადასახადო შეღავათები იყო.

დღესდღეისობით პრაქტიკულად ყველა ეკონომისტი იზი-არებს, რომ სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს სოციალ-ეკ-ონომიკურ პრობლემებს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ საბოლოოდ როგორ და რა ფორმით უნდა ხორციელდებოდეს ეს პრობლემა დღესაც სადავოა.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემე-ბი მსოფლიოს სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომად-გენლების მიერ არის გაანალიზებული. საგანგებო ყურადღებას იპყრობენ თანამედროვე ეკონომისტები, მათ შორის გამოირჩე-ვიან, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ე. ფელპსი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ებენსტაინი, კო-ლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი რ. მანდელი და მრავა-ლი სხვა. უამრავი მათი ყოფილი სტუდენტი დღეს უკვე ცნობი-ლი ეკონომისტია. მრავალი მათგანი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოღვაწეობენ და მიმდინარე სოციალ–ეკონომიკური რეფორმების ავტორები არიან. შეიძლება ითქვას, რომ რ. მან-დელისა და ვ. ებენსტაინის გრძელვადიანი ეკონომიკური მო-დელები და პროგნოზები სულ უფრო და უფრო რელევანტური გახდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, აქტიურად გა-მოიყენება ეკონომიკის სტაბილიზაციის, ფულად-საკრედიტო, მონეტარული პოლიტიკის მართვასა და საუნივერსიტეტო სფე-როშიც. საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე აქტუალ-ურია რ. მანდელის მოსაზრება, რომ „კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების პირობებში, მონეტარული პოლიტიკის გამო-ყენება შესაძლებელია საგარეო პოლიტიკის მიზნით (სავალუტი კურსი და ა.შ.), ან შიდა მიზნით (ინფლაცია, წარმოების ზრდა და ა.შ.), მაგრამ არა ორივე მიზნისათვის ერთდროულად...“[1]

1 Манделл Р. А. - Денежная теория: процент, инфляция и рост в мировой экономике. Мировая экономика. 1975. С. 277)

(ცხრილი №1)[1]

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

	2008	2009	2010	2011	2012	I 13*	II 13*	III 13*
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	19074.9	17986.0	20743.4	24344.0	26167.3	5780.9	6532.3	837.3
მშპ მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი	12491.4	12019.7	12771.3	13687.5	14533.6	3164.0	3728.5	3897.8
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება	2.3	-3.8	6.3	7.2	6.2	2.4	1.5	1.4
მშპ დეფლატორი, პროცენტული ცვლილება	9.7	-2.0	8.5	9.5	1.2	-0.4	-0.7	-1.1
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	4352.9	4101.3	4675.7	5447.1	5818.1	1289.3	1456.9	1524.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	2921.1	2455.2	2623.0	3230.7	3523.4	777.8	882.8	918.9
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. აშშ დოლარი	12800.5	10767.1	1166.5	14438.5	15846.8	3486.4	3958.4	4120.3

განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა მრავალი შეცდომა, რო-მელთა გამოსწორება უნდა მოხდეს სახელმწიფოს აქტიური ჩა-რევით. მთავრობა დღეს ყველა ღონეს მიმართავს ხარვეზების გამოსწორებისათვის, იქმნება პროგრამები, რომელიც მიმართუ-ლია სიღარიბის დაძლევისათვის, ამ მიმართებით აღსანიშნავია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშემწყო-ბი პირობების შექმნა, ხელმისაწვდომი კრედიტის გამოყოფა ამ სფეროების განვითარებისათვის. იქმნება სპეციალური პროგრა-მები ინვესტიციების მოზიდვისათვის, რაც ჩვენი აზრით ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

1 http://www.geostat.ge

* დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2014 წლის 15 ნოემბერს

ეკონომიკის სიჯანსაღის ობიექტური მაჩვენებელია მშპ და მი სი ზრდის ტემპი. (ცხრილი№1) გვიჩვენებს მშპ-დინამიკას 2008-2013 წლებში.

ამ მონაცემებით ჩანს, რომ 2013 წელს შეიმჩნევა მშპ-ს კლება 2012 წელთან შედარებით.

ეკონომიკის სიჯანსაღის ობიექტური მაჩვენებელია ასევე საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა. საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერ ქვეყანაში, სახელმწიფო ექსპორტსა და იმპორტზე ზემოქმედებით, სისტემატიურად ახორციელებს საგადასახდელო ბალანსის ოპერატიულ და სტრატეგიულ რეგულირებას. ამავე მიზნით იგი არეგულირებს ქვეყნის ვალუტის კურსის ზრდასა და კლებას, კაპიტალის მოძრაობას, მონაწილეობს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში და სხვ.

(ცხრილი №2) [1]

საგარეო ვაჭრობა (მლნ. აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	7797	5634	6935	9247	10220	10784
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1232	1495	1134	1677	2189	2377	2909
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	5212	6302	4500	5257	7058	7842	7874
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3980	-4806	-3367	-3580	-4869	-5465	-4965

1 www.geostat.ge

როგორც ვხედავთ, ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა იზრდება წლების მიხედვით, თუმცა საგარეო ვაჭრობის სალდო მუდმივად უარყოფითია.

ამდენად, წლების განმავლობაში უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსისა და შესაბამისად მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის, ასევე საბიუჯეტო პრობლემების და საგარეო ვალების მართვის საკითხებში დაშვებული შეცდომების გამო, ქვეყანას მნიშვნელოვანი უცხოური ვალდებულებები დაუგროვდა. 2007 წლის 31 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობამ 4 236 მლნ. ლარს შეადგენდა. ხოლო 2012 წლისათვის 6,617.2 მლნ. ლარი შეადგინა. [1]

ქვეყნის საფინანსო მდგომარეობა ხასიათდება ასევე შემდეგი მაჩვენებლებით: ინვესტირების მოცულობა; ძირითადი კაპიტალის განახლების ტემპები;. შრომის ანაზღაურების ზრდის კოეფიციენტი; მოსახლეობის ცხოვრების დონე; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი.

ცხრილი №3 გვიჩვენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრ კლებას 2013 წელს წინა წლებთან შადარებით. მან შადგენა 697.3 მლნ. აშშ. დოლარი, რაც 214,3 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია 2012 წელთან შედარებით და 419,9 აშშ დოლარით ნაკლებია 2011 წელთან შდარებით. (ეს ერთ–ერთი მიზეზია დოლარების მკვეთრი შემცირებისა მიმდინარე წლისათვის).

საფინანსო პოლიტიკას ერწყმის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. რომლის ძირითადი მიზანი საფინანსო სტაბილურობაა. საფინანსო სტაბილიზაციის ამოცანებია: სტაბილური ფასები. განვითარებულ ქვეყნებში ინფლაცია დაახლოებით 1,8%-ს უდრის; ბიუჯეტის დეფიციტი არა უმეტეს ეეპ-ის 2-3%-ისა; სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 60%-ს; უნდა ხდებოდეს თანმიმდევრული გადასვლა აღმავლობისაკენ.

სახელმწიფო რეგულირების მასშტაბები, მისი კონკრეტული ფორმები და მეთოდები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება. ისინი გვიჩვენებენ ქვეყნის ისტორიას, ტრადიციებს, ეროვნული

1 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.gov.ge

(ცხრილი №3)[1]

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1 190.4	146.0	306.9	280.7	456.7
2007	2 014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114.0	177.2	173.2	194.0
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1 117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199.0	233.7
2013*	697.3	226.2	232.4	238.7	

1 http://www.geostat.ge

კულტურის ტიპს, მის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, მასშტაბს და სხვა მრავალ ფაქტორს. ჩვენ ვერ გამოვიყენებთ მზა სქემებს, რადგან ამოცანა შემოქმედებითია, და გაჩენილ კითხვებზე პასუხების საგულდაგულო მოძიებას საჭიროებს.

ვერ გავიზიარებთ იმ ეკონომისტების მოსაზრებას, რომლებიც აბსოლუტის დონეზე ადიდებენ ბაზრის როლს და ამცირებენ სახელმწიფოს შესაძლებლობებს. ამასთანავე არ არიან კორექტულნი ისინიც, ვინც ადიდებენ თანამედროვე სახელმწიფოს შესაძლებლობებს და არ ცნობენ საბაზრო თვითრეგულირების, სტიმულირების და ა.შ. როლს. ვფიქრობთ უფრო მართებული იქნება მოვძებნოთ ამ ორ მოვლენას შორის ზუსტი ურთიერთკავშირი ე.წ. ოქროს შუალედი და ეს შეხედულებები ერთმანეთთან დავაკავშიროთ და გამოვყოთ დადებითი მხარეები.

დღეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ხელ-

მძღვანელობას ალბათ კარგად აქვს გააზრებული არსებული ვითარება და ის, შეძლებისდაგვარად, ეძებს გამოსავალს. ამასთან, მხოლოდ მაკროეკონომიკური ღონისძიებანი აშკარად არასაკმარისია, ვინაიდან, ქვეყანას არა აქვს სრულყოფილად შემუშავებული და გათვითცნობიერებული საკუთარი ეკონომიკური პრიორიტეტები.

დღევანდელი დღისათვის სახელმწიფო დიდ მიღწევად ასახელებს ინფლაციის ტემპის დაქვეითებას. მაგრამ „დაბალი“ ინფლაცია გადასული ღია ფორმიდან დაფარულში და გარეგანი კეთილდღეობა, რომელიც ჩანს სამომხმარებლო ბაზარზე, სრულად კომპენსირებულია ხელფასების და პენსიათა სიმცირით.

ეკონომიკური პოლიტიკა კორექციას საჭიროებს, მაგრამ შეუძლებელია ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ მონეტარული მეთოდებით. აუცილებელია არა მარტო მოთხოვნის სტიმულირება, არამედ, საჭიროა მიწოდების მოცულობის გაზრდა, სავაჭრო რესურსების დაგროვება. ეს ასევე განეკუთვნება სახელმწიფოს ფუნქციათა რიცხვს. საჭიროა გამოცოცხლდეს სამამულო წარმოება, შეივსოს ვაჭრობის მარაგი მსუბუქი მრეწველობის სამამულო პროდუქციით, კვების პროდუქტებით.

რაც შეეხება სახელმწიფოს ზოგად დავალიანებას, მდგომარეობა აქ საკმაოდ სახიფათოდ გამოიყურება. ერთობლიობაში საგარეო და შიგა ვალის სიდიდე უახლოვდება კრიტიკულ ნიშნულს მშპ-ს 60%. მას ჩვეულებრივ ქვეყნის ბანკროტად გამოცხადება მოსდევს. ძალზედ მნიშვნელოვანია არ გადავცდეთ ამ ზღვარს. აუცილებელია რაიმე გადაწყვეტილების მოძებნა, კერძოდ, ვალების რესტრუქტურიზაციის განხორციელება, რაც მთავარია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რადგან მშპ-ს გაზრდილი მოცულობისას მცირდება დავალიანების წილი.

აუცილებელია ყველა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მტკიცე საკანონმდებლო რეგულირება, ურთიერთშემავსებელი, და არა ერთმანეთის საწინააღმდეგო კანონების მთელი სისტემის ფორმირება, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ეკონომიკური რეგულირების თავისებურ „თამაშის წესებს“.

აუცილებელია შრომის ანაზღაურების დონის შესაფერის სიმაღლემდე გაზრდა. დღეს ძალიან ღრმაა დიფერენციაცია ტოპ მენეჯერებსა და უბრალო თანამშრომლებს შორის. ამ პრობლემაზე მიუთითებენ როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე კერძო სექტორშიც. ამის საფუძველზე გავატაროთ რეფორმები საცხოვრებელ-კომუნალურ სფეროში. სახელმწიფომ მსხვილი გადამხდელებისაგან გადასახადების აკრეფის უუნარობის ტვირთი არ უნდა გადაიტანოს ხალხზე.

პოსტსაბჭოთა სივრცეში და კერძოდ საქართველოში შრომის გაუფასურების ტენდენციის ერთგვარი მიჩუმათება ახასიათებთ, როგორც დემოკრატ მონეტარისტებს, ისე სოციალისტებს, ასევე მათ შორის მოდრეიფე იდეოლოგებსაც. მონეტარისტებს არ აწყობთ ამის აღიარება.

საქართველოში წარმოების დაბალი დონე და მასზე უარესი ინფრასტრუქტურაა. თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია ვიამაყოთ განათლების დონით და კვლევითი ცენტრების სისტემაში დახვეწილი კადრებით. თანამედროვე მონეტარისტის თვალსაზრისიდან, ახალი მსოფლიო წესრიგის ფილოსოფიიდან და გლობალური შრომის განაწილების პოზიციიდან გამომდინარე საქართველომ ის უნდა აკეთოს, რაც ყველაზე უკეთ გამოუვა.

რა მივიღეთ რეფორმებით? დაიხურა არამომგებიანი საწარმოები, და ამ გზით მიღებული სახსრებით განვითარდა ინფრასტრუქტურა. დაახლოებით ასეთი შინაარსის და თანმიმდევრობის იყო რეფორმათა უმრავლესობა. ვიღებთ ქვეყანას რომლის ეკონომიკაც მასზე აღარაა დამოკიდებული. თუკი გავიხსენებთ სიტყვა ეკონომიკის წარმომავლობას, წარმოვიდგენთ ოჯახს, რომლის მეურნეობის გაძღოლა მასზე არაა დამოკიდებული?!

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალიან გრძელ ჩიხთან. ამასთან, ნიშანდობლივია შემდეგი ფაქტიც: XXI საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა მორიგი მოხსენება მსოფლიო განვითარების შესახებ, რომელიც სპეციალურად ეძღვნება სახელმწიფოს როლს მსოფლიო განვითარებაში. ფაქტია, რომ ათწლეულების განმავლობაში თეორიული გამოკვლევებით თუ პრაქ-

ტიკული საქმიანობით ეს ორგანიზაცია ყველას დარწმუნებას ცდილობდა სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მიუღებლობის შესახებ, ამჟამად კი გამოდის სახელმწიფოს როლის მინიმიზაციის ლიბერალური კონცეფციის წინააღმდეგ და მოყავს არგუმენტები ე.წ. ,,ეფექტიანი სახელმწიფოს“ აუცილებლობის დასაბუთების მიზნით. ამით იგი დაუპირისპირდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიციას, თუმცა სსფ-ის მკაცრი ნეოლიბერალური მიდგომა ნელ-ნელა უახლოვდება მსოფლიო ბანკის კონცეპტუალურ მოხსენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ XXI საუკუნეში აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, იტალიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში საპარლამენტო არჩევნების მსვლელობამ დაადასტურა, რომ მსოფლიოში მცირდება ტრადიციულად კონსერვატორულ და ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებს შორის არსებული ზღვარი, განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების საკითხებში. განსხვავება დასახული პრიორიტეტების, მიზნების მიღწევის კონკრეტული მეთოდების სფეროშია.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შესახებ გამოიკვეთა რამოდენიმე მიმართულება, რომელსაც მცირეოდენი შენიშვნებით აღიარებს ეკონომიკური ზრდის ყველა ძირითადი მიმართულება. მათ შორისაა: ფულის ემისია და ფულადი სისტემის რეგულირება; საბაზრო ურთიერთობების, მათ შორის კერძო საკუთრებისა და მომხმარებელთა უფლებების საკანონმდებლო ბაზის შექმნა და მხარდაჭერა; კონკურენტული გარემოს მხარდაჭერა და ეკონომიკის მონოპოლიზაციის აკრძალვა; საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება, მათ შორის განათლების, ფუნდამენტური მეცნიერების, გარემოს დაცვის, თავდაცვის და ა.შ. სფეროებში საბაზრო საქმიანობის უარყოფითი ეფექტების მინიმიზაცია; საზოგადოებაში მაღალი სოციალური დიფერენციაციის დაძლევა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა.

ასევე, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციადაა აღიარებული ეკონომიკის შემდგომი სტაბილიზაციის, ზრდისათ-

ვის ხელშეწყობა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით; წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობა, ინოვაციური საქმიანობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერით.

რაც შეეხება განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს, ისინი მსოფლიო ბანკის და სსფ-ს საწინააღმდეგოდ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, მაგრამ აქ აც გარკვეული ზომით. ამ ქვეყნებისთვის სასიცოცხლოდ აქტუალურია ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და სტრუქტურული გარდაქმნები, რისი განხორციელებაც სახელმწიფოს აქტიური როლის გარეშე შეუძლებელია. ამას ადასტურებს ე.წ. ,,აზიური მოდელის" ფუნქციონირების შედეგები. აზიის მრავალი ჩამორჩენილი ქვეყანა, სახელმწიფოს აქტიური და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, მეურნეობაში ჩარევის საფუძველზე განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანად იქცა. ნიშანდობლივია სამხრეთი კორეის, მალაიზიის, ტაივანის და სხვათა მაგალითები.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო რეგულირება არ გამორიცხავს თვითრეგულირების მექანიზმთა მოქმედებას, არამედ, მოწოდებულია შეავსოს და შეასწოროს მათი მოქმედება ისეთი სახით, რომ ეკონომიკაში დაცული იყოს სახელმწიფოს, მოსახლეობისა და მეურნეობის სუბიექტთა ინტერესების ბალანსი. როგორც თვითრეგულირება, ასევე სახელმწიფო რეგულირება და მართვა ხორციელდება პირდაპირი (ადმინისტრაციული) და არაპირდაპირი (ეკონომიკური) მეთოდებით.

საბაზრო და გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საბაზრო ეკონომიკაში დომინირებს ეკონომიკური და არა ადმინისტრაციული რეგულატორები. საფინანსო-საკრედიტო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო რეგულატორების საფინანსო და ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტარიების მდიდარ არსენალს.

საწარმოო პროცესზე ზემოქმედებისათვის ფინანსების გა-

მოყენების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, ამასთან როგორც მისი შემოსავლების (საგადასახადო რეგულირება), ასევე სახელმწიფო დანახარჯების სისტემა (რეგულირება პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსებისა და სახელმწიფო შეკვეთების და შესყიდვების გამოყენების გზით), ამასთანავე, სოციალურ პოლიტიკაში მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტ გარეშე ფონდებს. ამ რეგულატორების გამოყენებას ორი მხარე გააჩნია:

1. დისკრეციული საფინანსო პოლიტიკა, ითვალისწინებს გადასახადებით და სახელმწიფო დანახარჯებით შეგნებულ მანიპულირებას ეროვნული წარმოების და დასაქმების რეალური მოცულობის შეცვლის, ინფლაციის კონტროლისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით.

2. ავტომატური საფინანსო პოლიტიკა ეფუძნება ჩაშენებული სტაბილიზატორების მოქმედებას. მაკკონელისა და ბრიუს, გრეგორი მენქიუს ,,ეკონომიკის "-ს განსაზღვრების თანახმად ჩაშენებული სტაბილიზატორი წარმოადგენს ნებისმიერი სახის ღონისძიებას, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდის ტენდენცია გააჩნია ვარდნის პერიოდში და მისი დადებითი სალდოს მომატება ინფლაციის პერიოდში, პოლიტიკოსთა მხრიდან რაიმე სპეციალური ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის გარეშე. მაგალითად სუფთა დაბეგვრის პროგრესული შკალის დახმარებით მას მივყევართ გადასახადების შეცვლისაკენ პირდაპირ დამოკიდებულებაში ეროვნული შემოსავლის დონესთან.

ფულად–საკრედიტო რეგულირება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ეროვნული ბანკის წამყვანი როლის მეშვეობით. მის მეთოდებს განეკუთვნება სააღრიცხვო პოლიტიკა (სააღრიცხვო განაკვეთის შეცვლა), სავალდებულო მინიმალური რეზერვების რეგულირება (სარეზერვო ნორმის ცვლილება), ღია ბაზრის ოპერაციები.

ფულის შემოთავაზების გაზრდის მიზანი მიიღწევა ექსპანსიის ,,იაფი ფულის პოლიტიკის" გზით. იგი, გამოიყენება როგორც ანტიკრიზისული საშუალება მიმართული ერთობლივი

მოთხოვნის გაზრდისაკენ. ფულის შემოთავაზების შემცირებისაკენაა მიმართული ე.წ. ,,ძვირი ფულის პოლიტიკა" – სახელმწიფო სავალო ვალდებულებების გაყიდვა, სარგებლის განაკვეთისა და რეზერვების ნორმის მომატება. „ძვირი ფულის პოლიტიკა" გამოიყენება როგორც ანტიინფლაციური საშუალება.

ფულად-საკრედიტო მეთოდების (რომელზეც ყურადღებას ამახვილებდნენ ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები) უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში: 1. იგი იძლევა ინფლაციასა და საბიუჯეტო დეფიციტთან ეფექტური ბრძოლის საშუალებას; 2. მოქმედებენ სწრაფად საბიუჯეტოსთან შედარებით; 3. იძლევიან ნაკლებ სოციალურ-პოლიტიკურ რეზონანს.

ფულად-საკრედიტო რეგულირების მეთოდების ნაკლს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ფაქტი, რომ ისინი არ უზრუნველყოფენ დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას, არ წყვეტენ სახელმწიფოს სოციალურ ამოცანებს.

ამრიგად, მსოფლიო პრაქტიკაში, რეგულატორების ამა თუ იმ ჯგუფის დომინირებიდან გამომდინარე, განასხვავებენ რეგულირების ორ მოდელს. მათი სახელწოდებები შეესაბამება მათ საფუძველში მდებარე მეცნიერულ კონცეფციებს: კეინზისა და ნეოკლასიკურისას. ,,საფინანსო ზომების დომინირების ვარიანტი იწოდება როგორც კეინზის ეკონომიკური პოლიტიკა. ხოლო პოლიტიკა, რომელშიც აქცენტი გაკეთებულია ფულად–საკრედიტო მექანიზმზე, მეცნიერებაში `მონეტარიზმის~ სახელწოდება მიიღო.

დასავლურ ქვეყნებში ეკონომიკური რეგულირების რეალიზების პრაქტიკამ აჩვენა, რომ მეტად რაციონალურია ორივე მიმართულების შეთანხმება, სახელმწიფოს წინაშე არსებული ამოცანებისა და პერიოდის კონკრეტული თავისებურებებიდან გამომდინარე.

თუ ეკონომიკა არის გახანგძლივებულ დეპრესიაში, ეკონომიკური ზრდის დაცემას თან სდევს მასობრივი უმუშევრობა და სოციალური უბედურებები, ადგილი აქვს ეკონომიკაში სტრუქ-

ტურული ცვლილებების აუცილებლობას, გამოიყენება რეგულირების კეინზისეული მეთოდები. თუ ეკონომიკა განიცდის სტაგნაციასა და ინფლაციას, ფულადი მიმოქცევის დისბალანსს, ეროვნული ფულადი ერთეულის არასტაბილურობას, მაშინ ბატონობს რეგულირების ნეოკლასიკური მეთოდები.

სახელმწიფო რეგულირების მოდელებისათვის დამახასიათებელია ციკლური ურთიერთჩანაცვლება. ეკონომიკური კრიზისები ერთგვარად განსაზღვრავენ რეგულირების მოდელების ჩანაცვლებას. სახელმწიფო რეგულირების სისტემა დინამიურია და კონიუქტურულ ცვლილებებზეა დამოკიდებული. კონიუქტურული რეგულირება – ერთობლივ მოთხოვნა-მიწოდებაზე ზეგავლენა (ეკონომიკური ციკლის ფაზების მიხედვით), კეინზური რეგულირების დამახასიათებელია ნიშანია, მაშინ როცა ნეოკლასიკური კონცეფცია ეკონომიკურ ციკლს უპირისპირდება.

უნიტარული სახელმწიფოებისგან (საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი და სხვ.) განსხვავებით, ფედერალურ პრინციპებზე მოწყობილი სახელმწიფოებში (გერმანია, ესპანეთი, შვეიცარია და სხვ.) ეკონომიკის რეგულირების ფუნქციები სამ დონეზეა გადანაწილებული (ფედერალური, ფედერაციის სუბიექტების და ადგილობრივი ხელისუფლების),

შესაბამისად, რეგულირების მართვაც უფრო მკვეთრად გამოხატულია და მნიშვნელოვანიც. მაგალითად, სახელმწიფო რეგულირების გერმანული სისტემით – ფედერალური დონის ფუნქციების დიდი ნაწილი ფედერაციის სუბიექტებს აქვთ გადაცემული (სახელმწიფო ხარჯების მექანიზმის, გადასახადების და მოსაკრებლების ნაწილის, მუნიციპალური სესხების, სადაზღვევო ზედამხედველობის ჩათვლით). რეგულირების მართვა რა თქმა უნდა ფედერალური უწყებების პრეროგატივაა (ფულის მიმოქცევა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ფედერალური გადასახადები, თავდაცვა, სახელმწიფო აპარატი და სხვ.). ფედერალიზმის პრობლემა დღესდღეობით ყველაზე მწვავედ სწორედ გერმანიაში და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში დგას.

მიუხედავად ფორსირებული ტემპებით მიმდინარე რეფორმებისა, საქართველოში რეალური შედეგები ჯერ-ჯერობით არადამაკმაყოფილებელია. კერძოდ, გრძელდება ეკონომიკის სერიოზული სტაგნაცია: მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით შემცირდა. არასახარბიელო მდგომარეობაა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, სადაც წარმოებული პროდუქციის რეალიზება შეფერხებულია. მცირდება უცხოური ინვესტიციების აბსოლუტური მოცულობაც (ცხრილი№ 3), ასევე მათი წილი ინვესტიციების საერთო მოცულობაში. ამ ფონზე არსებობს მწვავე საბიუჯეტო კრიზისი, ეცემა მოსახლეობის ცხოვრების დონე, ფართოვდება სიღარიბის მასშტაბები.

სახელმწიფომ აირჩია მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერა. ამაში მან არა მარტო არსებული ეკონომიკური ბერკეტები გამოიყენა, არამედ ახალი ალტერნატიული მეთოდებიც შეიმუშავა.

თუმცა წინანდელი ხელისუფლებაც ხშირად ეკონომიკურად გაუმართლებელ, მაგრამ მსხვილი და პრესტიჟული ობიექტების დაფინანსება–აგებას ასტიმულირებდა. ჭარბობდა ულტრალიბერალური იდეები და ამ იდეების პრაქტიკაში გატარება. ფონ ჰაიეკის იდეების საფუძველზე განვითარებულ ხედვებს, რომელსაც ძირითადად ავსტრიული სკოლის მიმდევრები ეყრდნობიან, დღევანდელ სამეცნიერო წრეებში არც თუ სერიოზულად თვლიან. მარტივად რომ ვთქვათ, წინა მთავრობა ქადაგებდა ბაზრის მაქსიმალურ თავისუფლებას – „ვინც ძლიერია გადარჩეს ის“. ამ მიდგომაზე უარი კაცობრიობამ დიდი ხანია თქვა.

„ძლიერი გადარჩეს და სუსტი მარცხდება“ პრინციპის დანერგვით საქართველოს ყოფილი ხელისუფლების პირობებში გაჩნდა უამრავი მონოპოლია, ოლიგოპოლია. ეს თავისდავად ცუდი არაა, მაგრამ ძლიერმა გაიმარჯვოს პრინციპის დანერგვით, ხალხმა მიიღო ის, რომ ძლიერები ამ ქვეყანაში მხოლოდ ისინი აღმოჩნდნენ, ვისაც ძლიერ სკამიანი ნაცნობები და მეგობრები ჰყავდა.

ქართულმა ლარმა 2013 წლის შემოდგომაზე საგრძნობი დევალვაცია განიცადა. ასევე შეინიშნება სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების, განსაკუთრებით საგადასახადო შემოსავლების დაბალი მობილიზაცია. შედეგად მივიღეთ 600 მილიონზე გარღვეული ბიუჯეტი.

შარშანდელი ბიუჯეტი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაახლოებით ამ დონეზე გაირღვა. საშემოსავლო ნაწილში 610-მილიონიანი დეფიციტია. ხელისუფლებაში აღიარებენ, რომ შარშან პრობლემები ნამდვილად იყო, ამიტომაც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება ვერ მოხერხდა. სხვათა შორის, ეს გაითვალისწინეს 2014 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროსაც და წელს 42 მილიონით ნაკლები შემოსავლებია დაგეგმილი.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი აცხადებს, რომ ბიუჯეტში გარღვევა ეკონომიკის ზრდის შედარებით დაბალ ტემპს უკავშირება. ქვეყანაში დაგეგმილი იყო მშპ-ს 6%-იანი, მატება, საბოლოოდ კი მივიღეთ 3,5%-იანი ზრდა. სხვაობა 2,5%-ია, რომელსაც ბიუჯეტში ამხელა გარღვევა წესით არ უნდა გამოეწვია.

ყველამ ვიცით, რომ ბიუჯეტს დააკლდა 600 მილიონზე მეტი, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ გამოწვეულია იმით, რომ ეკონომიკა არ გაიზარდა 6%-ით, არამედ 3.5%-ით. შესაბამისად, დამატებითი ღირებულების გადასახადი პირდაპირ არის დამოკიდებული ეკონომიკის აქტიურობაზე და ზრდაზე. ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტში უკვე შეიტანა დოკუმენტი, თუმცა მისი განხილვა ჯერ ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, მთავრობამ უცებ გაანალიზა შარშანდელი ჩავარდნა და წლევანდელი ბიუჯეტის დაგეგმარებისას უფრო ხელმოჭერილი აღმოჩნდა. მაგალიად, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, 2013 წლის გეგმასთან შედარებით, 42 მილიონ 700 ათასი ლარით ნაკლებია და 7 მილიარდ 379 მილიონ 800 ათას ლარს შეადგენს.

როგორც 2014 წლის ბიუჯეტის კანონპროექტშია აღნიშნული, ძირითადი წილი შემოსავლებში გადასახადებს უკავია, რომელიც 6 მილიარდ 950 მილიონ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის

მაჩვენებელს 30 მილიონი ლარით აღემატება. სამაგიეროდ, 72 მილიონ 700 ათასი ლარით შემცირებულია გრანტების ნაწილი.

ერთადერთი დამამშვიდებელი, რაც წლის ბოლოს მთავრობამ მიიღო, ეს ბოლოს და ბოლოს ეკონომიკის ზრდის ტემპი იყო. 2013 წლის დეკემბერში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 8,4%-ს მიღწია, ხოლო 2013 წლის IV კვარტალში საშუალოდ 6,9 პროცენტი შეადგინა. მთლიანად 2013 წელს მშპ-ის წლიურმა რეალურმა ზრდამ „საქსტატის" წინასწარი შეფასებით 3,1 პროცენტი შეადგინა.[1] მონაცემები მომავალი თვეების განმავლობაში კიდევ უფრო დაზუსტდება.

ფაქტ-მეტრმა დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, მსოფლიო ბანკის მიერ 2010 წლიდან გამოქვეყნებულ ანგარიშებში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროგნოზები გადაამოწმა.

	იანვრის პროგნოზი	მშპ-ს რეალური ზრდა – მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით
2010	2.0%	6.3%
2011	4.0%	7.0%
2012	5.0%	6.0%
2013	5.1%	2.5%

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსოფლიო ბანკის მიერ 2013 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ნავარაუდევი 5.1 პროცენტიანი ზრდისა, ამავე ორგანიზაციის 2014 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2013 წელს 2.5%-ით გაიზარდა. 2013 წელს, საქართველოს მშპ–ს რეალურ ზრდასთან დაკავშირებით, ოდნავ განსხვავებული სტატისტიკა აქვს „საქსტატს". სტატისტიკის სამსახურის წინასწარი მონაცემებით, გასულს წელს ეკონომიკის ზრდის ტემპმა, საშუალოდ 3,1% შეადგინა.

1 http://mof.gov.ge

გასათვალისწინებელია ვალუტაზე სპეკულაციური შეტევაც. მაგალითად, ასეთმა შეტევამ ინგლისზე 1992 წლის სექტემბერში და გირვანქა სტერლინგის შემდგომმა გაუფასურებამ ზიანი მიაყენა ირლანდიის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას, რომლისთვისაც ინგლისი ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარია და პროვოცირება გაუკეთა ირლანდიურ ვალუტაზე შეტევასაც. ფინეთში 1992 წლის აგვისტოში ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია შვედეთზე. ამის ძირითადი მიზეზი ე.წ. „მესამე მსოფლიოს" საექსპორტო ბაზრებზე ამ ორი ქვეყნის კონკურენცია უფროა, ვიდრე მათ შორის პირდაპირი სავაჭრო კავშირები. ესპანეთში 1992-1993 წლებში პესეტის გაუფასურებამ ზიანი მიაყენა პორტუგალიას, რომელიც თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული ესპანეთის საექსპორტო ბაზარზე და გამოიწვია შეტევა პორტუგალიურ ესკუდოზე, მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს არანაირი უარყოფითი ცვლილება არ განუცდიათ ესპანეთის კრიზისამდე. „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შორის სავაჭრო კავშირების არსებობას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „გადამდები" ეფექტის ფენომენის ახსნისას, არის მოსაზრება, რომ „გადამდები" ეფექტი დამოკიდებულია ქვეყნებს შორის არსებულ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მსგავსებაზეც".

საქართველოში მცურავი კურსის რეჟიმი მოქმედებს და საგარეო შოკები პირდაპირ აისახება შიდასავალუტო ბაზრის კონიუქტურაზე.

თურქულმა ლირამ დევალვაცია განიცადა, რაც ასახვას ჰპოვებს ლარზე.

საგულისხმოა აშშ–ს ფედერალური სარეზერვო სისტემის – ფედი–ის ე.წ. რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკის თანდათან შეცვლაც, რამაც შეიძლება აშშ დოლარის გლობალური გამყარების ტენდენცია გააძლიეროს. 24 განვითარებადი ქვეყნის

ვალუტებიდან, რომლებიც „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემაში კოტირდებიან, დოლარის მიმართ ბოლო პერიოდში 21 მათგანის ვალუტა დაეცა.

ასე, რომ საგარეო ფაქტორი დღის წესრიგიდან ვერ მოიხსნება. ასევე ტურიზმიდან შემოსული სავალუტო ნაკადების კლებაა. ბოლო დროს მოხდა აგრეთვე მიმოქცევაში ფულის მასის სწრაფი ზრდა, ასევე გაიზარდა იმპორტი წინა წელთან შედარებით. ამიტომ ლარის გაცვლითი კურსის მერყეობა ახალი წონასწორული მნიშვნელობის ირგვლივ ერთხანს შეიძლება გაგრძელდეს.

მთავარი ამოცანაა ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპების მიღწევა, შენარჩუნება. მიზნობრივი ინფლაციაა 6%, საჭიროა ადეკვატური მონეტარული და სავალუტო პოლიტიკა.

განვითარებადი ქვეყნების ვალუტების მსგავსი გაუფასურება დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზე, მათ შორის უნდა აღინიშნოს აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის რაოდენობრივი შერბილების პროგრამის „შემობრუნება“ და ჩინეთის მცდელობა ორიენტაცია გააკეთოს შიდა მოთხოვნაზე. ეს ფაქტორები ასახვას პოვებენ ხსენებული ქვეყნების ვალუტების გამყარებაზე. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნების შიდა პრობლემების გამო ინვესტორებმა ამ ქვეყნებიდან საკმაო მოცულობის კაპიტალი გაიტანეს, გასულ წელს კაპიტალის გადინებამ 58 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

ანალიტიკოსები მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს განვითარებული სახელმწიფოების ნაბიჯებით ხსნიან. ბოლო კვირეებში, დავოსის ფორუმის წინა დღეებში აქტიურად ტირაჟირდებოდა ექსპერტების განცხადებები განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღების შესახებ, განსაკუთრებით აშშ-ში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა, ინგლისის და იაპონიის ცენტრალური ბანკები გაცილებით ადრე იღებენ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შესახებ

გადაწყვეტილებას, ვიდრე ეს ჩაფიქრებული იყო. გარდა ამისა, შეშფოთების საფუძველს იძლევა ვითარება განვითარებად ქვეყნებში, რომელთა უმრავლესობაში ეკონომიკები სტრუქტურული შეზღუდვების წინაშე აღმოჩნდნენ.

ასეთ სიტუაციაში განვითარებადი ქვეყნების ცენტრალური ბანკები დგანან დილემის წინაშე - თუ ისინი გაზრდიან საპროცენტო განაკვეთებს, რათა მხარი დაუჭირონ ეროვნულ ვალუტებს და ებრძოლონ ინფლაციას, მაშინ შემცირდება კრედიტების გაცემის ტემპები და ეკონომიკური ზრდა.

THE SPECIFICS OF ECONOMIC REGULATION IN GEORGIA

Ketevan Shengelia
Doctor of Economic Sciences

R e s u m e

One of the biggest dilemmas that any modern state government and society is facing in general, is what kind of correlation should be between economic freedom and economic equality. When there is total freedom (if there are no restrictions), the freedom of individuals is contrary to freedom of others. This conflict can be resolved only by high-tech-regulated market economy.

The past period has shown a number of mistakes, which must be corrected by active involvement of the state. Today the state does its best to overcome these shortcomings. Programs are created to overcome poverty. In this regard we consider noteworthy the main parameters of fiscal policy; in particular, creating favorable conditions for the development of small and moderate businesses, available credits for the development of these spheres. Special programs are being designed to attract investments, which, in our opinion, will help to create new working places.

ЗАКОНОДАТЕЛЬНО-ПРАВОВАЯ БАЗА ИНВЕСТИЦИОННОЙ АКТИВНОСТИ В ГРУЗИИ

Лаша Багратиони
докторант
Азербайджанского государственного
Экономического университета

Одну из важнейших ролей в стране в сфере развития инвестиционной активности, формирования благоприятной инвестиционной среды, повышения инвестиционной активности и получения из инвестиций адекватных итогов, играет правовая среда, регулирующая существующую инвестиционную деятельность.

Исходя из исследований Всемирного банка к факторам, которые негативно влияют на инвестиционную среду, относятся: политическая неопределенность (28%), макроэкономическая нестабильность (23%), налоги (19%), правовое регулирование (10%), коррупция (10%).[1] Исходя из указанного очевидно, что обеспечение инвестиционной активности и формирование благоприятной инвестиционной среды невозможно без соответствующей правовой базы. Вместе с тем, правовая база является одним из важнейших, но не достаточным условием для повышения инвестиционной активности.

В Грузии в первые же годы независимости, особое внимание было уделено созданию благоприятных условий для иностранных инвестиций. 25 июля 1991 года Верховный Совет Грузии, в новейшей истории Грузии принял первый закон об инвестициях - «Закон об иностранных инвестициях», посредством которого был определен режим действия иностранных инвестиций в Грузии. Хотя, в связи с известным трудным периодом, этот закон не успел начать реальное действие.

1 Бебиашвили Н. Инвестиционная среда и прямые иностранные инвестиции в Грузии. Журн. «Экономика Грузии». 2008 г.,№ 3., стр.90

30 июня 1995 года парламент Грузии принял новый закон «Об иностранных инвестициях», в котором были определены важнейшие привилегии для иностранных инвестиций. В частности, по этому закону, после получения первой прибыли в течение двух лет, иностранные инвестиции освобождались от налога на прибыль, а последущие четыре года они обязаны были платить всего 50% налога на прибыль. Надо отметить, что именно с этого периода в Грузии осуществились важные иностранные инвестиции, что указывает на то, что данный закон создал положительную среду для инвестиционной активности, которая еще более улучшилась после принятия 12 ноября 1996 года закона «О гарантиях и поддержке инвестиционной деятельности».

На сегодняшний день для формирования инвестиционной среды наиболее важными законами представляются законы «О гарантиях и поддержке инвестиционной деятельности» (1996г.), «О национальном инвестиционной агентстве Грузии» (2002г.) и закон «О государственной поддержке инвестиций» (2006г.).

Закон «О гарантиях и поддержке инвестиционной деятельности» определяет правовые основы и гарантии защиты осуществления иностранных и местных инвестиций на территории Грузии. Закон акцентирован на формировании правовой среды поддержки инвестиций.

По закону инвестициями считаются денежные средства, ценные бумаги, имущество, в том числе имущественные права, иные права, имеющие денежную и интеллектуальную оценку, которые вкладываются и примяняются в целях получения прибыли. Рассмотрим, что подразумевается под ценностями и првами. В частности:

- денежные средства, акции и другие ценные бумаги;

- движимое и недвижимое имущество (земельные участки, здания, сооружения и другие материальные ценности);
- право пользования земельным участком или природными ресурсами, патенты, лицензирование, опыт и др. Интеллектуальные ценности;
- также другие имущественные и интеллектуальные права, которые признаны законом.

Надо отметить, что в законе довольно ясно представлен- субъект инвестиционной деятельности (инвестор) и объект, их правовой статус, с этой стороны закон постановляет, что при осуществлении инвестиционной и предпринимательской деятельности права и гарантии иностранных инвесторов не должны быть меньше, чем права и гарантии, которыми пользуются юридические и физические лица Грузии. Указанный режим был введен с 14 мая 1997 г. Поэтому, в соответствии с законом установлен национальный режим, т.е. равные условия и права действия местных и иностранных инвесторов.

В законе определены гарантии поддержки и регистрации, защиты инвестиций, что подразумевает законом предусмотренную неприкосновенность, компенсацию инвестиций при лишении инвестиций. Здесь же определены запреты и ограничения в сфере осуществления инвестиций. В частности, 12 ноября 1996 года по закону Грузии «О гарантиях и поддержке инвестиционной деятельности» на территории Грузии инвестирование запрещено в следующих случаях:

- создания, производства и распространения ядерного, бактериологического и химического оружия;
- строительства полигона для испытания ядерного, бактериологического и химического оружия;
- ввоза из заграницы ядерных и токсических остатков с целью их захоронения на территории Грузии;
- проведения научно-исследовательских работ, связанных с клонированием человека;

- производства наркотических средств;
- культивирования опиумного мака, конопли и кустарников кока;
- деятельности, запрещенных международными договорами Грузии;
- импорта или реализации фальсифицированного (нестандартного) сжиженного газа жилищно-коммунального потребления, моторного бензина с примесью свинца (более 0.013гр на один литр), тетраэтилсвинца.

Вместе с тем, в такой деятельности, какими являются: производство почтовых марок, государственных наградных знаков, монет, денежных знаков. Деятельность, связанная с установкой клейма драгоценных металлов, с импортом, с экспортом, перевозкой, оптовой реализацией наркотических веществ медицинского назначения, а также деятельность, связанная с созданием новых наркотических веществ, с производством, с переработкой, импорт-экспортом, с перевозками, с оптовой торговлей психотропными препаратами, находящимися под специальным контролем.

Закон Грузии «О национальном инвестиционном агентстве Грузии», который был принят в 2002 г., определяет роль и права этого агентства, осуществление программ с целью поддержки иностранных и местных предприятий. Вместе с тем, главное замечание, которое возникло у экспертом в отношении этого закона, состоит в том, что осуществление «программ давно закончилось и те функции, которые были присвоены агентству законом, не соответствуют его нынешнему статусу и возможностям. Например, требование о представлении ежегодного отчета в агентство об обязательной регистрации и инвестиционных планах с капиталвложениями более 100000 долларов, никто не выполнил. В 2002-2003 гг. «президентский фонд» в основном применялся для стимулирования инвестиций местных компаний, что выражалось в предоставлении им субсидий и получении банковских гарантий».[1]

1 Грузинские экономические тенденции. Квартальное обозрение. Январь 2007г. Стр.68

Посредством улучшения процедур, необходимых для капиталвложения в инвестиции и предпринимательской деятельности, создания дополнительного режима с целью осуществления поддержки инвестиций, в 2006 г. был принят закон Грузии «О государственной поддержке инвестиций», и в соответствии с этим законом были установлены специальные нормы и дополнительные поддерживающие мероприятия для стимулирования особенно важных инвестиций.

С целью обеспечения государственной поддержки инвестиций, в этой сфере по закону представителем Грузии определено национальное инвестиционное агентство Грузии. В законе достаточно широко и ясно представлены права и обязанности как агентства, так и инвестора, условия предварительного лицензирования и получения разрешения. Законом определена инвестиция особенного назначения. В частности, инвестор, который планирует осуществление более 8 млн лари, или же осуществленная им инвестиция оказывает важное влияние на развитие экономики и инфраструктуры Грузии с функциональной и стратегической точки зрения, может потребовать присвоения статуса инвестиции особенного назначения.

В высокогорных регионах статус инвестиции особенного назначения может быть присвоен инвестиции с суммой более 2 млн лари. В законе подробно представлен статус присвоения инвестиции особенного назначения, его государственный контроль, компетенция агентства, а также ряд обязанностей муниципалитетов и государственных органов.

Вместе с тем, надо отметить, что в отношении этого положения среди экспертов имеются противоречивые соображения, в частности, считается, что в практике это положение может привести к растерянности инвестора, потому что ряд вопросов, согласно вторичному законодательству, не определен. В частности, тарифы обслуживания национального инвестиционного агентства. Под сомнением также в соответствии с IV пунктом X статьи предложенный инвестором инвестиционный план. Вместе с тем, мало кто из инвесторов согласится с такой инвестиционной гарантией, которая составляет 2% всей инвестиции. И наконец, закон, принятый в 2006 г. более чем достаточно регулирует процессы взятия разрешения. В то же время, не существуют ни институциональные возможности, ни вторичное законодательство. В связи с чем становится обязательным быстрая разработка вторичного законодательства и обеспечение администрирования. В связи со схожими условиями в Грузинской экономической науке существует соображение, что законы «Об иностранных инвестициях» (1995 г.), «О поддержке и гарантиях инвестиционной деятельности» 1996г.), «О национальном инвестиционном агентстве Грузии» (2002г.), «О государственной поддержке инвестиций» (2006г.) должны быть пересмотрены и приведены в соответствии с международными законами и конвенциями об инвестициях.

Согласно вышесказанному ясно, что законодательная база, которая соответствует инвестиционной активности, уже создана. Также очевидно, что серьезный инвестор вместе с законодательством, интересуется существующими в стране политическими, экономическими и другими факторами и после соответствущей экспертизы прекращает инвестирование. В связи с этим надо отметить, что в Грузии еще наблюдаются макроэкономические диспропорции, также начиная с 2007 г. значительно ухудшился политический климат, вместе с тем для всего периода развития высоким остаются бюрократические препятствия, примером могут служить случаи, связанные с «Бадагоном» и «Шинхофером».

Несмотря на указанное ясно и то, что после 2003 года наблюдается изменение позитивного направления в отношении привлечения инвестиций. В частности, по данным международного валютного фонда в Грузии результатом улучшения бизнес-климата является повышение инвестиционной привлекательности страны. Исходя из достигнутых результатов к 2007 году Грузия в соответствии с индексом экономической свободы с существующего

100 места переместилась и заняла 35 место, а согласно данным Всемирного банка она на пятом месте в десятке успешных стран-реформаторов.

Несмотря на указанное, масштабы иностранных инвестиций и осуществленные инвестиционные проекты в стране указывают на то, что со стороны потенциальных инвесторов существует значительная осторожность в отношении экономической устойчивости и политической стабильности Грузии, что в свою очередь препятствует обеспечению приемлемого уровня инвестиционной активности.

რეზიუმე

საინვესტიციო აქტივობის საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა საქართველოში

ლაშა ბაგრატიონი
აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

სტატიაში ავტორის მიერ განხილულია საქართველოში არსებული ინვესტიციების მოზიდვის საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა. ამ კანონებში საკმაოდ ფართოდ და მკაფიოდ არის წარმოდგენილი როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორის უფლებები და მოვალეობები. ავტორის მიერ ასევე ხაზგასმულია, რომ სერიოზული ინვესტორი დაინტერესებულია არა მარტო ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორებით და შესაბამისი ექსპერტიზის მერე იღებს გადაწყვეტილებას ინვესტირების შესახებ. და რაც მთავარია, ინვესტიციების მოზიდვა პირდაპირ დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკურ მდგრადობასთან და პოლიტიკურ სტაბილურობასთან.

სოციალური ინვესტიციები და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები

დაფინანსებულია შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ,
ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის
სამეცნიერო გრანტის პროგრამის
ფარგლებში № 52/18-24.12.13

ნათია შენგელია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,
სტუ ასისტენტ-პროფესორი,
სსუ ასოცირებული პროფესორი

ინვესტიციებს მეცნიერები სხვადასხვა ასპექტში განმარტავენ, სტატიკაში, დინამიკაში, მიკრო და მაკრო დონეზე, შემოსავლიანობის დონის, დანახარჯების და რესურსების მიხედვით; მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოციალური ინვესტიციები (მაგალითად, ეთიკური, ბილატერალური,მუქი და ღია მწვანე სოციალური ინვესტიციები), რომელთაც შეუძლიათ ქვეყანაში ჯანსაღი გარემოს შექმნა,განსაკუთრებით ტურიზმის სფეროში .

ღია მწვანე ინვესტიციები ძირითადად ორიენტირებულია ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესებისაკენ. ამ მიზნით შექმნილი კომპანიები ანვითარებენ ენერგიის განახლებად წყაროებს, ღებულობენ ენერგიის ეკოლოგიურად სუფთა სახეს (მზის ენერგიაზე მომუშავე ბატარიები გათბობა–განათებისთვის, ორგანული სასუქისგან მიღებული სითბური ენერგია–გაზი),
ანვითარებენ „მწვანე ტრანსპორტს“ (ინოვაციური ელექტროავტომობილები), მაშინ როცა მუქი–მწვანე ინვესტიციები იდება ტელესაკომუნიკაციო კომპანიებში. ე.წ. „მწვანე ტრანსპორტი“ არ აბინძურებს გარემოს, შესაბამისად, ტურისტიც მშვიდადაა, რომ „სუფთა ჰაერს ისუნთქებს“, რაც დასვენების ერთი მნიშვნე-

ლოვანი პირობაა; ამასთანავე ტურისტს თუ ექნება „ხარისხიანი და საიმედო“ კომუნიკაციაც თავის ახლობლებთან უცხო ქვეყანაში ყოფნის გამო, უფრო უკეთესი ; ამ შემთხვევაში უნდა წავახალისოთ მუქი მწვანე ინვესტიციები, რომლებიც ითვალსწინებენ ისეთი საკომუნიკაციო ინფრასტრუტურის განვითარებას, რომელიც გულისხმობს საკომუნიკაციო სადენების არა „მიწის ზევით“ განთავსებას, არამედ მიწის შიგნის სიღრმეში; ყოველივე ეს კი თავიდან აგვაცილებს იმ გაძლიერებული ელექტრული ველების ზემოქმედებას ადამიანებზე, რომლებსაც თანდათანობით ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული ცუდი შედეგი შეიძლება მოყვეს.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მართალია, მოგება პირველ რიგში განმსაზღვრელი მიზანია, მაგრამ ინვესტიციებს შეიძლება ჰქონდეთ კაპიტალის დაბანდების სხვა ეკონომიკური და არაეკონომიკური მიზნებიც.[1] ნებისმიერ ინვესტიციებს საბოლოო ჯამში მაინც მოაქვს რაღაც შედეგი, შემოსავალი, თუნდაც თვით ინვესტორისათვის. მაგალითად, სოციალურ პროექტებში ჩართვით ინვესტორი, ხარჯავს რა სახსრებს სოციალურ და ფილანტროპიულ პროგრამებზე, ამცირებს რა მიმდინარე შემოსავალს, უარს ამბობს მოცემულ მომენტში მოგების რაღაც გარკვეულ ნაწილზე, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც ქმნის კეთილსაიმედო სოციალურ გარემოცვას, თავადაც თვითონ იქმნის მყარ რეპუტაციას და იმიჯს, დამაჯერებელ რეალურ რეკლამას და იღებს კიდევაც „დივიდენდებს“ ამ საქმიანობიდან. ყოველივე ამით ხელს უწყობს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.[2]

1 ლამარა ქოქიაური. საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა: ორ ტომად. - ტ. 1. თბ. , თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008, გვ. 96 – 97.

2 ჩვენი აზრით, საკითხის ასეთ ასპექტში განხილვით შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, რომ სოციალურ ინვესტიციაც ასევე ეკონომიკური კატეგორიაა. ასეთი ინვესტიცია პერსპექტივაში მოგების მაქსიმიზაციის, მდგრადი მოგების მიღების საწინდარია. ამით შემცირდება დანახარჯები, რომელიც საჭიროა ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დასაცავად, ასევე ძვირად ღირებული სახელმწიფო ჩარევის

თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ წარსულს, სამეწარმეო ტრადიციებს და საკითხს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ, მაგალითად, ქართული ინვესტიციაც, უცხოური ინვესტიციების მსგავსად, თუ უნდა, რომ ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ნაწილი გახდეს და თუ გახდება, მაშინ აუცილებლად დაიმკვიდრებს თავის არსენალში სოციალურ, კორპორაციულ პასუხისმგებლობას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინვესტიციის საშუალებით ბიზნესის განვითარება მხოლოდ მომგებიანი საქმიანობისათვის ხელსაყრელ საბაზრო და სოციალურ გარემოშია შესაძლებელი. ამგვარი გარემოს შექმნა კი სახელმწიფოს პრეროგატივაა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტორებს, რათა მათ მიიღონ მოგება და შემდგომ აქტიურად იზრუნონ საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობაზე.

ინვესტიციების გენეტიკური მიდგომით განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ ბუნებრივ, თავიდანვე მუქთ რესურსს, წყაროს, როგორიცაა ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული უნიკალური, საუკეთესო ბუნებრივ–კლიმატური პირობები. ეს რესურსები, მართლაც ატარებს, უფასო, მუქთ, ნაჩუქარ ხასიათს, რადგან, ისინი შექმნილია თავად ბუნების მიერ. ამასთან მათ არა ჰყავთ უშუალოდ პერსონიფიცირებული მესაკუთრე, რომელიც მოითხოვდა მის ანაზღაურებას. ადამიანებსა და ბუნებას შორის არ არსებობს ეკონომიკური (კომერციული) ურთიერთობები. სანაცვლოდ ბუნება არ მოითხოვს არაფერს ადამიანებისაგან, საჩუქრად იძლევა უზარმაზარ ფასეულობებს (მაგ.

შედეგები, სოციალური უწესრიგობების არასტაბილურობის შედეგად წარმოქმნილი საწარმოს ქონების ზიანით გამოწვეული დანაკარგები და ა.შ. მაგალითად, გერმანული ფონდის რობერტ ბოშის სპეციალისტების შეფასებით „იდეალური კონკურენცია მოდის არა მხოლოდ მაღალ მაჩვენებლებზე, არამედ იმ კეთილ საქმეებზეც, რომლებმაც მეწარმეებსა და მენეჯერებს წარმატებები მოუტანეს“ (Unternehmen und Burgerliche engagement. Aufbruch zu neuen Verantwortung. Berlin: SLP, 2001, s. 16) . ე.ი. ინვესტორის მიერ სოციალურ ღონისძიებებზე დახარჯული სახსრები განხილული უნდა იქნას არა როგორც ზარალი, არამედ როგორც განვითარების პირობა.

საუკეთესო კლიმატურ პირობებს–ნ.შ.). ბუნება ადამიანებთან მიმართებაში ლმობიერია, აწვდის მათ საარსებო საშუალებებს აუნაზღაურებლად. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათი გამოყენების შედეგად მიღებული პროდუქტი გახდება ეკონომიკური ურთიერთობის, ყიდვა–გაყიდვის, საკუთრების ობიექტი, საბაზრო მექანიზმების წყალობით, იძენენ ფასს, რომლებიც ბევრად აღემატება შესაბამისი დოვლათის შესაქმნელად საჭირო ხარჯებს.[1] ყოველივე ეს სტიმულს აძლევს ინვესტორს. ფაქტია, რომ ინვესტიცია სხვადასხვა სოციალურ გარემოში, ქვეყანაში, ბუნებრივ–კლიმატურ პირობებში ერთნაირი შედეგის მომტანი არ შეიძლება იყოს. გამომდინარე აქედან, კარგი ბუნებრივ–კლიმატურ პირობები იზიდავს ინვესტორს და სტიმულს აძლევს უფრო ადვილად მიიღოს მეტი შედეგი, რომელიც ბევრად აღემატება შესაბამისი დოვლათის შესაქმნელად საჭირო ხარჯებს ვიდრე ამ ას მიიღებდა ასეთი პირობების არმქონე ქვეყანაში.

ინვესტიციის სოციალურ ფორმაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით მის ქვესახეებს, მაგალითად, ეთიკურ , ეთიკურად ორადი (პოზიტიური და ნეგატიური) ხასიათის ინვესტიციებს. კერძოდ, **ეთიკურია** ინვესტიცია, რომელიც ზიანს არ აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და არ ეწინააღმდეგება საზოგადოების (ადამიანთა) ყოფისა და ქცევის ეთიკურ ნორმებსა და წესებს (მაგ. ინვესტიციები წარმოების რეალურ სექტორში). ხოლო **არაეთიკურია** ინვესტიცია, რომელიც აზიანებს, საფრთხეს უქმნის ადამიანს, ბუნებას და სხვა. ასეთია მაგალითად სიგარეტის ბიზნესი.

გაერთიანებული სამეფოს საინვესტიციო მენეჯმენტის ასოციაციის (IMA) მიხედვით ეთიკური ფონდებს შეიძლება ეწოდოთ ასევე სოციალური პასუხისმგებლობის ინვესტიციები (Socially Responsible Investments-SRIs); ასეთი ფონდები მიმართულია ისეთი კამპანიისკენ, რომლებიც მოუწოდებს ინვესტორ კომპანიებს თავის შეიკავონ ისეთი საქმიანობაში ჩართულობისგან, რომელიც საზიანოა, მაგალითად: თამბაქოს წარმოებისაგან ან ბავშვთა შრომის გამოყენებისაგან. ეთიკური ფონდები მიმართულია ინვესტიციები ჩაიდოს ისეთ კომპანიებში, რომლებიც ეთიკურ პოლიტიკას ატარებენ: მაგალითად ნარჩენების გადამუშავების ბიზნესის წახალისება[1]; ამ ასოციაციის მიხედით ეთიკურმა ფონდებმა 2010 წლის მე-3 კვარტალში 93 მილიონი, ხოლო 2011 წელის კი-46 მილიონი[2] შეადგინა;

ეთიკურად ორადი–ბილატერალური ხასიათისაა ინვესტიცია, დაბანდებული ისეთ ბიზნესში, რომელიც ერთდროულად შეიძლება ან არ შეიძლება მავნებელი იყოს ადამიანისათვის. ასეთია, მაგ. ინვესტიციები სამხედრო საქმეში, ბიზნესში (ქიმიური იარაღის წარმოებაში), რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სახელმწიფო თავდაცვის მიზნით (პოზიტიური მხარე) ან, პირიქით, მაგ., სხვაზე თავდასხმისთვის, ტერორისტული აქტისათვის (ნეგატიური მხარე), რაც მიზნად ისახავს ადამიანის ლიკვიდაციას. ასეთივეა ინვესტიციები ბირთვული იარაღის წარმოებაში, რომელსაც აქვს ორადი საპირისპირო ფუნქცია — თავდაცვითი და თავდასხმითი. მსგავსი ფუნქციაა დამახასიათებელი ინვესტიციებისათვის სპეციფიკური ზემოქმედების წამლების (მათ შორის გენერიკების) წარმოებაში. მაგალითად, გამაბრუებელი საშუალებები გამოიყენება ქირურგიული ოპერაციების დროს ტკივილის გასაყუჩებლად , თუმცა ადამიანმა ისინი დიდი დოზით მიღებისას შეიძლება იხმაროს ნარკოტიკულ საშუალებად.

ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეუძლია ითამაშოს **მუქი მწვანე** და **ღია მწვანე** ინვესტიციებმა, რომლის მთავარი დანიშნულებაა გათვალისწინებულ იქნას ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებები. ასეთი სახის ინვესტიციის მაგალითად ჩაითვლება არც ისე დიდი ხნის წინათ ამერიკის ისტორიაში ყველაზე დიდი ეკოლოგიური კატასტროფა, რის შედეგადაც დღესაც გრძელდება ნავთობის გაჟონვა მექ-

1 **Георгий Малашхия. Метатеория прибыли. Что в самом деле есть прибыль? Тбилиси, 2007. ст. 31.**

1 **http://www.investmentfunds.org.uk/press-centre/2011/q311/**
2 **http://www.investmentfunds.org.uk/press-centre/2011/q311/**

სიკის ყურეში. ყოველივე ამის სალიკვიდაციოდ კომპანიები გრძნობენ დიდ სოციალურ პასუხისმგებლობას და მათ ამ მიზნით უხდებათ უზარმაზარი ინვესტიციის ჩადება.

უეჭველია, რომ მომავალში, როცა საუბრობენ „გლობალიზაციის სოციალურად ორიენტირებულ მოდელზე“, ინვესტორები **სოციალურ** ინვესტიციებს, **ეთიკურ** ინვესტიციებს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ, თავიანთ საინვესტიციო პორტფელში გამოავლენენ სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომას, რათა გვერდი აუარონ კომპანიებს, რომელთაც ახასიათებთ ნეგატიური ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე ან სოციალურ პრობლემებზე.მაგალითად, ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ეკოლოგიურად სუფთა გარემოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება; ინვესტორთა უმრავლესობას აქვს არჩევანი ჩადოს კაპიტალი უშუალოდ იმ კომპანიებში, რომლებიც შეესაბამებიან გარკვეულ „მწვანე“ კრიტერიუმებს. მაგალითად, ღია მწვანე ინვესტიციები უფრო მიესადაგება იმ კომპანიებს, რომლებსაც აქტიურად დადებითი წვლილი შეაქვთ ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესებაში. იმედია, ინვესტიციების ამ კუთხით წარმართვა ინვესტორს მომავალშიც კიდევ უფრო მეტ კეთილსაიმედო სოციალურ გარემოცვას, მყარ რეპუტაციას და იმიჯს შეუქმნის.

ამრიგად, თანამედროვე, სოციალურად ორიენტირებული ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციის ახლებური ხედვა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტშია შესაძლებელი, რამდენადაც იგი მომავალში უფრო მეტი სოციალური შინაარსითა და ფუნქციით დაიტვირთება, საზოგადოების განვითარების არსებული დონიდან უფრო მაღალ დონეზე გადასვლის პირობა გახდება. სოციალური (მაგალითად, მუქი მწვანე და ღია მწვანე, ეთიკური და ა.შ.)ინვესტიციების წახალისება, ჯანსაღი ბუნებრივი, ეკოლოგიური გარემოს შექმნის საწინდარია, რაც ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.

SOCIAL INVESTMENTS AND THE DEVELOPMENT PERSPECTIVES OF TOURISM

Natia Shengelia

Resume

In Summary, in a modern, civilized and socially oriented market economy, a new vision of investments is only possible in the social-economical aspects , as far as it will have more content and social function in future, that will become the condition to move from the current level to the higher level of development of society. The Social (for example , dark green and light green , ethical, etc.) investment promotion is the guarantee for creating healthy natural , ecological environment that is the one precondition for the development of tourism.

პირდაპირი ინვესტირება - ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი პირობა

ნანა რინკიაშვილი
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მაია ალადაშვილი
ასისტენტ პროფესორი

პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა დღეს მეტად აქტუალურია. მასში დაკავშირებულია ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა მრავალი ასპექტი, რომელთა ოპტიმიზაციის გზით მიიღწევა ის სასურველი შედეგი, რასაც სტაბილური ეკონომიკური ზრდა ჰქვია. პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა სტანდარტული პროცესი არ არის. მსოფლიო გამოცდილების განზოგადებისას შეიძლება ითქვას, რომ დამოკიდებულება უცხოელ ინვესტორთა მიმართ, მათი სტიმულირების ფორმები და მეთოდები, უცხოური კაპიტალის გამოყენების მიმართულებები, შეღავათები და შეზღუდვები ქვეყნების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება ეროვნული ინტერესებიდან და თავისებურებიდან გამომდინარე. მაგალითად, კანადა, იაპონია, დასავლეთევროპული ქვეყნები, უფრთხიან რა ეროვნულ ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლის მოშლას, ცდილობენ შეზღუდონ თავიაანთ ტერიტორიაზე საზღვარგარეთული ინვესტიციები. განვითარებადი ქვეყნების პოზიცია ორმხრივია: ისინი შეშფოთებულები არიან, როგორც უცხოელების მიერ მათს ეკონომიკაში სახსრების დაბანდებით, ისე ინვესტიციების შემცირებით. ერთი მხრივ, არსებობს ექსპლუატაციის საშიშროება, ხოლო, მეორე მხრივ-შიში, რომ საზღვარგარეთული კაპიტალი ნაკლებ ხელმისაწვდომი იქნება და მათს ტექნოლოგიებში შეღწევა გაძნელდება. მთავრობები კრძალავენ ან ზღუდავენ პირდა-

პირ ინვესტირებას ზოგიერთ დარგში, სადაც საზღვარგარეთული ფირმების მუშაობა ან დაუშვებელ მფლანგველობად არის მიჩნეული, ან ზედმეტად საზღვარგარეთული ზეგავლენის ფორმად. უცხოური ინვესტირების პირობად მთავრობები ხშირად აყენებენ ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა ადგილობრივი ინვესტიციების მონაწილეობა კაპიტალში, ადგილობრივი კადრების მომზადება, ადგილობრივი წარმოების დეტალებისა და ნახევარფაბრიკატების გამოყენება, სამეცნიერო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესრულება. მეორე მხრივ, ზოგიერთი მთავრობა, აქტიურად თანამშრომლობს მრავალეროვნულ ფირმებთან, რომელთა რიცხვი და გავლენაც თანდათანობით იზრდება.

ბოლო პერიოდში მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად და აზიის ქვეყნებში ჩამოყალიბებილი ტენდენცია მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიოში უმკაცრესი კონკურენციაა პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. ასეთ პირობებში საქართველომ უნდა მოძებნოს თავისი "მიმზიდველობის ცენტრი" უცხოური ინვესტიციებისთვის, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს შექმნას. საინვესტიციო გარემო

სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისსისტემაა, რომლის ფორმირებაც ხორციელდება მიკრო და მაკრო ეკონომიკაზე საკმაო რაოდენობით ურთიერთდაკავშირებული პროცესების გავლენის საფუძველზე და იწვევს მდგრადი საინვესტიციო მოტივაციის წარმოქმნას [1].

მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა მნიშვნელოვანია როგორც, ადგილობრივი ისე უცხოელი ინვესტორებისათვის. ასეთი გარემო იზიდავს ბევრად უფრო დინამიურ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც ხასიათდება უფრო დიდი მზარდი მასშტაბის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და უახლესი მენეჯმენტის პრაქტიკის შემომტანი თვისებებით. შეზღუდული საინვესტიციო გარემო კი იზიდავს პოტენციურად ნაკლებ პროდუქტულ, მორალურად მოძველებულ ტექნოლოგიებს, რითაც მცირდება ტრანსნაციო-

ნალური კომპანიების დარგთაშორისო მოწოდების ქსელში ინტეგრაციის შესაძლებლობები. ფაქტია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მცირე ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რეციპიენტ ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული საინვესტიციო პოლიტიკა-განსაკუთრებით კი საგადასახადო პოლიტიკა.

ეკონომიკური თვალსაზრისით საინვესტიციო კლიმატზე სახელმწიფოს ზემოქმედების მთავარ მეთოდად საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს. პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების ზრდა გარკვეული რეაქციაა ეკონომიკურ ცხოვრებაში გადასახადების გადიდებაზე. რაც უფრო მაღლა იწევს საგადასახადო განაკვეთები, მით უფრო ძლიერია გადასახადებისთვის გვერდის ავლის ლეგალური თუ არალეგალური გზების ძიების სტიმულები. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ისეთი მიღები ქვეყნის მოძებნა, სადაც გადასახადების განაკვეთები ყველაზე დაბალია.

ეკონომიკის დაბეგვრის საერთო დონე ეკონომიკის ეფექტურობის კარგი მაჩვენებელია. აქ იგულისხმება გადასახადის ყველა სახეობა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, გადასახადების დონე გავლენას ახდენს ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე, შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზეც. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნის ინვესტიციების მიმზიდველობის დონის განსასაზღვრად არაა საკმარისი მხოლოდ გადასახადების მოცულობის შედარება. უნდა გვახსოვდეს, რომ გადასახადების მოცულობის გვერდით, ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, რომლის გასაუმჯობესებლად სახსრები სწორედ გადასახადებიდან შემოსული თანხებიდან იფარება. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საგადასახადო შემოსავლები მრავალი სამთავრობო ხარჯის პირდაპირ დაფინანსების წყაროა, ამიტომ დაბალ გადასახადებს შეუძლიათ უარყოფითი როლი ითამაშონ ინვესტიციების მოზიდვის საქმეში. მაგალითად,

საქართველოში ტურიზმის განვითარებას, მიუხედავად მნიშვნელოვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული თუ კულტურულ-ისტორიული უპირატესობისა, განსაკუთრებულად უშლის ხელს მოძველებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. საგადასახადო დონის შემცირებისა და ბიუჯეტის არასაკმარისი შევსების პირობებში შეიძლება ვერ განხორციელდეს ამორტიზებული გზების მოდერნიზაცია, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე. თუ საგადასახადო შემოსავლები დაიხარჯება ისეთი ამოცანების შესრულებაზე, რომლებიც შემდგომში შეამცირებენ ინვესტორის ხარჯებს და ხელს შეუწყობენ მის ეფექტურ მოღვაწეობას შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, მაშინ ასეთი ხარჯები ეფექტურად დააკომპენსირებენ გადასახადების უარყოფით გავლენას.

როგორც ცნობილია, ინვესტიციების წყაროდ შეიძლება გამოდიოდეს როგორც შიდა, ისე გარე რესურსები, მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ იკმაყოფილებს თავის საინვესტიციო მოთხოვნებს მხოლოდ ერთი წყაროს გამოყენებით. ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება, ჯანსაღი საინვესტიციო პროცესი შესაძლებელია მხოლოდ დაფინანსების ეროვნული და საზღვარგარეთული წყაროთა ეფექტური სინთეზისა და ურთიერთდამატების შემთხვევაში. ცხადია, ყველა ინვესტიცია ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანი არაა. უფრო მეტიც, არსებობს ისეთი ინვესტიციები, რომლებიც ქვეყნისათვის საზიანოა (მაგალითად, თუ ის აზიანებს გარემოს ან ექსპლუატაციას უწევს ადგილობრივ მუშახელს). განსაკუთრებით დიდია მთავრობის როლი მოზიდული პირდაპირი ინვესტიციების ეკონომიკური გავლენის შეფასებაში. სასარგებლო ინვესტიციები უნდა წახალისდეს, ხოლო საეჭვოზე – უარი ითქვას. უცხოურ კაპიტალზე დაყრდნობა სრულიადაც არ ნიშნავს ადგლობრივი ინვესტორთა იგნორირებას, მათ შესაძლებლობათა და უფლებათა შელახვას. ეკონომიკის იმ სექტორში, სადაც ადგილობრივ ინვესტორებს შესწევთ უნარი აამოქმედონ წარმოება, უპირატესობა

მათ უნდა მიენიჭოს, მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინვესტორთა რაოდენობა, არამედ მათი ხარისხი. უუცხოური ინვესტიცია კი ეს არის უმთავრესად ახალი ტექნოლოგიები, უფრო სრულყოფილი მართვის სისტემები, პროდუქციის მაღალი ხარისხი.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ეკონომიკის საკმაოდ მაღალი საშუალო წლიური 6,9 პროცენტიანი ზრდის ტემპი ფიქსირდებოდა [2], რაშიც მნიშვნელოვანი როლი განახორციელა რეფორმებმა. ამასთან საყურადღებოა, რომ ქვეყანაში დაბალი ტემპით ხდებოდა წარმოების ფაქტორების აკუმულირება. ასევე საყურადღებოა, რომ საქართველოში სახეზეა კერძო სექტორის მიერ ძირითადად ტრადიციული სექტორით დაინტერესების პრაქტიკა. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში, არ მომხდარა ახალი ინდუსტრიული მიმართულებების აღმოჩენა და განვითარება. შაინვესტიციო ბუმი კვლავ მხოლოდ ტრადიციულ პოპულარულ სექტორებში გრძელდება [2], რაც მათ გაჯერებას და ინვესტიციების არაეფექტიანობას იწვევს. მათ რიცხვს მიეკუთვნება საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონება, ჰიპერმარკეტები, კომერციული ბანკები, სააფთიაქო ქსელი, ავტოგასამართი სადგურები. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვითაც, ახალი კომპანიები უმეტესად უკვე გაჯერებულ, კონკურენტულ ბაზარზე ხშირად იგივე პროდუქტით შედიან (მსოფლიო ბანკი. 2013)

ეკონომიკური ზრდის სასურველი ტემპების მისაღწავად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს საკუთარი და უცხოური ინვესტიციების რეგულირების მექანიზმები, კერძოდ: სწორედ უნდა განსაზღვროს ეროვნული ბიზნესის მიმართ პროტექციონიზმისა და უცხოური ინვესტიციების სტიმულირების როლი, უნდა შეირჩეს სასურველი საზღვარგარეთული ინვესტიციების სტიმულირებისა და არა სასურველის შეკავების ტაქტიკა, რადგან ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო მდიდარი ადგილობრივი ნედლეულის, რესურსების სწრაფად და არარაციონალურად

ამოღება-დამუშავებამ და საექსპორტო ოპერაციების არასწორმა მოქმედებამ მომავალში შესაძლოა უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები გამოიწვიოს. ჩგამომდინარე აქედან, პირდაპირი ინვესტიციები უნდა განვიხილოთ არა რაოდენობრივ ჭრილში, არამედ თვისობრივად – რა გავლენას ახდენს ის ცხოვრების დონეზე. პირდაპირი ინვესტიციები მხოლოდ მაშინ შეასრულებს ეკონომიკური ზრდის წამყვანი ფაქტორის როლს, როდესაც მათი დახმარებით მოხდება ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრა, გააქტიურდება ეროვნულ ინვესტორები და ამაღლდება რეციპიენტი ქვეყნის ცხოვრების დონე ისე, რომ დაცული იყოს ინვესტირების პროცესში მონაწილე ყველა მხარის ინტერესთა ბალანსი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www. nplg. gov. ge/
2. www. geostat. ge/
3. www. doingbusiness. org
4. www. mof. ge/4827
5. ww. radiotavisupleba. ge/content/ekonomikuri. . .

ПРЯМОЕ ИНВЕСТИРОВАНИЕ, КАК ВАЖНОЕ УСЛОВИЕ ЭКОНОМИЧЕСКОГО РОСТА

Телавский государственный университет
имени И. Гогебашвили
Ассоциированный профессор, **Нана Ринкиашвили**
Ассистент профессор **Маиа, Аладашвили**

Резюме

В статье отмечено, что во всём мире, а особенно в развивающихся странах и государствах Азии сформировалась тенденция жестокой конкуренции, с точки зрения привлечения прямых инвестиций. В таких условиях Грузия должна найти свой «центр притяжения» иностранных инвестиций, что в первую очередь подразумевает создание приемлемого инвестиционного климата. Вложение прямых иностранных инвестиций в страны с малоразвитой экономикой является одним из главных источников роста экономики. С этой точки зрения очень важна инвестиционная политика со стороны государства реципиента, а особенно налоговая политика.

В статье сделан вывод, что прямые инвестиции будут выполнять роль ведущего фактора экономического роста только в том случае, когда будут решены социально-экономические проблемы, активизируются национальные инвесторы, что окажет положительное влияние на уровень роста жизни так, чтобы соблюдался баланс интересов всех стран, участвующих в процессе инвестирования.

თანამედროვე ტენდენციები და ახალი ინიციატივები სტატისტიკის სფეროში

ნანული ხიზანიშვილი
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე მსოფლიოში უბრალოდ შეუძლებელია უგულებელეყო ინფორმაციის მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში. თუმცა ეს საკმარისი არ არის, საჭიროა მუდმივი ძალისხმევა იმისთვის, რომ ინფორმაცია განვითარებას ემსახურებოდეს. აღნიშნული კარგადაა გაცნობიერებული პროგრესულ საზოგადოებრივ წრეებში, რასაც ადასტურებს არაერთი მაღალი დონის საერთაშორისო შეკრების გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები თუ რეზოლუციები. ამ უკანასკნელთა საფუძველზე წამოწყებული სტატისტიკური ინიციატივები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც საკმაოდ ინტენსიური ხასიათი აქვთ, მკაფიო ორიენტირებია ეროვნული სტატისტიკური სისტემების პროგრესისაკენ ინფორმაციულ გარემოში.

სტატისტიკის სფეროში მსგავსი საქმიანობის მასშტაბებისა და მრავალმხრივობის შესანიშნავი მაგალითია საერთაშორისო სტატისტიკური საზოგადოებრიობის ერთ-ერთი უახლესი ინიციატივა, რომელიც შეეხება „კოლოსალურ მონაცემებს".

„კოლოსალური მონაცემები" სტატისტიკის წარმოებისა და მომსახურების ახალი ინიციატივაა, რომელიც სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და მომსახურების მოდერნიზაციის საკითხებზე გამართულ მაღალი დონის სემინარზე გაცხადდა 2012 წლის 3-5 ოქტომბერს.

თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციის ნაკადებმა მიაღწია ისეთ მასშტაბებს, რომ უკვე აქტიურად განიხილება მათი, როგორც მონაცემთა ახალი წყაროების, ოფიციალურ სტატისტიკურ სისტემაში მოქცევის საკითხი. ასეთი ნაკადებია, მაგალითად, საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო ნაკადების, სოციალური

ქსელების, ფასების, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების სტატისტიკის და ა.შ. შესახებ.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები აქტიურად იწყებენ ამ ნაკადებში კონცენტრირებული ინფორმაციის სტატისტიკური მიზნებისთვის გადამუშავებას და გამოყენებას. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების ინიციატივით, მიმდინარეობს მსგავსი ინფორმაციული ნაკადების სტატისტიკურ წყაროებად გარდაქმნის საკითხის განხილვის პროცესი და რეკომენდაციების შემუშავება, თუ როგორ უნდა მოხდეს ,,არასტატისტიკური" ინფორმაციის სტატისტიკურ ინფორმაციად გარდაქმნა.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ვებ-გვერდზე შეიქმნა სპეციალური პორტალი, სადაც სტატისტიკის სპეციალისტებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ სფეროში; დასვან კითხვები და წამოაყენონ სხვადასხვა რეკომენდაციები. ამ წამოწყების ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყონ ეროვნული სტატისტიკური სამსახურების განვითარებას:

- მოახდინონ ,,კოლოსალური მონაცემების" ოფიციალურ სტატისტიკასთან კომბინირება;
- ჩაანაცვლონ სტატისტიკური მონაცემები ,,კოლოსალური მონაცემებით", სადაც ეს მიზანშეწონილია;
- გამოიყენონ ,,კოლოსალური მონაცემები" ისეთი მაჩვენებლების შესამუშავებლად, რომლებსაც ექნებათ უნარი შეავსონ სტატისტიკაში აქამდე არსებული ,,თეთრი ლაქები" და გამოავლინონ ახალი ტენდენციები, რომელთა შესწავლა არსებული სტატისტიკური პრაქტიკის საფუძველზე გაძნელებული ან საერთოდ შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ,,კოლოსალური მონაცემების პოტენციური შესაძლებლობების შესწავლა და ოფიციალურ სტატისტიკასთან მისი კომბინირების ამოცანა უდავოდ იმსახურებს ყურადღებასა და ძალისხმევას, რათა შესაძლებელი იყოს მომავალში საერთაშორისო სტატისტიკური საზოგადოების

საქმიანობასთან შეთანხმებულად მოქმედება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი ინიციატივები მრავალია. ,,კოლოსალური მონაცემები" ერთ-ერთი უახლესია და საკმაოდ მრავალმხრივი და ფართო მასშტაბიანი. ამიტომ ავიღეთ ის, როგორც თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რა მასშტაბებს იძენს სტატისტიკური ბიზნეს-პროცესების წარმოების თანამედროვე ხედვა.

თანამედროვე ინფორმაციული გარემო, გარკვეული მოსაზრებით, პრეტენზიულია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ინფორმაციის მომწოდებლები მეტ და საფუძვლიან დასაბუთებას ითხოვენ მოთხოვნილი ინფორმაციის მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ინფორმაციის მომხმარებლები მეტად მომთხოვნები არიან გავრცელებული ინფორმაციის შინაარსის, სიღრმის, ხარისხისა და დროულობის მიმართ. ასეთ ვითარებაში, ორივე მხარის ინტერესების დაბალანსების თვალსაზრისით თანამედროვე ინფორმაციული გარემო ლოგიკურად მოითხოვს ინფორმაციის მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან საქმიანი ურთიერთობების ახლებურად წარმოებას. ამ ურთიერთობების წარმართვისას გასათვალისწინებელია შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- მოთხოვნილი ინფორმაციის აუცილებლობის დასაბუთება;
- პროფესიული ნდობის მოპოვება სტატისტიკური პრიორიტეტების სწორად და ნათლად ჩამოყალიბების გზით;
- ანგარიშების შინაარსის, მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიის გამჭვირვალობა;
- ინფორმაციაზე საჭიროებასა და ინფორმაციის მომწოდებელთა საანგარიშგებო ტვირთს შორის ოპტიმალური ბალანსის მიღწევა;
- ინფორმაციის როგორც მომწოდებლების, ისე მწარმოებლების საანგარიშგებო ტვირთის შემსუბუქება მოქნილი ტექნოლოგიების და ინფორმაციის შინაარსის ხარჯზე;
- საქმიანი თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების წახალისება თვით ინფორმაციის მომწოდებლებს შორის;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- ინფორმაციის გავრცელების ხერხებისა და მეთოდების კომ-ფორტულობა მომხმარებლისათვის;
- მაქსიმალურად გახსნილობა ინფორმაციისადმი მომხმარე-ბელთა ინტერესების გათვალისწინების თვალსაზრისით;
- სტატისტიკური ცოდნის გადაცემის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა;
- უწყვეტი სტატისტიკური განათლების სისტემის ფუნქციონი-რების უზრუნველყოფა.

სტატისტიკური განათლება მენეჯერისათვის (არა მხოლოდ მენეჯერისათვის) მნიშვნელოვანია და უდიდეს როლს თამაშობს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორეზე. საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია სწორად აღწეროს და მოიპოვოს ინ-ფორმაცია, წარმოადგინოს მომავლის სანდო პროგნოზი და ამით გააუმჯობესოს ბიზნეს პროცესები.

თანამედროვე სტატისტიკური ტენდენციებისა და ინიცია-ტივების გათვალისწინება და გამოყენება მენეჯერს საშუალებას მისცემს შეიძინოს შემდეგი უნარ-ჩვევები:

- სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით სწორი ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღება;
- კომპიუტერული პროგრამების შესაბამისი კალკულაციების შესრულება, რაც მკვეთრად ამცირებს გათვლებისთვის საჭირო დროს;
- სტატისტიკური ანალიზის გამოყენება მარკეტინგსა და საწარმოო პროცესების მართვაში;
- რისკის მართვის პრაქტიკული პრობლემების გადაჭრა.

საქართველოში სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება და განვითარება თვისობრივად ახალ, მზარდ საზოგადოებრივ როლს აკუთვნებს სტატისტიკას, რჩება რა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პრო-ცესების შემეცნების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად, სტატის-ტიკა სულ უფრო მეტად იძენს საზოგადოების მართვის, ცნო-ბიერების ფორმირების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და შედარების უმძლავრესი საშუალებების ფუნქციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 ბ. გაბიძაშვილი, პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. თბ. 2008წ.

2. ზ. ლიპარტია, ბ. ბიწაძე, სტატისტიკის ზოგადი თეორია, თბ. 2009წ.

3. www.geostat.ge

СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ И НОВЫЕ ИНИЦИАТИВЫ В СТАСТИСТИЧЕСКОЙ СФЕРЕ

Нанули Хизанишвили

Резюме

В статистике существуют области, которые необходимы как для научной так и практической деятельности человека, чувствуется особенная строгость по всем направлениям современого развитого мира, в том числе в экономике.

Статистика – эта та сфера науки, которая вычисляет всё и с особеной точкой зрения за этих простых цифров представлен каждый аспект нашей жизни, с одного взгляда монотонный набор чисел обьективно показывает современную ясность и действительно невозможно ее игнорировать.

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ქვეყნის საბანკო მომსახურების ევოლუციური პროცესების თანამედროვე ტენდენციები

დავითი ნაჭყებია
სტუ დოქტორანტი

საბანკო მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბების ეტაპების თავისებურებების რეტროსპექტიული გამოკვლევებისას მიღებულმა მონაცემთა სისტემატიზაციამ საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ ეროვნული ეკონომიკის განვითარების მხოლოდ პოსტკრიზისულ ფაზაზე იყო უზრუნველყოფილი აუცილებელი პირობების არსებობა, საბანკო მომსახურების ბაზრის, როგორც მის სუბიექტებს შორის კონკურენტული ბრძოლის სფეროს ინტენსიური განვითარებისათვის.

პირველ რიგში, ხარისხობრივი ტრანსფორმაციის პროცესი შეეხო ტრადიციულად, კორპორატიულ კლიენტურაზე ორიენტირებული რესურსების მომსახურების მობილიზაციას, რამაც ასახვა ჰპოვა ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტების მოცულობის ექსპონენციალურ მატებაში. უმსხვილესი კომპანიები აქტიურად იზიდავენ რესურსებს გარე და შიდა ბაზრებზე. იზრდება კორპორატიული ობლიგაციების ბაზარი და სესხების ამ ფორმას იყენებენ არა მარტო მხსვილი, არამედ საშუალო კომპანიებიც. ამიტომ, საბანკო ბიზნესის განვითარება, საბანკო „არაკრედიტული“ პროდუქტების შეთავაზების გაფართოებისკენ და აგრეთვე, აქცენტის გადატანა სეგმენტის უფრო შემოსავლიანი კლიენტების (საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, ფიზიკური პირები) მომსახურებაზე, ქვეყნის საკრედიტო ორგანიზაციების უმრავლესობისთვის პრიორიტეტული მიმართულება გახდა.

საქართველოს ბანკების სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციების დინამიკური და სტრუქტურული ანალიზების შედეგების სისტემატიზაცია, მარკეტინგული და მეცნიერული გამოკვლევების მონაცემების განზოგადება, ეკონომიკურსა და სპეციალურ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომები, მიძღვნილი თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიების განვითარების პრობლემებისადმი, საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ საბანკო მომსახურების ბაზრის განვითარების უფრო მნიშვნელოვანი ტენდენციების სისტემა, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის საბანკო დაწესებულებების მიმდინარე საქმიანობის პრიორიტეტების და აგრეთვე შემდგომი ტრანსფორმაციული პროცესების ძირითადი მიმართულებების რანჟირებას:

1. საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის უნივერსალიზაცია;
2. საბანკო ბიზნესის საცალო მიმართულების განვითარება;
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების როლის გაძლიერება ბანკის კლიენტზე ორიენტირებული სტრატეგიის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად;
4. საბანკო კაპიტალის გამსხვილება.

თითოეული მითითებული ტენდენციის ჩამოყალიბება საბანკო მომსახურების ბაზარზე განპირობებული იყო რიგი მიზეზით. ასე, საკრედიტო ორგანიზაციების უნივერსალიზაცია ჩამოყალიბების პროცესში მყოფი და საბანკო მოსმახურების მდგრადი ზრდის სტადიაზე გამსვლელი ბაზრისთვის, ბუნებრივი პროცესია. მისი დინამიკა განპირობებულია ეროვნული ეკონომიკის საერთო სტაბილიზაციით, რაზეც მეტყველებს მი სი ფუნქციონირების ძირითადი მაკრომაჩვენებლები.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადი ტემპების სტადიაზე ეკონომიკის გადასვლის უზრუნველყოფამ, საბანკო სექტორის ლიკვიდურობის ზრდამ გამოიწვია ფაქტორების ერთობლიობის წარმოქმნა, რომლებმაც არსებითად შეამცირა ფინანსური ინსტრუმენტების შემოსავლიანობა და როგორც შედეგმა, განაპირობა შემოსავლების ახალი წყაროების

მოძიების აუცილებლობა, ფინანსური პროდუქტების შემოთავაზების გაფართოებისა და დივერსიფიკაციის ხარჯზე.

მეორე მხრივ, კონკურენციის გამკაცრება მრავალჯერ ამაღლებს თითოეული კლიენტის ღირებულებას და ბანკისთვის პრიორიტეტული ხდება დამუშავებულ კლიენტთა ბაზის შენარჩუნების და ახალი მიზნობრივი სეგმენტის ათვისება. ამან კი საბოლოო ჯამში, განაპირობა ბანკების თანდათანობითი ტრანსფორმაცია „ფინანსურ მარკეტებში“.

ხარისხობრივი და ფუნქციონალურად ღირებული ფაქტორების გარდა, მსგავს პირობებში განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს არსებული კლიენტების ლოიალურობის ამაღლების საკითხი, ბანკის მიმზიდველი იმიჯისა და მიწოდებული პროდუქტების ხასიათის ფორმირება, რაც ხელს უწყობს პოტენციური კლიენტებისათვის საკრედიტო ორგანიზაციების მომსახურების სამომხმარებლო ღირებულების გაზრდას.

ამ პირობებში, საკრედიტო დაწესებულებების უმრავლესობისთვის განვითარების საერთო მიმართულება გახდა არსებულ კლიენტთა ბაზასთან მუშაობის ინტენსიფიკაცია, რომელიც მიმართული იყო მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და ბანკის კლიენტთან მდგრადი გრძელვადიანი კავშირების დამყარებისკენ. მაგალითად, მსხვილ და საშუალო კორპორატიულ სეგმენტთან მუშაობისას, პრიორიტეტული მიმართულება გახდა საბანკო სერვისის პერსონიფიცირება, რაც გულისხმობს მომსახურების ინდივიდუალური სქემის შემუშავებას. მსგავსი მიდგომის სარეალიზაციოდ ბანკს შეუძლია იმოქმედოს შემდეგი მეთოდებით:

1. ე.წ. „კონსტრუქტორის“ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ფინანსური პროდუქტების მოდულის კომპონენტები (როგორც საკუთარი, ასევე რეალიზებული ხელშეკრულების საფუძველზე, მაგ. დაზღვევა) ეწყობა კლიენტის ინდივიდუალურ პროდუქტში;

2. არსებული პროდუქტის ხაზის მოდიფიცირება, წარმოების უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიებისა და პროდუქტის საბოლოო მომხმარებელთან მიტანის ხარჯზე.

3. პრინციპულად ახალი პროდუქტის შექმნა.

კომპლექსური მომსახურების ორგანიზება, ერთი მხრივ, ბანკებს უფლებას აძლევს აწარმოონ მოქნილი ფასწარმოქნის პოლიტიკა, მოახდინონ გაცემული შეღავათების კომპენსაცია თანმხლები პროდუქტების გაყიდვის ზრდის ტარიფების მიხედვით; მეორე მხრივ, ხელს უწყობს ბანკსა და კლიენტს შორის გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას, კლიენტს უქმნის მომსახურების ექსკლუზიურობის შეგრძნების საშუალებას და საბოლოო ჯამში, მიჰყავს მისი ლოიალურობის ამაღლებისა და აგრეთვე, განმეორებითი გაყიდვების, შემოსავლების და მისი მომსახურების რენტაბელობის გაზრდისაკენ.

„საპაკეტო“ წინადადებების შემუშავება, მიზნობრივ სეგმენტზე მიმართული ზემოქმედების პირობებში, ზრდის ბანკის კონკურენტულ უპირატესობებს და წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს ახალი კლიენტების მოსაზიდად. ამასთან, ბანკს საშუალება ეძლევა მოზიდვის ეტაპზე გამოიყენოს ფასწარმოქმნის დივერსიფიკაციის ხერხები. მაგალითად, თუ კლიენტი მიმართავს მხოლოდ დაკრედიტების მომსახურებისათვის და მიაღწევს პროცენტული განაკვეთის შემცირებას, მაშინ ეს უზღუდავს ბანკს „ვაჭრობის“ საშუალებას. მსგავს სიტუაციებში ბანკის მზადყოფნა, უარი თქვას დროის იმ მომენტში შემოსავლის ნაწილზე, უმრავლეს შემთხვევაში განისაზღვრება მისი სიმტკიცის ხარისხით, თუ, პერსპექტივაში რამდენადაა იგი დარწმუნებული მოცემულ კლიენტთან თანამშრომლობის გაფართოებიდან შემოსულ შემოსავლებში. მაგრამ, თუ ბანკი ეწევა მიზანმიმართულ სამუშაოს ახალი კლიენტების მოსაზიდად, მიზანშეწონილია ერთდროულად შეიმუშაოს რამდენიმე ალტერნატიული „პაკეტი“, რომელიც განსხვავებული იქნება მასში შემავალი საბანკო პროდუქტების რაოდენობით, შემადგენლობით და შესაბამისად, ტარიფების მიხედვით.

რამდენადმე სხვაგვარი სიტუაციაა მცირე ბიზნესის საბანკო მომსახურების სექტორში. ორგანიზაციების ზომის მიუხ-

ედავად, კლიენტი მომსახურებისას ითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას და შეთავაზებული მომსახურების მაღალ ხარისხს. მიუხედავად მოცემული კლიენტის სეგმენტის დაკრედიტების უფრო მაღალი პროცენტული განაკვეთების გამოყენების შესაძლებლობისა და შესაბამისად, თითოეულ კლიენტზე გაანგარიშებული მოცულობებისა, პროცენტული და საკომისიო შემოსავლების მოცულობის აბსოლუტური გამოსახულება, ბიზნესის მცირე ზომის გამო, რჩება უცვლელი.

აშკარაა, რომ კომერციული ბანკის კლიენტთა ბაზაში მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა წილის მნიშვნელოვან ზრდას, რაც გულისხმობს საკრედიტო მომსახურებაზე მათი მასობრივი მოზიდვის ორგანიზებას, შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი შემოსავალი. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს სქემების არსებით გამარტივებას და დაკრედიტების პირობების ლიბერალიზაციას, ახალი მიდგომების შემუშავებას (რომელიც დამყარებულია უფრო არაფორმალურ და ექსპერტულ მიდგომებზე, ვიდრე ოფიციალური ანგარიშგების ანალიზზე) და აგრეთვე, ბანკის შიდა სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის კოორდინაციის არსებით გაუმჯობესებას.

საქართველოს ბანკების საქმიანობის უნივერსალიზაციის ტენდენციების თვალსაზრისით, აუცილებელია აგრეთვე, კლიენტთა მიზნობრივი სეგმენტების გაფართოების ნაწილში ბიზნესის საცალო მიმართულების განხილვა.

ყურადღება უნდა მიექცეს საბანკო მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბების საწყის ეტაპებზე ბანკების უფრო ადრე მითითებულ უკიდურესად სუსტ ინტეგრაციას მეურნეობის ყოველდღიურ საქმიანობაში. ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ საკრედიტო ორგანიზაციები განიხილებოდა, როგორც საგადასახადო-ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა. ამ მტკიცებულების მართლზომიერებას გვიჩვენებს საცალო საბანკო მომსახურების მოთხოვნის შესწავლის შედეგები, ჩატარებული მარკეტინგული კვლევები. გამოყენების ინტენსიურობის მიხედვით ლიდერობს: კომუნალური და სხვა გადასახადების

განხორციელება, სახელფასო ბარათების მომსახურება, ვალუტის გაცვლა და აგრეთვე ფულის გაგზავნა-მიღება.

საბანკო მომსახურების ბაზარზე მსგავსი ტიპის სამომხმარებლო ქცევა შეიძლება აიხსნას შემდეგი მიზეზებით:

1. არა აქვს სურვილი ითანამშრომლოს საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებთან უნდობლობის ან ადრე მიღებული ნეგატიური გამოცდილების გამო;

2. არა აქვს რეალური შესაძლებლობა ისარგებლოს საბანკო მომსახურებით - შემოსავლის დაბალი დონე, არ არის დარწმუნებული საკუთარი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობაში, შემდგომ პერსპექტივებში გაურკვევლობა, საბანკო პროდუქტების მაღალი ღირებულება;

3. მოტივაციის არარსებობა, რასაც განაპირობებს: დეპოზიტების უარყოფითი შემოსავლიანობა, კრედიტების აუცილებლობის არარსებობა, პრინციპული უარი ვალის აღებაზე, საბანკო პროდუქტების მიწოდების სტრუქტურისა და ფუნქციონალური მახასიათებლების შეუსაბამობა მომხმარებელთა ჩამოყალიბებულ უპირატესობებთან, სესხების არაინსტიტუციონალური წყაროების არსებობა და მნიშვნელოვანი მიმზიდველობა.

4. საბანკო მომსახურების მიღების ფორმალური შესაძლებლობების არარსებობა - კერძოდ, დაკრედიტების მომსახურების მაგალითზე, რაც გამოიხატება თავდების, გირაოს, ოფიციალური დაბალი ხელფასის, კრედიტის მიღების პროცედურის სირთულესა და ხანგრძლივობის არარსებობაში.

ყველა ფინანსურ ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის გამკაცრებისა და საერთო შემოსავლიანობის შემცირების შედეგად, მოხდა საბანკო მარჟის უხეში შემცირება, რამაც ბანკებს ბიძგი მისცა კორპორატიული კლიენტებისათვის შეთავაზებული ფინანსური პროდუქტების ახალი წყაროები აგრეთვე აქტიურად აეთვისებინათ საცალო სეგმენტი.

თავის მხრივ, ბიზნესის საცალო მიმართულების წარმატებული განვითარება, მოითხოვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და გაყიდვის განშტოებული ქსელის შექ-

მნას. მომხმარებლის მიერ წაყენებულმა მუდმივად მზარდმა მოთხოვნებმა საბანკო პროდუქტების ხარისხის, სიჩქარის, კეთილმოწყობის და რაც მთავარია, ღრებულების მიმართ, გამოიწვია ის, რომ საბანკო საქმის ქვაკუთხედს, კონკურენტუნარიანობისა და ეფექტურობის მნიშვნელოვან ინსტუმენტს, წარმოადგენს ბანკების მიერ გამოყენებული ტექნოლოგიები, ანუ მთელი სიცხადით გამოვლინდა ინფორმაციული ტექნოლოგიების როლის გაძლიერების ტენდენცია საბანკო დაწესებულების კლიენტზე ორიენტირებული სტრატეგიის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფად.

მთავარი საკითხი არის ის, თუ როგორი საინფორმაციო სისტემა ან სისტემათა კომპლექსი სჭირდება ორგანიზაციას, თავისი ბიზნესის ამოცანების გადასაწყვეტად. საბანკო საინფორმაციო კომპლექსების ობიექტური სირთულეების გამო, განსაკუთრებით თუ ეს ეხება ბაზრის მოთხოვნილებებთან შესაბამისობას, ფინანსური ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ფუნქციების რეალიზაციას ახდებს აუტსორსინგის საფუძველზე, სპეციალური კომპანიების მოზიდვით, რომლებიც ამა თუ იმ პროდუქტს აწვდიან ბაზარს საბანკო საქმის ავტომატიზაციისთვის.

საბანკო ტექნოლოგიების მომსახურების ერთ-ერთი უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბოლო მომხმარებელთან ფინანსური პროდუქტის მიწოდების მრავალი ალტერნატიული არხის ორგანიზება და ეფექტური ინტეგრირება მოქმედ სისტემაში. ტრადიციული ფილიალების შექმნის გარდა, ბანკები აქტიურ ინვესტირებას აწარმოებენ შორი მიწოდების IT-გადაწყვეტილებებში - თვითმომსახურების მთლიანად ავტომატიზირებული ოფისები, მობილური და ინტერნეტ-ბანკინგის ტექნოლოგიები - რაც კლიენტისთვის ხელმისაწვდომს ხდის 24/7*365 რეჟიმში მოწოდებულ მომსახურებას. მეორე მხრივ, ბანკის წარმატება დამოკიდებულია იმაზეც, თუ მიწოდებული პროდუქტი რამდენად ზუსტად შეესაბამება კლიენტის უპირატესობებს. ბანკებმა სერიოზულად დაიწყეს ფიქრი კლიენტებთან ურთი-

ერთდამოკიდებულების მართვის IT-გადაწყვეტილებების დანერგვაზე, რაც ეფუძნება მარკეტინგისა და სტატისტიკური ანალიზის ძირითადი პრინციპების გამოყენებაზე (Cusromer Relationship Management).

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო რამდენიმე წელია საბანკო ავტომატიზაციის ბაზარი ყოველწლიურად იზრდება. დიდდება ბაზრის ჯამური მოცულობა, სირთულე და შესაბამისად, კონტრაქტის ღირებულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ. - საბანკო საქმე: ლექციების კურსი. - თბილისი, გამომცემლობა „აფხ. მეცნ. აკადემია“, 2005. – 565 გვ.

2. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ. - საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები. - თბილისი, 2009. – 400 გვ.

THE MODERN TENDENCIES FOR EVOLUTIONARY PROCESSES OF BANK SERVICE OF A COUNTRY

David Nachkebia
GTU, Phd student

Summary

In the article is discussed the evolutionary process of the banking service market trends, where is formulated the priority of banking service personification to work with medium and large corporate segment, which provides services to individual schemes.

It is noted that one of the more significant trend of the banking IT services is to organize many alternative understandings of financial product delivery to the consumer and effective integration into the operating system.

საფინანსო სისტემა ადგილობრივ თვითმმართველობებში

ზურაბ ვაშაკიძე
სტუ პროფესორი

მანუჩარ ჯაგოდნიშვილი
სტუ დოქტორანტი

ადგილობრივი თვითმმართველობა მმართველობის დეცენტრალიზებული ფორმაა. ეს არის მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა დამოუკიდებლად გადაწყვიტონ და მოაწესრიგონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. 1985 წლის 15 ოქტომბერს ქალაქ სტრასბურგში ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მონაწილეობით გაფორმდა ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობა დემოკრატიული წყობის ერთ-ერთ ძირითადი საფუძველია, მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო საქმეების წარმართვაში ერთ-ერთ დემოკრატიული პრინციპია. ქარტიის თანახმად თვითმმართველობის გაძლიერება მნიშვნელოვანია დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის. აღნიშნული ქარტიის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდა 2004 წელს (საქართველოს პარლამენტის დადგენილება #515 26.10.2004).

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა საჯარო სამართლის იურიდიულ პირია . მისი განხორციელების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, მას აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი და კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებანი. კანონის მიხედვით თვითმმართველი ერთეული შეიძლება იყოს დასახლება ან დასახლებათა ერთობლიობა

(თვითმმართველი ქალაქი ან მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

კანონმდებლობის მიხედვით ადგილობრივ თვითმმართველობებს აქვთ საკუთარი და სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ დელეგირებული უფლებამოსილებანი საჭირო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

დღეისათვის საქართველოში 69 თვითმმართველი ერთეულია: 5 თვითმმართველი ქალაქი (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) და 64 მუნიციპალიტეტი (აფხაზეთი - 1; აჭარა - 5; კახეთი - 8; იმერეთი - 11; სამეგრელო-ზემოსვანეთი - 8; შიდა ქართლი - 7; ქვემო ქართლი - 6; გურია - 3; სამცხე-ჯავახეთი - 6; მცხეთა-მთიანეთი - 5; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 4). თითოეულ თვითმმართველობას მოეპოვება კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებანი და მის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები - ბიუჯეტი.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებების განხორციელების ფინანსურ წყაროს წარმოადგენს შესაბამისი ბიუჯეტი. ზოგადად საქართველოს საბიუჯეტო სისტემა სამი დონის ბიუჯეტისაგან შედგება, ესენია - სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები. მიუხედავად ასეთი იერარქიისა, ყველა დონის ბიუჯეტი დამოუკიდებელია საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპის განხორციელებაში. მხოლოდ სტატისტიკის თვალსაზრისით ახდენს სახელმწიფო (ფინანსთა სამინისტრო) საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შედგენას, რომელიც მოიცავს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა (ნაერთი - რესპუბლიკური და მასში შემავალი მუნიციპალიტეტების) და თვითმმართველობების ბიუჯეტებს.

ბიუჯეტის ფორმირებისა და საბიუჯეტო პროცესის წარმართვის წესებს განსაზღვრავს საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც მიღებულია 2009 წლის 18 დეკემბერს და მოქმედებს 2010 წლის პირველი იანვრიდან. ამ კოდექსის ამოქმედების შემდგომ ძა-

ლადაკარგულად გამოცხადდა მანამდე არსებული საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი კანონები - ,,საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", ,,შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ" და ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ".

საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ადგილობრივ თვითმმართველობებში საბიუჯეტო პროცესის ძირითადი ეტაპებია (იხ. ნახაზი):

საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლის წყაროებია:

1. გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადებიდან (საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; ქონების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი; აქციზი და იმპორტის გადასახადი), რომლებიც მოქმედებს ქვეყანაში, მხოლოდ ქონების გადასახადი მიიმართება ადგილობრივ ბიუჯეტებში (100%-ით ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში).

2. გრანტები - თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლის ძირითადი წყაროა. მასში შედის გათანაბრებითი ტრანსფერი, რომელიც გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით. გათანაბრებითი ტრანსფერის გარდა ადგილობრივმა ბიუჯეტმა შესაძლოა მიიღოს მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით და ასევე სპეციალური ტრანსფერი - ფინანსური დახმარების სახით.

3. სხვა შემოსავლები - პროცენტები, დივიდენდები თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული საწარმოების მოგებიდან, რენტა, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, სანებართვო მოსაკრებელი და სხვა.

განვიხილოთ ზოგიერთი თვითმმართველი ერთეულის 2014



წლის ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსავლების მაჩვენებლები:

1. თვითმმართველი ქალაქი ბათუმი:

შემოსავლები (ათას ლარებში): გადასახადები - 13000,0 - **68%;** გრანტები - 60742,3 – **17%** (მ.შ. გათანაბრებითი ტრანსფერი - 52542,3; სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან - 8200,0); სხვა შემოსავლები - 14925,0 – **15%**

2. თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი:

შემოსავლები (ათას ლარებში): გადასახადები 4500,0 – **72%;** გრანტები - 29271,8 -**17%** (მ.შ. გათანაბრებითი ტრანსფერი 29051,8; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 220,0); სხვა შემოსავლები - 6715,0 - **11%**

3. თელავის მუნიციპალიტეტი:

შემოსავლები (ათას ლარებში): გადასახადები - 1791,1 – **68%;** გრანტები - 6229,99 – **17%,** მ.შ. გათანაბრებითი ტრანსფერი - 6024,9; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 205,0); სხვა შემოსავლები - 1120,4 – **15%.**

4. ბორჯომის მუნიციპალიტეტი:

შემოსავლები (ათას ლარებში): გადასახადები - 2500,0 – **72%;** გრანტები - 190,0 - **2%** (მ.შ. გათანაბრებითი ტრანსფერი - 0; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 190.0); სხვა შემოსავლები - 6910,0 – **26%** (მ.შ. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 6000,0 ათასი ლარი).

ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების დამოკიდებულება გრანტებზე და კერძოდ გათანაბრებით ტრანსფერზე, მხოლოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტია გამონაკლისი, რომელიც საერთოდ არ საჭიროებს გათანაბრებით ტრანსფერს, რადგან საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრება. აქედან გამომდინარე თვითმმართველი ერთეული შემოსავლების ნაწილში სახელმწიფოს ,,ხელის შემყურეა" და მისგან ბოძებული ტრანსფერის შესაბამისად ახდენს ბიუჯეტის დაბალანსებასა და საოპერაციო სალდოს განსაზღვრას.

შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზების პროცესისაგან განსხვავებით ადგილოვრივი თვითმმართველი ორგანო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში უფრო მეტად დამოუკიდებელია. მართალია, ხარჯების გაწევის წესსა და სტურქტურას ფინანსთა სამინისტრო ადგენს (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1046 2007 წლის 10 სექტემბერი ,,ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 672 2010 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე), მაგრამ ბიუჯეტის პრიორიტეტებს, ასევე მის ფარგლებში პროგრამებსა და ქვეპროგრამებს თვითმმართველი ერთეული განსაზღვრავს.

2013 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები პროგრამული ბიუჯეტის ფორმატზე გადავიდნენ. მანამდე არსებული ბიუჯეტის სტუქტურა განსაზღვრავდა კონკრეტული საბიუჯეტო ორგანიზაციის (მხარჯავი დაწესებულების) მიერ განსახორციელებელი სამუშაოების მაჩვენებლებს და არ ითვალისწინებდა მიღწეული შედეგების ანალიზს. პროგრამული ბიუჯეტი კი არის შედეგზე ორიენტირებული ფინანსური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული მიზნის მიღწევას, რაც დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში გამოიხატ-

ება. პროგრამული ბიუჯეტის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების ანალიზია ცალკეული შეფასების ინდიკატორების საშუალებით. ის უფრო მეტად გასაგები და აღქმადია მოსახლეობისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ვიდრე ბიუჯეტის მანამდე არსებული სტრუქტურა, რადგან აქ ჩანს კონკრეტული მიზნები და შედეგები რი სი მიღწევაც არის დაგეგმილი მიმდინარე წელს, მაგალითად, რომელი გზის შეკეთებაა დაგეგმილი, რამდენი სკვერისა და სპორტული მოედნის მშენებლობა უნდა განხორციელდეს და კონკრეტულად რომელ მისამართზე, რამდენი სოციალურად დაუცველი ადამიანის დახმარებაა განსაზღვრული და რა სერვისები იქნება მათთვის ხელმისაწვდომი, რა პროექტები იქნება განხორციელებული ეკონომიკისა და ადგილობრივი მეწარმის მხარდასაჭერად, რამდენი ხე-მცენარის დარგვა და შემდგომი მოვლა-პატრონობა იგეგმება და ა.შ.

პროგრამული ბიუჯეტის პირობებში შესრულების ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია შეფასდეს თვითმმართველი ერთეულის მენეჯმენტის მუშაობაც, მათი კომპეტენტურობა და კვალიფიკაცია, თუ როგორ ართმევენ თავს დასახულ მიზნებს, ეს შესაძლებელია ღონისძიებების განხორცილებების პროცენტული მაჩვენებლების მეშვეობით, ანუ რაც უფრო მაღალია შედეგი, მით უფრო ეფექტურია მისი განმახორციელებელი მენეჯმენტი, ან პირიქით. ამიტომ ბიუჯეტის დაგეგმვისას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისი შესრულებისათვის საჭირო ყველანაირი რესურსი, როგორიცაა ფინანსები, ადამიანური რესურსი, იურიდიული შესაძლებლობები და სხვა.

ამდენად, პროგრამული ბიუჯეტი ფაქტობრივად, არის თვითმმართველი ერთეულის სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ნაწილი, მასში ნათლად ჩანს მიზანი (რა მატერიალურ სიკეთეს უნდა ელოდოს მოსახლეობა). ის ხელს უწყობს ზოგადად საჯარო ფინანსების მართვის განვითარებას,

აახლოებს მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის მენეჯმენტთან და ზრდის მათი კონტროლის შესაძლებლობას.

განხილული ცხადყოფს, რომ საქართველო ადგილობრივი თვითმართველობის განვითარების თვალსაზრისით დემოკრატიულ გზას ადგას და იცავს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის ფუნდამენტურ პრინციპებს. უახლოეს მომავალში მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ყველა თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტს ეყოლება არჩეული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რაც უფრო გაზრდის ქვეყანაში დემოკრატიული განვითარების ხარისხს. ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობების პარალელურად იზრდება, რაც უფრო გაძლიერდება სახელმწიფო ეკონომიკურად, მით უფრო მეტი შემოსავალი ექნება ადგილობრივ ბიუჯეტებსაც და შესაბამისად უფრო მეტი პრიორიტეტების შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობა ექნება, ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბიუჯეტო შემოსავლების თვალსაზრისით ადგილობრივი ბიუჯეტები ძირითადად სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განსაზღრული წესით ფინანსდებიან, ანუ მასზე არიან დამოკიდებულნი. ასევე კარგი იქნება, თუ თვითმმართველი ერთეული მონაწილეობას მიიღებს საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში იმ ნორმატიული აქტების პროექტების შედგენაში, რომელიც უშუალოდ თვითმმართველობებში არსებულ საბიუჯეტო პროცესს ეხება, თუნდაც კონსულტაციის დონეზე.

FINANCIAL SYSTEM OF LOCAL GOVERNMENTS

Zurab Vashakidze - GTU, Professor
Manuchar Jagodnishvili - Doctoral Student of GTU

Summary

The article deals with the financial sources and instruments of local governments's power – their budget, rules, procedures and main milestones of budgeting and its execution, sources of budget income, advantages of program budgeting and etc.

The research approves that development of georgian local governments is democratic by its nature and is in accordance with fundamental principles of European Charter of Local Self-Government.

The article states that local governments have their own income sources to fulfill their obligations. The assessment is made that local governments should take part in the elaboration of those legislative projects, which inevitably effect their budgetary operation.

აქეთ _ აყვავება, იქეთ _ ხრამი (ქართული სოფლის ბედი)

პაატა კოლუაშვილი
სტუ პროფესორი

გიორგი ზიბზიბაძე
სტუ პროფესორი

ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა, როგორცწესი, მოსახლეობის აღწარმოებისა და შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემების მოგვარებას ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს. აქვე შევნიშნავთ, რომ დასაქმება და უმუშევრობა მაკროეკონომიკის ის ძირითადი მაჩვენებლებია, რომელთა მიმართ ხელისუფლების, საზოგადოებისა და მედიის მუდმივად მაღალი ინტერესი არსებობს, რადგან მათი დონის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყნის პროგრესსა თუ რეგრესზე, მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობასა და მათი ქცევის მოდელებზე. აღნიშნულის სიმწვავე კარგად ვლინდება მისდამი საზოგადოების დამოკიდებულებაშიც, როდესაც სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვებით რესპონდენტთა დიდი ნაწილი ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან უმწვავესად უმუშევრობას ასახელებენ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქვეყნის აგრარულ სექტორში ადამიანური რესურსების გამოყენების პრობლემის განხილვა-გაანალიზება. მისი შესწავლის აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ აგრარულ სექტორთან პირდაპირ

კორელაციაშია ეროვნული ეკონომიკის დაახლოებით 17%, ხოლო მულტიპლიკაციური ეფექტის გათვალისწინებით ეს მაჩვენებელი ორმაგდება.

სადღეისოდ ოფიციალური შრომის სტატისტიკა ამ მიმართულებით აგროსექტორისთვის მეტად მწირ მონაცემებს იძლევა. ცქვეყნდება მხოლოდ სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა და პროცენტული წილი საერთო მოსახლეობაში, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა და წილი ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა შორის, სოფლად დასაქმებულთა შემოსავლების ოდენობა და სტრუქტურა. რაც შეეხება მოსახლეობის ბუნებრივი ცვლილების ზოგად მაჩვენებელს, მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურას, ეკონომიკურად აქტიური და არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობას, დასაქმებასა და სხვა მაჩვენებლებს, ისინი, როგორც წესი, მოცემულია მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით, რის გამოც სოფლად (განსაკუთრებით რეგიონების მიხედვით) შრომითი რესურსების ფორმირების, დასაქმებისა და გამოყენების შესახებ ობიექტური სურათის შექმნა ექსპერტული შეფასებით – მხოლოდ მიახლოებითი სიზუსტითაა შესაძლებელი.

დასაქმება ის პრობლემაა, რომლის მოგვარება 2003 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა ძალამ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ვერ შეძლო. პირიქით, მმართველობის 9 წლის განმავლობაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 151 ათასით შემცირდა (ქვეყნის მთელი მოსახლეობის 182 ათასით ზრდის პირობებში), ხოლო უმუშევრობის დონე 11.5%-დან 16.1%-მდე გაიზარდა.

ბოლო წლებში ქვეყანაში ჩამოყალიბებული დასაქმების არარაციონალური სტრუქტურა, დარღვეული პროპორციები დაქირავებით დასაქმებულებსა და თვითდასაქმებულებს შორის, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია აგრარულ სექტორში დასაქმებულთა მაღალი წილით. კერძოდ, 2013წელს (წინასწარი მონაცემებით) სოფლად ცხოვრობდა ქვეყნის მოსახლეობის 46,2%, ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 58,4%, დასაქმებულთა 63,8%, დაქირავებულთა 32,0% და თვითდასაქმებულთა 84,0%; ასეთ პირობებში აგრარულ სექტორში გასულ წელს შეიქმნა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9%.

განსხვავებული სურათია ინდუსტრიულ სექტორში (მრეწველობა, ენერგეტიკა, მშენებლობა) და ეროვნული ეკონომიკის დანარჩენ დარგებში, რომელთა წილი ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში გაცილებით უფრო მაღალია დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში მათივე წილთან შედარებით.

ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაში განსაკუთრებით მაღალია თვითდასაქმებულთა დონე (ევროკავშირის ქვეყნებში ის საშუალოდ შეადგენს 14%). მაგრამ, აქ საგანგაშოა არა იმდენად თვითდასაქმებულთა რაოდენობა, რამდენადაც ის, რომ მათი უდიდესი ნაწილი (84%) სოფლის მეურნეობაზე მოდის, სადაც თვითდასაქმებულთა საშუალო თვიური შემოსავალი არსებითად ჩამორჩება ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებულთა შემოსავლებს.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ დარგში მატერიალური დოვლათის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლებიდან მთავარი ადგილი შრომის მწარმოებლურობას უკავია, რადგან ის უშუალოდ გამოხატავს წარმოების ეფექტის თანაფარდობას შედეგის მიღწევისათვის გაწეულ საერთო დანახარჯებთან (საყურადღებოა, რომ სწორედ ეს მაჩვენებელი უდევს საფუძვლად ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორმაციების ცვლას პროგრესული მიმართულებით).

ცნობილი მეცნიერის, ე. ედისონის გამოკვლევებით, მშპ-ს მატების ორი მესამედი შრომის მწარმოებლურობაზე მოდის, ხოლო დანარჩენი ერთი მესამედი კი – შრომითი დანახარჯების გადიდებაზე. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში (მათ შორის აგროსექტორში) შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლის კრიტიკული შეფასება და სათანადო ანალიზი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს, რადგან

ნებისმიერ წარმოებაში გამოყენებულ საწარმოო ფაქტორებს შორის შრომას, როგორც წარმოების შეუცვლელ ფაქტორს, განსაკუთრებული ადგილი უკავია.

რა სურათი გვაქვს ამ მიმართულებით აგროსექტორში?

სოფლად დასაქმებულთაგან (1100 ათასი კაცი) უშუალოდ აგრარულ სექტორში დასაქმებულია დაახლოებით 850 ათასი ადამიანი, ანუ სოფლად დასაქმებულთა არანაკლებ 77% და ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა თითქმის ნახევარი (49,3%). აღნიშნულის გათვალისწინებით, შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში (მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება ერთ დასაქმებულზე) შეადგენს (2012 წლის მონაცემებით) მხოლოდ 2274 ლარს, რაც საშუალო ეროვნულის (15178 ლარი) მხოლოდ 15 პროცენტი და სოფლის მეურნეობის გარდა საქართველოს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების მიხედვით მიღწეული შრომის საშუალო ნაყოფიერების (27728 ლარი) მხოლოდ 8,2 პროცენტია. ამასთან, შრომის მწარმოებლურობა საქართველოს აგრარულ სექტორში (თვეზე გადაანგარიშებით), შეადგენს შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მხოლოდ 125,4 პროცენტს. იმის გათვალისწინებით, რომ აგრარულ სექტორში თითოეული დასაქმებულის ეკონომიკურ საქმიანობა გამართლებული და მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როცა დასაქმებულთა მიერ წარმოებული დოვლათის ღირებულება საარსებო მინიმუმს არანაკლებ სამჯერ მაინც აღემატება,

ყოველივე აღნიშნული, ბუნებრივია, მოქმედებს შრომის მწარმოებლურობასა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების გამოყენებას უკავშირდება. კერძოდ, შრომაუკუგების მაჩვენებელი (წლის განმავლობაში წარმოებული სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების შეფარდება ფაქტობრივად არსებულ მუშახელის რაოდენობასთან), როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე მის ცალკეულ მხარეებში მეტად დაბალია, რასაც, მართალია, გარკვეულწილად განაპირობებს ტექნიკისა

და ტექნოლოგიების გამოყენების, ასევე წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მეტად დაბალი დონე, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი მაინც შრომითი რესურსებით დატვირთვის მეტისმეტად ჭარბი დონე, ყოფა-ცხოვრების პირობების არასახარბიელო მდგომარეობა და შრომითი მოტივაციის უქონლობაა.

ზოგადად, სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მაჩვენებლად მიჩნეულია – თუ რამდენი ადამიანის გამოკვება შეუძლია სოფლად დასაქმებულ ერთ ადამიანს. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში სოფლად საშუალოდ ერთ დასაქმებულს არა თუ რამდენიმე ადამიანის, არამედ საკუთარი თავის გამოკვებაც არ ძალუძს (ოჯახის გამოკვებას სოფელში დასაქმებული ახერხებს საქმიანობის სხვა წყაროებზე დაყრდნობით – როგორიცაა მომსახურება, ხელზე ვაჭრობა და სხვ.). ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სოფლად დასაქმებული საშუალოდ წლის განმავლობაში ვერ ქმნის იმ ოდენობის დამატებულ ღირებულებას, რაც საკმარისი იქნებოდა უფლის კურთხევის შესასრულებლად, ანუ განაყოფიერდეს და გამრავლდეს, არჩინოს ოჯახი, შესაბამისი განათლება მიაღებინოს ბავშვებს და ა.შ.

ამიტომ დასაქმება მარტო ეკონომიკურ საქმიანობად არ უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან, ერთი მხრივ, ის დამოკიდებულია მოსახლეობის ზრდის დინამიკაზე, ასაკობრივ-სტრუქტურულ და პროფესიულ (კვალიფიციურ) შემადგენლობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე.

ამ კონტექსტში საინტერესოა, თუ როგორია სოფლად რეალური დასაქმების მაჩვენებლის დინამიკა ანუ დასაქმებულთა საერთო რაოდენობა (თვითდასაქმებულთა ჩათვლით), შეფარდებული მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან).

ექსპერტული გაანგარიშებით, აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში 2004 წელს 46,6%-ს შეადგენდა, ხოლო 2012 წლისთვის ის 40%-მდე შემცირდა. რაც შეეხება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების დონეს (დასაქმებული მოსახლეობის რიცხვის შეფარდება 16

წლამდე და 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის საერთო რიცხვთან), ის საქართველოში, 2012 წლის მონაცემებით, რეგიონების ჭრილში 27-50%-ის ფარგლებში მერყეობდა.

ჩვენს მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური რუკებით გაანგარიშებული შრომითი რესურსების ნორმატიული სიდიდე სოფლის მეურნეობაში ამჟამად 400 ათ. კაცს არ უნდა აღემატებოდეს. ფფაქტობრივი მაჩვენებელი კი 2-ჯერ აჭარბებს მას. აღნიშნულთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ 1990 წელს საქართველოში შრომითი რესურსების საერთო ოდენობა 3212 ათას კაცს ,ანუ მოსახლეობის 59,2% შეადგენდა, 2004 წლისათვის მან 2964 ათასი კაცი, ანუ 68,6% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსის საერთო რაოდენობა 1990 წელს სულ 610 ათ. კაცს, ანუ სასოფლო მოსახლეობის 25,1% შეადგენდა.

ამჟამად აგრარულ სექტორში დაბალია წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის საქონლიანობის დონე, რომელიც სოფლად მცხოვრებთა შინამეურნეობებისათვის შეადგენს მხოლოდ 37 პროცენტს. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, არამედ 1980-იანი წლების ბოლოს სოფლად მცხოვრებთა შინამეურნეობებში წარმოებული პროდუქციის დასაქონლიანების დონესაც (45%).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აგროსექტორში დღეისათვის სუსტადაა განვითარებული სამეწარმეო სექტორი. ჩასულ წელს ამ სექტორის მთლიანმა ბრუნვამ 250 მილიონზე ნაკლები შეადგინა, რაც საქართველოს სამეწარმეო სექტორის მხოლოდ 0,5 პროცენტია. აგრარულ სექტორში სამეწარმეო საქმიანობით დასაქმებულ პირთა რაოდენობა არ აღემატება 12 ათას ადამიანს (სოფლად მცხოვრებთა საერთო რაოდენობის 0,6% და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა მხოლოდ 1,4%).

2012 წელს სოფლად ერთი შინამეურნეობის მთლიანმა საშუ-

ალო თვიურმა შემოსავალმა 732 ლარი შეადგინა, მაგრამ თუ შემოსავლების სტრუქტურას გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ უშუალოდ აგროსექტორიდან მხოლოდ 254 ლარია მიღებული (ანუ 34%), დანარჩენი კი დაქირავებიდან, პენსიებიდან და სხვა სახის შემოსავლებიდან. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ შემცირდა სოფლის მეურნეობების საქონლიანობის დონე, რაც წვრილი მეურნეობების ნატურალური ხასიათის მაჩვენებელია. (აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში სოფლად მცხოვრებთა პირადი დამხმარე მეურნეობების საქონლიანობის დონე საშუალოდ 45%-ს შეადგენდა). უკანასკნელი 9 წლიდან ბოლო 5 წლის განმავლობაში თანდათან მცირდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ინდექსი და ამ მაჩვენებლით საქართველო აღმოჩნდა ერთად-ერთი მსოფლიო ქვეყნებს შორის, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირების ინდექსმა 29% შეადგინა.

რამ გააძლებინა ქართულ სოფელს ასეთ გაუსაძლის პირობებში?

აღსანიშნავია, რომ მატერიალური წარმოების სხვა დარგებისაგან განსხვავებით, აგრარულ სფეროში გამოყენებული შრომა ნაკლებ მობილურია, რისი მიზეზიცაა არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შედარებით გრძელვადიანი ციკლი, არამედ სოფლად ცხოვრების წესიც, ჩვეულებები, საცხოვრისთან და მიწასთან დამოკიდებულების მუდმივი კავშირის ტრადიცია. ამის გამო, ხშირია ფაქტები, როცა წლების განმავლობაში პერმანენტულად კლებადი მოსავლის მიღების შემთხვევაშიც კი, საოჯახო ფერმები აგრძელებენ ფუნქციონირებას ურთიერთსოლიდარული ანუ ურთიერთდახმარების პრინციპის საფუძველზე.

სოფლის მოსახლეობასა და შრომითი რესურსების დინამიკაში მომხდარი ზემოაღწერილი რაოდენობრივი ცვლილებები არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ რადიკალურ

სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებს (წარმოების სოციალისტური წესი შეცვალა კაპიტალისტურმა წარმოების წესმა, საზოგადოებრივი საკუთრება – კერძო საკუთრებამ, განხორციელდა ეკონომიკური რეფორმა, რომელსაც წინ უსწრებდა აგრარული (მიწის) რეფორმა და სხვ.), რამაც არსებითად შეცვალა ქვეყნის საერთო ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური გარემო. ხუთი წლით გაიზარდა საპენსიო ასაკი, წარმოიშვა მანამდე უცნობი ისეთი პრობლემები, როგორიცაა უმუშევრობა, ჰიპერინფლაცია და სხვ. მაგრამ აქ დამაფიქრებელია ის, რომ საქართველოს მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირების ფონზე საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მოსახლეობის წილი.

ეჭვი არაა იმაში, რომ სოფლად მოსახლეობის ზრდის მყარი ტენდენცია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების უკიდურესად დაბალი დონის მაჩვენებელია და ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკის პირდაპირი ნეგატიური შედეგია. ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში სოფლად გაიზარდა შრომითი რესურსების საერთო რაოდენობა, ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა ამავე პერიოდში პირიქით – შემცირდა, რაც არაა გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ იმ დემოგრაფიულ სურათს, რომლითაც დღეს სოფელია წარმოდგენილი (სოფლად იზრდება ხანდაზმული ადამიანების ხვედრითი წილი, ხოლო მოზარდთა წილი კი პერმანენტულად ეცემა).

რა ღონისძიებები უნდა გაატაროს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით მდგომარეობის გამოსასწორებლად?

პირველი ნაბიჯი სოფლად შექმნილი არასასურველი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უკვე გადადგმულია. მხედველობაში გვაქვს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოპერატივის შესახებ'', მაგრამ მარტო კანონის მიღება, როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს, სახელმწიფოს

აქტიური მხარდაჭერის გარეშე სოფლად მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. ხსენებულ კანონში კი რაიმე სახის კონკრეტული მხარდაჭერა სოფლად საქონელმწარმოებელთა მიმართ არ ჩანს.

ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად, საჭიროა შემუშავდეს და ამოქმედდეს სოფლის განვითარების პოლიტიკაც. სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან (სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება), რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, განვითარების გარეშე (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმართველობა – არჩეული მამასახლისი, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა – გზა, წყალი, ელექტროენერგია, ჯანდაცვა, ბაგა-ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, დასაქმება და სხვ.) ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ემუქრება. თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი.

ამიტომ, ვისაც დღეს საქართველოს ეკონომიკის დაგეგმვა და მართვა ავალია, არ აქვს იმის დავიწყების უფლება, რომ გლეხკაცი არის (და ყოველთვის იქნება, თუ მცდარმა ან დანაშაულებრივმა პოლიტიკამ არ შეუშალა):

– სოფლის, როგორც საზოგადოების, ერისა და ეკონომიკური ფუძე-ერთეულის, მოსახლე და შემნახავი (სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელი);

– (სასაზღვრო ზონებში) ტერიტორიის გულით მონდომებული დამცველი;

– ნატურალური პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობაში გულწრფელად დაინტერესებული მეურნე;

– შთამომავლობის მრავალრიცხოვნობასა და მაღალხარისხოვან აღზრდაში დაინტერესებული მეოჯახე;

– ქვეყნის კეთილდღეობასა და ძლიერებაში ასევე გულწრფელად დაინტერესებული მოქალაქე.

ამისათვის მას სჭირდება:

– თავისი ოჯახის სავსებით დამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა;

– ურბანულთან მაქსიმალურად მიახლოებული ცივილიზაციური კომფორტი;

– ურბანულთან მიახლოებული განათლების საშუალება ბავშვებისათვის;

– გონივრული ხარისხი დამოუკიდებლობისა ეკონომიკურ პარტნიორებთან საქმიან ურთიერთობაში (ღვინის ქარხანასთან, საკონსერვო ქარხანასთან, მექანიზაციით მომსახურების ფირმასთან, საწვავით მოვაჭრესთან, ჩაის ფაბრიკასთან, რძის შემგროვებელ და გადამმუშავებელ საწარმოსთან, ხორცკომბინატთან, პირუტყვის სასაკლაოსთან, ლოგისტიკურ ცენტრთან, საცავ-მაცივართან და ა.შ.);

– თავისი შთამომავლობისათვის ფართო (გეოგრაფიულად და სოციალურად) პერსპექტივის იმედი.

როგორც ცნობილია, დღეისათვის ფერმერული მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი სუსტი რგოლი მათი საქმიანობაა მაღალი რისკის პირობებში. აქედან გამომდინარე, მათ ხელი უნდა შეეწყოთ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით ქონებისა და მოსავლის დაზღვევის საქმეში.

ამასთან ერთად, საჭიროა აგროსექტორში ისეთი საინვესტიციო პროექტების შემუშავება და რეალიზაცია, რომლებიც სტიმულს მისცემს არა მარტო სოფლის მეურნეობის, როგორც სანედლეულო ბაზის განვითარებას, არამედ აგრონედლეულის გადამმუშავებელი, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა რეაბილიტაციას და შემდგომ განვითარებას მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით (ეს მოთხოვნა ობიექტურია, რადგან აგროწარმოება, გადამმუშავებელი სიმძლავრეების გარეშე, სათანადო დონეზე ვერ განვითარდება).

სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა სჭირდებათ აგრომეწარმეებს კრედიტზე ხელმისაწდომობის გაზრდისათვის, რისთვისაც შესაქმნელია სპეციალიზებული აგროსაკრედიტო (კოოპერაციული, ურთიერთდახმარების, თავდებობისა და გარანტიების) სისტემა.

არანაკლებ მნიშვნელობას იძენს კონკურენტული უპირატესობის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხების მოგვარება, გადამმუშავებელ საწარმოებთან სასოფლო კოოპერატივების ინტეგრაცია და სხვ.

ყველა შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის ოპტიმალური დონე როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში, ძირითადად დამოკიდებული იქნება ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მთავრობის მიერ აქტიური ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ზოგადად შრომაზე ერთობლივი მოთხოვნა, ბუნებრივია, გაიზრდება. ის შესაბამისობაში მოვა რეალურად საჭირო შრომითი რესურსის რაოდენობასთან და სამუშაო ძალით უზრუნველყოფის დონე მის წონასწორულ მდგომარეობას დაუბრუნდება, ანუ აგროსექტორში დარჩება იმდენი მუშახელი, რამდენიც მას რეალურად ესაჭიროება (ამასთან, საქართველოს მთავრობას მისაღები აქვს ნორმატიული აქტი „სოფლის მეურნის შესახებ“).

ჩვენი აზრით, სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენსაც სოფელი სჭირდება თავის სარჩენად და გასახარებლად (ჩვენი გათვლებით, ქართული სოფლის ტევადობა დაახლოებით 2.5-4 მილიონ ადამიანს შეადგენს. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით შემდეგ ნაშრომში ვისაუბრებთ). ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ცხოვრობენ და საქმიანობენ სოფლად (მასწავლებლები, ექიმები, ექთნები, მექა-

ნიზატორები, მელიორატორები, კულტურის მუშაკები, ხანდაზმული ადამიანები და სხვ.), როგორც წესი, ბევრად (3-4ჯერ) აღემატება მათ რაოდენობას, ვინც უშუალოდ დაკავებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით ანუ ხნავს, თესავს, ვენახსა და ხეხილს სხლავს, თიბავს, პირუტყვს უვლის და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ დასაქმებულთა ნორმატიული სიდიდე (ოპტიმალური რიცხოვნობა) დღეს, ჩვენი გაანგარიშებით (სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური რუკებით), 345-355 ათას კაცს შეადგენს, რაც ნახევარი მილიონით ნაკლებია ფაქტობრივად დაფიქსირებულთან (850 ათასი კაცი). თუმცა მომავალში, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ქართული სოფლის სპეციფიკური თავისებურების გათვალისწინებით (რთული ვერტიკალური ზონალობა, მრავალ- დარგოვნება, კულტურათა მრავალფეროვნება და სხვ.), შესაძლოა მათი რაოდენობა ოპტიმისტური სცენარით 300-330 ათას კაცამდე შემცირდეს, ანუ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 15-20 პროცენტის ფარგლებში დარჩეს (მხედველობაში გვაქვს, მექანიზაციის დონის ამაღლება, წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა პროგნოზირებადი პროგრესული მიმართულებები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ერთი დასაქმებული პირის მიერ, როგორც მინიმუმ 25–30 ადამიანის გამოკვება).

აქვე დავამატებთ, რომ ზემოაღნიშული პროგნოზი რეალურად შესრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოფლად საქმიანობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პარალელურად ჩატარდება შესაბამისი აქტივობები უკანასკნელ წლებში სოფლის მიმართ ჩამოყალიბებული უარყოფითი ფსიქოლოგიური იმიჯის შესაცვლელად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დაუბრუნდეს საშოვარზე გადახვეწილი ჯანმაგარი გლეხკაცი მიტოვებულ სოფელს და დაუბრუნოს მას ის ფუნქცია, რომელსაც სოფელი საუკუნეების განმავლობაში ასრულებდა ქვეყანაში.

სოფლად შემოსავლების ზრდისა და ქალაქთან გათანაბრებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად, საქართველოს მთავრობამ, მსგავსად დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებისა, რამდენიმე დებულებით უნდა იხელმძღვანელოს:

• სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმართველობა, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა) განვითარება, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, რაც ეროვნული იდენტურობისა და მოსახლეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს;

• გარემოს დაცვა/შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის პოტენციალს შეიცავს;

• ინფორმაციის (მ.შ. ტელეკომუნიკაციის) გავრცელებისა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობა სოფლის ქალაქთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა;

• სოფლად პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

ჩამოთვლილი დებულებები სრულად პასუხობენ „ლისაბონის სტრატეგიისა“ და „ევროპა-2020-ს“ 5 მოთხოვნას „ეკონომიკური ზრდისა და მეტი, უკეთესი, სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ“.

ეს ამოცანა, თავისთავად, რა თქმა უნდა, არ შესრულდება. ამ მიზნით საჭიროა პრინციპულად ახალი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა და აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც საბოლოო ანგარიშით სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და აგრარული შრომის მოტივაციის ამაღლებას უკავშირდება.

THE FORTUNE OF GEORGIAN VILLAGE

Paata Koguashvili, George Zibzibadze,

GTU Professors

Human source optimization and the agricultural production labor source ensuaring on normative level at countries, the officiency of the thrift economy and the country's food safety growth interests objectively need scientifically well-founded and practically realizable implementation of the state economic (agrarian) politics and its proper settling. According to that, the country's short-term and long-term objectives and pruposes of national agriculture and also of its separate field's and spheres must be determind. Because of that the basic priors and directions of agro sector, also the concrete objectives of production of agricultural output must be selected, and the ways of achieving the goals must be projected according to the foreseeing experience of Euro Union and other developed countries.Herewith, the optimal level of the human sources as in short-range also in long-range prespectives basically depends on economic politics provided by the government. In the case of providing active agrarian politics, generally the demand on labor will increase. So it will come in accordance with the required amount of labor and will return to its equilibrium level. It means that there will remain the necessary amount of labor in agro sector (presumably, 15-20% of the population living at villages).

ორგანიზაციული მართვის ეფექტურობა მშენებლობაში

თამარ ვანიშვილი
სტუ დოქტორანტი

თამაზ ხმელიძე
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ სრული პროფესორი

მშენებლობა წარმოადგენს მატერიალური წარმოების დარგს. იგი ეროვნული მეურნეობის დამოუკიდებელი ერთეულია ძირითადი და არასაწარმოო კაპიტალით.მშენებლობისათვის გამოყოფილი ფინანსების ათვისებით ხდება ახალი ან რეკონსტრუირებული ობიექტების (საცხოვრებელი სახლები, სამრეწველო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, სპეციალური ნაგებობები და სხვ.) აშენება და საექსპლუატაციოდ ჩაბარება.

ქვეყნის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საზოგადოებაში დაგროვილი კაპიტალური დაბანდებების ეკონომიკურ ეფექტურობას, რომლის ძირითადი ნაწილის რეალიზაცია ხდება მშენებლობის ხაზით. დღეისათვის მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა ასი ათას აღწევს, ხოლო მასთან უშუალოდ ან ირიბად, ფინანსურად დამოკიდებულთა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის მეოთხედია, რადგანაც ამ რაოდენობაში შედის არა მარტო მშენებლები, არამედ მშენებლობისათვის საჭირო მასალების (ცემენტი, ბეტონი, ხე-ტყე, პლასტმასები, ინსტრუმენტები, ხელსაწყოები, ელექტრო-, წყალ-, გაზგაყვანილობები და სხვ.) წარმოება და მიწოდება ობიექტებზე. ამიტომ, ბუნებრივია, მშენებლობის ეკონომიკას და ორგანიზაციული მართვის ეფექტურობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მშენებლობის ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკური მეც-

ნიერების დარგს, რომელიც სწავლობს კაპიტალური მშენებლობის განვითარებისა და ეფექტურობის კანონზომიერებებს, იკვლევს მმართველობის ორგანიზაციული ფორმების დახვეწის საკითხებს, რომელსაც მიეკუთვნება სამშენებლო წარმოების სპეციალიზაცია, კოოპერირება, კომბინირება და კონცენტრაცია. დაკავებულია ისეთი მიმართულებების დამუშავებით, როგორიცაა დაპროექტება, ტიპიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, ეკოლოგია, ქალაქმშენებლობის განაშენიანების პირობები, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობა, სტიმულირება, ფასები, კრედიტები და რაც ყველაზე არსებითია - ორგანიზაციული მართვის ეფექტურობა.

საშუალო სიდიდის სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-ხელის რაოდენობა 200...300 ინდივიდია. ადამიანების ასეთი მასის სწორი ორგანიზაციული მართვა უცილობლად იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს. ორგანიზაციულ მართვაში მოიაზრება:

1. სიახლეების დანერგვა;
2. რისკიანობა;
3. შედეგზე ორიენტირება;
4. დეტალების მიმართ ყურადღება;
5. ადამიანებზე (გუნდზე) ორიენტირება და სტაბილურობა;
6. მუშახელის დენადობა.

სწორი ორგანიზაციული მართვა ითავსებს მატერიალური რესურსების მართვის ფუნქციას, რომელიც შეიძლება გავაერთიანოთ ოთხ ძირითად ჯგუფად: მატერიალური ნაკადების პარამეტრების შერჩევა და დაგეგმვა (საჭირო მატერიალური რესურსების დასახელება, ხარისხი, რაოდენობა, სასაქონლო პარტიის ზომები, ვადები და სხვ.); მატერიალური რესურსების შეძენის ორგანიზაცია (კონკრეტული მატერიალური რესურსების ყველა ხარჯების ანაზღაურება); მატერიალური ნაკადების პარამეტრების რეგულირება (მიწოდების ვადები, გამყიდველთან ანგარიშების ფორმის კორექტირება); მატერიალური რესურსების მართვის პროცესის კონტროლი.

მატერიალური რესურსების მართვაში მნიშვნელოვანია მართვის სუბიექტის დამოუკიდებლობა, ანუ დირექტორიდან დაწყებული მუშამდე, ყველა რგოლის სუბიექტი თავს უნდა გრძნობდეს დამოუკიდებლად, რადგან დამოუკიდებლობა გარანტიაა იმისა, რომ სუბიექტი მუდამ იზრუნებს ფირმის (წარმოების, ორგანიზაციის) კეთილდღეობაზე. ერთდროულად აუცილებელია მართვის პროცესში წარმოქმნილ ცვლილებებზე ზუსტი და ოპერატიული რეაგირება. მნიშვნელოვანია მომსახურე პერსონალის მატერიალური სტიმულირება, რაც ამცირებს დენადობას და ამაღლებს ორგანიზაციის სტაბილურობას.

მართვის სუბიქტის საქმიანობის ორგანიზება უნდა მოხდეს მისი ეკონომიკური მიზანმიმართულების პრინციპით. მას უნდა გააჩნდეს შრომის სწორი ორგანიზაციის მოტივაცია, დაინტერესება სამსახურით ფინანსურ კეთილდღეობაზე. შემოსავლის ზრდის ხარჯზე, ქონდეს მინიმალური დანახარჯები და ერთდროულად, ნათელი და დალაგებული მართვის უზრუნველყოფა, ანუ ამ სუბიექტში უნდა ხდებოდეს მართვის ეფექტიანობის პრინციპის რეალიზაცია, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ფირმაში მომსახურეთა კეთილდღეობასა და კეთილგანწყობას ხელმძღვანელების მიმართ და რაც ფირმის სტაბილურობის გარანტიაა.

აუცილებელია მართვას გააჩნდეს თავისი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მიზნობრივი დადგენილების დასაბუთებას. სტრატეგიაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სიტუაციის აღწერა, საერთო მიზნების დადგენა და მისი დაყვანა შემსრულებლებამდე, მიზნების კომპლექსური განხილვა და დასახული მიზნების მიღწევის შესაფასებელი კრიტერიუმების დადგენა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გასათვალისწინებელია არა მარტო დამკვეთის ფინანსური შესაძლებლობები, არამედ გემოვნებაც, რადგან ერთი და იგივე დანიშნულების ობიექტი შეიძლება ავაგოთ სხვადასხვა სამშენებლო მასალისაგან დამზადებული კონსტრუქციებით, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა

კონსტრუქციის მასალის არჩევისას ეკონომიკურ ანალიზს ეკუთვნის. მასში იგულისხმება 1 მ^2 ან 1 მ^3 გადახურული სივრცის ღირებულება ვარიანტების შედარების დროს. ეკონომიკური თვალსაზრისით, დასკვნების გასაკეთებლად, სრულიად საკმარისია ლოკალური ხარჯთაღიცხვის შედგენა (საობიექტო და კრებსითი ხარჯთაღრიცხვები საჭირო არ არის) რესურსული ან ბაზისური მეთოდით.

მშენებლობაში გამოყენებული მასალების (კონსტრუქციების) ეფექტურობას განაპირობებს ბევრი არსებითი ფაქტორი: სიმტკიცე, ხვედრითი სიმტკიცე, წონა, დამზადების ტიპი და ადგილი, ტრანსპორტირება, მონტაჟი, ფასი, დიზაინი, ენერგეტიკული რესურსები, დამკვეთის სურვილები, მალის სიდიდე და სხვ. მაგ., რკინაბეტონის გამოყენება მიზანშეწონილია დაბალსართულიან მასიურ ნაგებობებში, ხის - აგრესიულ გარემოში, ლითონის - დიდმალიან მსუბუქ გადახურვებში და ა.შ.

ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრისათვის ვარიანტების შედარების ბაზად (ეტალონად), მიიღება: ძირითადი მასალების ხარჯი, კონსტრუქციების მასა, კონსტრუქციების დამზადების და მონტაჟის შრომითი დანახარჯები, საექსპლუატაციო დანახარჯები და ექსპლუატაციის დაყვანილი ხარჯები. მაგ., კონსტრუქციების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გამოითვლება ფორმულით:

$$Ö_{\text{ხარჯთ.}} = (Ö_{\text{გამ}} + Ò) \cdot K_{\text{დ.ს.ხ.}},$$

სადაც $Ö_{\text{გამ}}$ – კონსტრუქციის გამოსაშვები (გასაყიდი) საქარხნო ღირებულება, ლარი; $Ò$ – სატრანსპორტო ხარჯები, ლარი; $K_{\text{დ.ს.ხ.}}$ – დამზადების და საწყობის ხარჯების გამთვალისწინებელი კოეფიციენტი.

გაანგარიშებებში გასათვალისწინებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გაძვირების ინდექსი, რომელიც მიიღება რესპუბლიკური (რეგიონალური, საქალაქო) ფასწარმოქმნის ორგანოების დადგენილებების საფუძველზე.

კომერციული დანიშნულების ობიექტის მეპატრონისათვის,

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, სწორი ორგანიზაციული მართვის პირობებში, მშენებლობის ვადების შემცირებით მიღებულ ეკონომიკურ ეფექტს, რომელიც ფულად გამოსახულებაში გამოითვლება ფორმულით

$$Ý = \left(P_{\text{ფ}}^{\text{საშ}} / 100\right) \cdot \Phi \cdot (T_{\text{ნ}} - Ò_{\text{ჯ}}),$$

სადაც Φ — იმ წარმოების ფონდის საშუალო რენტაბელობა, რომელსაც მიეკუთვნება ობიექტი, % (როგორც წესი 15...20% და მეტი); Φ – ექსპლუატაციაში შეყვანილი ძირითადი ფონდების ღირებულება, ათასი ლარი; $T_{\text{ნ}}$ და $Ò_{\text{ჯ}}$ – მშენებლობის ხანგრძლივობა ნორმების და პროექტის მიხედვით, წელი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, მშენებლობის ეკონომიკამ სწორი ორგანიზაციული მართვის პირობებში, ძირეული ცვლილებები განიცადა და დღეისათვის მისი შესწავლის ძირითადი მიმართულებები შემდეგია:

- თანამედროვე პირობებში კაპიტალურ მშენებლობაში ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობა;
- საინვესტიციო პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და სამშენებლო დაპროექტების ეკონომიკური საფუძვლები;
- სამშენებლო ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობაზე ზემოქმედების ფაქტორები სამშენებლო პროდუქციის კონკურენტუნარიანი ბაზრის პირობებში;
- სამშენებლო წარმოების ფირმისშიგა დაგეგმვის საკითხებისადმი ახალი მიდგომა მინიმალური დანახარჯების მიღწევის მიზნით;
- სამშენებლო ორგანიზაციების მმართველობის ფორმები საკუთრების სხვადასხვა ფორმის პირობებში;
- თანამედროვე პირობებში მშენებლობის დაფინანსება და დაკრედიტება;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა;
- სამშენებლო ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის ან-

ალიზის მეთოდები;

- მშენებლობის პროცესში ინვესტორების ეკონომიკური ურთიერთკავშირი;
- დარგის თავისებურებების, რესურსების ეფექტური გამოყენების, საინვესტიციო საფუძვლების, კაპიტალური დაბანდებების ეფექტურობის, წარმოების ძირითადი ელემენტების (მუშახელი, საშენი მასალები, კონსტრუქციები, დეტალები, ნაკეთობები, სამშენებლო მანქანები, მექანიზმები, ინსტრუმენტები, ინვენტარი და სხვ.) შესწავლა;
- სამშენებლო კომპლექსის ფუნქციონირების ახალი ნორმატიული აქტებისა და კანონმდებლობის გაცნობა;
- სამშენებლო ობიექტის საპროექტო გადაწყვეტის დასაბუთება;
- მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლიანი შესწავლა;
- საწარმოო-ეკონომიკური გეგმების, სამეურნეო საქმიანობის შედეგების აღრიცხვის და ანალიზის ორგანიზაციის, ფასების კონტროლის, თვითღირებულების, მოგების, შრომის ორგანიზაციის, ხელფასების ეფექტურობასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება;
- მშენებლობის ეკონომიკური ეფექტურობის გზების ძიება ორგანიზაციული მართვის გამოყენებით.

ამრიგად, მშენებლობის ეკონომიკა დაკავებულია მშენებლობის, როგორც ნაციონალური ეკონომიკის განსაკუთრებული დარგის შესწავლით, რომელიც ფორმირდება, ერთი მხრივ, როგორც ძირითადი ფონდების კვლავწარმოების პროცესი, რასაც სჭირდება აუცილებელი კაპიტალური დაბანდებები, და, მეორე მხრივ, როგორც მატერიალური წარმოების საკუთარი განვითარების პროცესი.

სამშენებლო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტურობისათვის აუცილებელია ქვეყანაში დაინერგოს ორგანიზაციული მართვის (ქცევის) ისეთი ფორმები, რომელიც მისაღები იქნება ქართული სამშენებლო ინდუსტრიისათვის, კერძოდ, შედეგზე ორიენტირებული ორგანიზაციული მართვა.

ლიტერატურა

1. გ. ცინცაძე. მშენებლობის ეკონომიკა. სტუ, თბ. 2008.
2. მ. ზუბიაშვილი, ნ. კიკნაძე, ბ. სოსელია. კომერციული საქმიანობის მენეჯმენტი, სტუ, თბ. 2011. – 206 გვ.
3. Организация строительства в США. 2004. ФИС.
4. თ. ვანიშვილი, თ. ხმელიძე, გ. ცინცაძე. შემოსავლები, მოგების სახეობები და რენტაბელურობა მშენებლობაში. სტუ-ს დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები. თბ. 19-21 სექტემბერი, 2012.

„ЭФФЕКТИВНОСТЬ ОРГАНИЗАЦИОННОГО ПОВЕДЕНИЯ В СТРОИТЕЛЬСТВЕ“

Тамар Ванишвили, Тамаз Хмелидзе

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены пути экономической эффективности строительства, как отрасли материального производства с использованием организационного управления. Описана стратегия управления, которая обеспечит документирование целевого постановления – описание ситуации, общей цели, доведения до исполнения, комплексный обзор целей и установление критериумов оценки достижения поставленных целей. Описаны основные направления изучения организационного управления в условиях рыночной экономики.

სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპები და თავისებურებები

თენგიზ ლაჭყეპიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სასწავლო უნივერსიტეტ „ვიტა ჯორჯიას“
ასოცირებული პროფესორი.
ნინო თევდორაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.

ყველა ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური პირობების ერთიან ციკლში ერთ-ერთ ძირითად პრობლემად მიჩნეულია საქონლის ექვივალენტური გაცვლის საკითხი, რომელიც, თავის მხრივ, საბაზრო ურთიერთობათა საფუძველია.ამ უკანასკნელის დამკვიდრება რთული პროცესია და მისი განხორციელება მოითხოვს შესაბამისი გარემოს შექმნას, სოციალურ-ეკონომიკური ბაზისის ეტაპობრივად მომზადებას.საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრების პროპორციულად უნდა გადაიჭრას მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა, კონკურენტული გარემოს განვითარება, მონოპოლიზმის აღმოფხვრა ყველა სფეროში, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის შემუშავება-ამოქმედება და მართვის შესაბამისი სტრუქტურის ჩამოყლიბება.

ამდენად, თანამედროვე ეტაპზე საბაზრო მექანიზმი წარმოადგენს წარმოების, გადანაწილების , გაცვლისა და მოხმარების პროცესებზე ეკონომიკური ზემოქმედების მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობას, სასაქონლო-ფულადი სისტემის პირობებში, რაც ბაზრის ურთიერთობათა მაღალეფექტიანი ფუნქციონირების მხოლოდ იმ პირობებშია შესაძლებელი, თუ უზრუნველყოფილია მეურნეობრიობის სრულყოფილი ფორმებით და ამ პრინციპებისადმი ადექვატური მექანიზმებით.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულამდე საქართველოს სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური ურთიერთობები დაფუძნებული იყო მართვის მკაცრ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებზე, რამაც გამოიწვია სხვადასხვა მეთოდებით წარმოების დაცემა და ბოლოს სურსათის ბარათებით განაწილება.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ამ მომენტებს გამორიცხავს და ყოველგვარი გარიგებები მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის მათი ინტერესების შესაბამისად ხდება. მწარმოებლის ინტერესია ხარჯების დაფარვა და გარკვეული მოგების მიღება. მომხმარებლისა კი- საქონლის ყიდვა მისთვის მისაღებ ფასებში. თუმცა ეს მხოლოდ იდეალურ პირობებში ხდება და პრაქტიკაში იშვიათია. ამიტომ არის საჭირო ბაზრის რეგულირების დამუშავება და ამოქმედება. ბაზრის ფუნქციონირება დაკავშირებულია ისეთ მომენტებთან, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ამ პროცესებზე:

შემცირებასა და ფასების ზრდასთან, რაც დიდ ზიანს აყენებს მომხმარებლის ინტერესებს;

წარმოებისა და მოხმარების სფეროში ისეთი დანახარჯების აუცილებლობა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული არაა პროდუქციის შექმნასთან და მოგებასაც ამცირებს. ასეთი ხარჯებია: გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების, სოციალური ინფრასტრუქტურის და ა. შ ხარჯები, რომლებიც გავლენას ახდენენ რესურსებით უზრუნველყოფაზე, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებაზე და საფუძველს იძლევიან ბაზრის მონაწილე სუბიექტთა საქმიანობის დასარეგულირებლად.

კონკურენციის დღევანდელი მასშტაბებისათვის საჭირო მყიდველთა და გამყიდველთა შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა საკუთარი ინტერესების უკეთ წარმართვისათვის.

დღევანდელი საქართველოს სასურსათო ბაზრის პირობებში ამ საკითხების მოგვარება ძალზე ძნელია. ამას ადასტურებს მოსახლეობის მომარაგების მონოპოლისტური ხასიათი, რაც ხელს უწყობს უხარისხო, დაავადებული საფურაჟე ხორბლის შემოტა-

ნას და მოსახლეობის საკვებად გამოყენებას. ქვეყანა ვერ ახორციელებს დარგის დაცვის ღონისძიებებს და უზარმაზარ ზარალს იძლევა და მისცემს მომავალ თაობებსაც მიწის ეროზიის, დამლაშების, ჩამორეცხვის, სხვადასხვა წიაღისეულის მტაცებლური მოპოვებით განადგურებასა და ტყის გაჩეხვით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების შედეგად. საერთოდ მოშლილია სოფლად სოციალური ინფრასტუქტურის სისტემა. ამან გამოიწვია გარკვეულწილად უმუშევრობა, ახალგაზრდების მიგრაცია ქალაქად, და სხვა მტკივნეული საკითხები სოფლად.მთლიანად მოუგვარებელია მყიდველთა ინფორმაციული უზრუნველყოფა საქონლის წარმომავლობის, ხარისხისა და საიმედოობის შესახებ. ეს განსაკუთრებით ეხება იმპორტულ საქონელს, რომლის შესახებაც მყიდველმა არ იცის რა ხარისხისაა, რამდენად უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის და ა.შ.რადგან გამყიდველები დაინტერესებულნი არ არიან მიაწოდონ ეს ინფორმაცია და მკაცრად ასაიდუმლოებენ მას.

ზემოთაღნიშნული უარყოფითი მომენტების თავიდან აცილებას სასწრაფო ქმედებები სჭირდება, რაც გულისხმობს მწყობრ, კოორდინირებულ სისტემას იმის შესარჩევად, თუ რა ვაწარმოოთ, როგორ ვაწარმოოთ და ვისთვის ვაწარმოოთ. ეკონომიკური კოორდინირების ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია ბაზარი, რომელიც სტიქიურებისა და ორგანიზებულობის დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს. ორივე ეს ფაქტორი აუცილებელია და რომელთა უგულებელყოფა ან უარყოფა არ შეიძლება. ამდენად, საჭოროა ბაზარზე ზემოქმედების ისეთი ფორმების მოძებნა, რომელიც ამ ორი ფაქტორის ოპტიმალურ შეთანაწყობას მოახერხებს.

ყველა ქვეყანაში წარმოებული სასურსათო პროდუქცია ნაწილდება კვლავწარმოების , საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და ექსპორტის კატეგორიებს შორის. მათი თანაფარდობა განსაზღვრავს პროდუქციის წარმოების მოცულობას, სტრუქტურას, გაფართოებული კვლავწარმოების წინამძღვრებს და წარმოადგენს როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერის, ისე მოსახლეობის კეთილდთეობის ძირითად ფაქტორსა და ნორმას.

მსოფლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სოფლის მეურნეობა არ წარმოადგენს თვითრეგულირებადი ეკონომიკური სისტემის მქონე დარგს, რამდენადაც საკვებზე მოთხოვნა მყარია და ნაკლებად ელასტიკური, სამაგიეროდ მისი ფასები ბაზარზე მეტად ელასტიკურია. ამიტომაც არის გამოწვეული, რომ რიგი ქვეყნების (განსაკუთრებით ეკონომიკურად სუსტად განვითარებული)მოსახლეობის შემოსავლების უდიდესი ნაწილი საკვებზე იხარჯება. მით უფრო, როდესაც არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო მიწოდება მკვეთრად ეცემა, ფასების ზრდა ფეთქებად ხასიათს ატარებს და საბაზრო მექანიზმებითაც ვერ ხერხდება მოთხოვნა- მიწოდების დარეგულირება. ეს კი იწვევს ინფლაციის ისეთ მასშტაბებს, როდესაც ფული ფაქტიურად კარგავს გადახდისა და დაგროვების ფუნქციას. ბოლოს კი ამ ყველაფერს პროდუქციის წარმოებისა და მომხმარებელთა ფართო მასებისთვის მიწოდების შემცირებამდე მივყავართ.

საბაზრო მექანიზმის ცნებას პ. სამუელსონი განსაზღვრავს, როგორც წარმოების ორგანიზაციის ფორმას, რომლის დროსაც მწარმოებლები და მომხმარებლები ბაზრის საშუალებით ახდენენ ერთმანეთზე გავლენას და ამით წყვეტენ ეკონომიკურ პრობლემებს. პოლონელი ეკონომისტი ლ. ბალცეროვიჩი კი მიიჩნევს, რომ საბაზრო მექანიზმი არის მოთხოვნა-მიწოდების კოორდინაციის ხერხი, ანუ საბაზროა ის ეკონომიკური სისტემა, სადაც სრულდება სეგმენტის გადანაწილების ძირითადი ფუნქცია.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასურსათო ბაზარზე საკვებზე მოთხოვნა და ფასები არაადექვატურია განსაკუთრებით სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდოქტებზე. გარდა ამისა სასურსათო ბაზრისათვის დამახასიათებელია მწარმოებელთა და მომხმარებელთა დიდი რიცხვი, ერთგვაროვანი და დაბალფასიანი პროდუქტები,მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით დაფიქსირებული ფასები. ბაზრის შესახებ მყიდველთა და გამყიდველთა სრული

ინფორმირება. ასეთი სახის ბაზარი თავისუფალია და იქ შესვლა ყველას შეუძლია, მაშინ როდესაც პროდუქციის მწარმოებლებში მოხვედრა შეზღუდულია, საჭიროა გარკვეული კაპიტალი და სპეციალური ცოდნა-კვალიფიკაცია ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება.

ბაზარზე დამკვიდრებული სურსათის მწარმოებელთა ძირითად ამოცანას შეადგენს თავისი საქონლის ისე წარმოება, რომ მყარად დაიპყრონ გარკვეული სეგმენტი. ეს კი არღვევს პროდუქტთა თანაბრობის პრინციპსდა იწვევს ცალკეული ბაზრების განსხვავებულ მოთხოვნას. ასეთ პირობებში ბოლოს ყველაზე არამყარ სიტუაციაში მაინც საქონელმწარმოებლები აღმოჩნდებიან, რადგანაც ვერ ახერხებენ მოქმედების კონცენტრირებას. თავდაცვის მიზნით ისინი ხშირად გადამამუშავებელი მრეწველობის კაპიტალთან ერთიანდებიან, მაგრამ აქაც მათი პოზიცია ყოველთვის წამგებიანია,თანამედროვე ტექნოლოგიების, გადამუშავების, შეფუთვის და გადაზიდვების პირობებში.

განვითარებული ქვეყნების ბაზრის თანაფარდობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად დღეს ითვლება მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის დაცვა, რადგანაც მიწოდება ბევრად უსწრებს მოთხოვნას და საჭირო ხდება მარკეტინგული საქმიანობის გაუმჯობესებასთან ერთად სხვა ღონისძიებების გატარებაც თანაფარდობის მისაღწევად. ამ მხრივ ერთ-ერთი ღონისძიებაა ფირმებისათვის გარკვეული ქვოტების დაწესება სახელშეკრულებო საწყისებზე.

როგორც წესი, ყველა ბაზარზე პროდუქციის ფასების შემცირებით მოთხოვნა იზრდება და პირიქით. ეს ძირითადად ორი მიზეზითაა განპირობებული:

1. როდესაც ერთ პროდუქტზე ფასი ეცემა და დანარჩენზე უცვლელი რჩება, მყიდველი იაფი სახით ცვლის იმ საქონელს რომელსაც ადრე ყიდულობდა.

2. ამავე სიტუაციაში შემოსავალი უცვლელი რჩება. იგი თავს უფრო შეძლებულად გრძნობს და მეტს ყიდულობს, განსაკუთრებით იაფფასიან პროდუქტებს.

ჩვენი ქვეყნის სასურსათო ბაზარზე პირველი დებულების მაგალითია პურისა და მისი ნაწარმის მოხმარების მაღალი მაჩვენებელი.მოსახლეობის 80% დღემდე კალორიების გარკვეულ დონემდე შესავსებად და ძირითად საკვებად მათ იყენებს, რადგანაც სხვა პროდუქტებზე იაფი ღირს და ხელმისაწვდომია სხვა პროდუქტებთან შედარებით..

ქვეყანას, რომელსაც საბაზრო ეკონომიკა აქვს განვითარებული მოთხოვნა-მიწოდების პროცესს სახელმწიფო არეგულირებს საკვები პროდუქტების მარაგების შექმნითა და ფასთა ცვლილების მანევრირებით. მაღალმოსავლიან წლებში მწარმოებლებისაგან შეთანხმებით იაფად შეისყიდის პროდუქციას, რომ ფასები ბაზარზე კატასტროფულად არ დაეცეს და ფერმერები არ დაზარალდნენ, კრიტიკულ სიტუაციაში ამ მარაგს იყენებს, იცავს ბაზარს და მომხმარებელსაც ფასების ზედმეტი ზრდისაგან. სხვა შემთხვევაში იყენებს სხვა მარკეტინგულ საშუალებებს.

უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია კონკურენცია, რომელიც გულისხმობს მყიდველთა და გამყიდველთა დიდ რიცხვს კონკურენტული პროდუქციის პირობებში და ბაზრებზე მათი თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას. კ.მაკონელი და ს.ბრიუ მას ეკონომიკურ მექანიზმს უწოდებდნენ, ხოლო ა.სმიტმა და მის შემდეგ მრავალმა მკვლევარმა დააასაბუთა, რომ ჯანსაღი კონკურენცია ეკონომიკისათის მეტად სასარგებლოა, რამდენადაც ხელს უწყობს არსებული რესურსების ეფექტიანად გადანაწილებასა და გამოყენებას.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ დღეს საქართველოში ამ დონის კონკურენტული გარემო არ არსებობს, რაც ძირითადად ორი მიზეზითაა განპირობებული: ჯერ ერთი სასურსათო ბაზარი მეტისმეტად ღიაა, რაც საშუალებას აძლევს იმპორტულ, უხარისხო, მავნე ნივთიერებებით დაბინძურებულ, დაავადებულ და ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნე, მაგრამ იაფასიან პროდუქციას დაიპყროს მისი მნიშვნელოვანი სეგმენტი. იმის გამო, რომ გაღატაკებული მოსახლეობა ძირითადად ამ საკვებს ყიდულობს, რადგან ხელი არ მიუწვდება ძვირადღირებულზე. მეორე, ქვეყნის

სურსათის ძირითადი მწარმოებლები წვრილი გლეხური მეურნეობები არიან, რომელთაც არ შეუძლიათ მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა შეზღდული ფინანსური შესაძლებლობების გამო. ამ პრობლემის გადაჭრაში მათ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო, რომელმაც ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს.

სასურსათო ბაზრის წარმატებული ფუნქციონირების მრავალ ფაქტორთა შორის ძირითადად დღეს მიჩნეულია: ა) სურსათზე საცალო ფასების ცვლილების ტენდენცია, მათი დონე და სტაბილურობის ხარისხი; ბ) მოსახლეობის ოჯახურ ბიუჯეტში საკვებზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი; გ) სოფლად საქონელმწარმოებელთა შემოსავალთა სიდიდე; დ) მარკეტინგული საქმიანობის მდგომარეობა და მასზე გაწეული ხარჯები. ყველა მათგანს აქვს თავისი ფუნქცია და ცალკე აგებული ვერცერთი ვერ ასახავს სასურსათო ბაზრის სრულ სურათს. ეს განპირობებულია აგრარული სფეროს რთული ხასიათით.

საქართველოს სასურსათო ბაზარი ამ მიმართულებითაც სასურველიდან შორს დგას. ბაზარზე ფასები საკმაოდ მაღალი და არასტაბილურია, მუდმივად მზარდი სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტებზე. მოსახლეობას მწირი ბიუჯეტის თითქმის 60% საკვებზე ეხარჯება, მაშინ როცა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 16-17%-ს არ აღემატება. სოფლად მოსახლეობის შემოსავლები ისე მცირეა, რომ ნორმალურად საკვებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც ვერ უზრუნველყოფს, რაც შეეხება მარკეტინგულ საქმიანობას, იგი საერთოდ უგულებელყოფილია.

ქვეყნის სასურსათო ბაზრის ოპტიმალური ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პირობაა ყველა მისი მონაწილე პარტნიორის დაინტერესების გათვალისწინება საბოლოო შედეგების მიღებასთან მიმართებაში. ეს პრობლემა რთულია და კიდე უფრო მწვავდება, როდესაც ირღვევა წარმოებული პროდუქციის რესურსებითა და ტექოლოგიური საშუალებებით ფასების პარიტეტი, რასაც სოფლის მეურნეობაში ხშირად აქვს ადგილი და მითუმეტეს დღევანდელი საქართველოს რეალობაში. ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები ძალიან დაბალია სხვა დარგებში წარმოებულ საშუალებებთან მიმართებაში, რაც მწარმოებლების ინტერესს ლახავს და გაფართოებული კვლავწარმოების საშუალებას არ იძლევა. ემატება ისიც, რომ ფერმერებს არ გააჩნიათ სატრანსპორტო საშუალებები და იძულებულნი არიან რეალიზატორებს დაბალ ფასებში მიყიდონ პროდუქცია. გარდა ამისა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის რესურსების შეძენაზე.

საქართველოს აგრარული სასურსათო ბაზარი რეგიონულ ჭრილში ღრმა მეცნიერულ კვლევას მოთხოვს, რომ უზრუნველვყოთ საქონელბრუნვის გაწონასწორებული გეგმაზომიერი წარმართვა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული საქმიანობის სფეროები სასურველ შედეგს ვერ იძლევიან. არ არის შემუშავებული არამარტო ქვეყნის მასშტაბით საქონელბრუნვის სტრატეგია, არამედ ცალკეული პროდუქტების რეგიონებს შორის გადანაწილების მდგომარეობაც კი. არ ფუნქიონირებს არცერთი მისი ძირითადი ელემენტი, მოიშალა საკმაოდ ორგანიზებული მალფუჭადი პროდუქტების საცავები და მაცივრები.

საქონელბრნვის დარეგულირებისა და მთლიანად სასურსათო ბაზრის რთული სისტემის ეფექტიანი ფუნქიონირებისათვის აუცილებელია ეკონომიკურად დამოუკიდებელი საშუამავლო და სარეალიზაციო კოოპერატივების, ორგანიზაციების სასურსათო ბირჟების, აუქციონებისა და სხა სავაჭრო წარმომადგენლობების ჩამოყალიბება. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს დღეს არსებული სიტუაცია, როდესაც მწარმოებლიდან მომხმარებლამდე პროდუქცია სამი-ოთხ სტადიას გადის. ამის აღმოსაფხვრელად საჭიროა სახელმწიფოს ნება და გარკვეული კაპიტალი რათა შეიქმნას საშუამავლო კოოპერატივები, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავასაქმოთ უმუშევარი მოსახლეობა და სახელმწიფო ბიუჯეტს შევმატოთ ახალი შვსების წყარო.

მსოფლიო გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ სასურსათო ბაზრის წარმატებული ფუნქციონირება და საქონელბრუნვის ოპ-

ტიმიზაცია მარტო წარმოებული პროდუქციის მოცულობასა და ხარისხზე არა არის დამოკიდებული. დიდ როლს ასრულებს ბაზრის ინფრასტრუქტურა და მისი ყველა რგოლის, ძირითადი ელემენტების შექმნა და მაღალი დონით ფუნქციონირება. მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა მწარმოებელს საშუალებას აძლევს სწრაფად და წარმატებით გადაჭრას პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებული საწარმოო, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სხვა პრობლემები. ასეთი აწყობილი სისტემის მუშაობით მომხმარებელიც დაინტერესებულია, რადგან პასუხობს მის ინტერესს მაღალი ხრისხისა და იაფი პროდუქტების შეძენის პრობლემის მოგვარების გამო. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე გატანის ინფრასტრუქტურა მეტად რთულია და ბევრი მომენტის გათვალისწინებას მოითხოვს. უპირველესყოვლისა აქ იგულისხმება მიწისა და სამუშაო ძალის ბაზრები, საფინანსო-საკრედიტო და პროდუქციის შესყიდვის აწყობილი სისტემები, საშუამავლო და სერვისული მომსახურების ორგანიზაციები, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ობიექტები და ა.შ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე დასკვნა მხოლოდ ერთია. საქართველოს სასურსათო ბაზრის წამატებული ფუნქციონირება მხოლოდ მისი ცალკეული სტრუქტურების წარმატებული დაბალანსებული საქმიანობითა და მონაწილეთა შორის მოგების ოპტიმალური განაწილებით შეიძლება. ამის მიღწევა კი მიმდინარე ეტაპზე სოფლის მეურეობის პროდუქციის მწარმოებლებსა და მის მომხმარებლებს არ შეუძლიათ სახელმწიფო სექტორის ხელშეწყობისა და დარეგულირების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოღუაშვილი პ. სასურსათო პრობლემა ჩვენს პლანეტაზე. ჟ.ეკონომიკა 2003 წ. №1-2

2. კოღუაშვილი პ. ზიბზიბაძე გ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბ. 2010 წ.

3. ლაჭყეპიანი თ. ცინცაძე მ. ნატროშვილი გ. ნატროშვილი მ. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო ბაზრის ფუნქციონირების პერსპექტივები საქართველოში.

4. Макконел К. Р.,Брю С. А. Экономикс, принципы, проблемы, политика. М. 1992 г.

ПРИНЦИПЫ И ОСОБЕННОСТИ ФОРМИРОВАНИЯ И ФУНКЦИОНИРОВАНИЯ ПРОДОВОЛСЬТВЕННОГО РЫНКА

Т. Лачкепиани, академический доктор экономики, асоцированный профессор учебного института « вита джоржиа»

Н. Тевдорашвили, академический доктор экономики, асоцированный профессор «СЕУ»

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены вопросы принципов и особенностей продовольственного рынка в мире и в Грузии. Дан современное состояние продовольственного рынка Грузии, виявлены существующие недостатки и намечены пути для их исправления.

ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი

ინოვაციური მართვის სისტემის წინააღმდეგობების კვლევის მეთოდები

თემურ მაისურაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახ.
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი,
საქართველოს პარლამენტის წევრი

მსოფლიოში მიმდინარე სწრაფი ცვლილებებისა და მოვლენების მოულოდნელი ტრანსფორმირების პირობებში, ანალიტიკური და ინოვაციური აზროვნება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და ყველა სხვა, არც ისე იშვიათად არათანაბარ სასტარტო პირობებშიც კი, იძლევა წარმატების დიდ შესაძლებლობებს. უპირატესობის მენეჯმენტი ინოვაციური შესაძლებლობების განვითარების, უპირატესობის მოპოვების და სისტემური მართვის გზაა, რომელიც პრობლემების და წინააღმდეგობების გადაჭრის ხერხებს და ინსტრუმენტებს მოიცავს. იგი მართვის უნიკალური მეთოდია, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ სისტემის თვისობრივი ცვლილებები/ტრანსფორმირება განხორციელდეს ისე, რომ არ შეფერხდეს მიმდინარე საერთო პროცესები.

ინტელექტუალური პროდუქტის შექმნა, მინიმუმ სამი კომპონენტის არსებობას გულისხმობს: საწყისი ინფორმაციის საკმარისობას; აზროვნების უნარის აუცილებლობას; ცოდნას, ინტუიციას და გამოცდილებას. ამ კომპონენტების ერთობლიობა ქმნის კონკრეტული სუბიექტის ინტელექტუალურ (შემოქმედებითი) პოტენციალს. თუ მას დაუმატებთ ახალ კანონზომიერებებს, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, მაშინ დამატებით იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი.

მართვისას წარმოშობილი პრობლემები გადაჭრა ინოვაციურ

მეთოდებსა და ინსტრუმენტებს ემყარება. პრობლემა ბერძნული სიტყვაა (προβλεμα) და რთულ თეორიულ ან პრაქტიკულ ამოცანას ნიშნავს, რომელიც განსაკუთრებულ შესწავლასა და გადაწყვეტას მოითხოვს.[1] მაგალითად, მეცნიერებაში პრობლემები ვლინდება საპირისპირო არგუმენტების და ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებების სახით.

პრობლემები იყოფა სამ ჯგუფად: 1. ქვესისტემური პრობლემები, ანუ პრობლემების ის კატეგორია, რომლებიც თვით სისტემებში წარმოიქმნებიან; 2. სისტემური პრობლემები, ანუ ისეთი პრობლემები, რომლებიც ადამიანის მიერ შექმნილ სისტემებს შორის (ტექნიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა) წარმოიქმნებიან; 3. ზესისტემური, ანუ პრობლემების ისეთი კატეგორია, რომლებიც წარმოიქმნებიან ადამიანის მიერ შექმნილ სისტემებსა და ბუნებრივ (დაბალანსებულ და კანონზომიერ) სისტემებს შორის.

სისტემა გულისხმობს მინიმუმ ორი ან მეტი ელემენტის ურთიერთქმედებას, რომელთა შორის შეიძლება წამოიშვას შეუთავსებლობა. არ არსებობს ქმედება, საპირისპირო ქმედების გარეშე. მთავარია იგი არ იყოს მკვეთრად უარყოფითი ან არ აბათილებდეს დადებითს. მაგალითად, დღეს საავტომობილო ტრანსპორტი ყველაზე დიდი გამოყენებით სარგებლობს, მაგრამ მის მიერ გამოყოფილი დამაბინძურებელი ნარჩენები, ყველაზე დიდ ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას.

სისტემის შიგნით პრობლემები ქმნიან კონფლიქტს, რომელიც ასახავს ისეთ სიტუაციას, როდესაც ერთ სუბიექტის პოზიცია ეწინააღმდეგება მეორე მხარის პოზიციას. ეს არის შეხედულებების, მიზნების, აზრების, იდეების ან ინტერესების დაპირისპირება ინდივიდების, ჯგუფებისა და შესაძლოა სახელმწიფოებს შორის. იგი შეიძლება იყოს ღია და ფარული და ყოველთვის განიხილება როგორც თანხმობის უქონლობა მხარეებს შორის.

მართვის სისტემებში წინააღმდეგობების გადაჭრა სხვადასხვა მიდგომით ხორციელდება. თავდაპირველად ხდება საგნის, მოვ-

1 http://ru.wikipedia.org/wiki/Проблема

ლენის ან პრინციპის აზრობრივი წარმოსახვა, რომელშიც მისი ძირითადი, მთავარი და მნიშვნელოვანი თვისებებია გამოხატული. მის საფუძველზე ყალიბდება იდეა, რომელიც ფრედრიკ ჰარენის განმარტებით, არის პიროვნებისა და მისი ცოდნისა და ინფორმაციის ნამრავლი.[1] მაგრამ იდეას აუცილებლად უნდა ახასიათებდეს საჭიროების დაკმაყოფილების პოტენციური შესაძლებლობაც ანუ იდეა შეიძლება ეწოდოს პოტენციური სარგებლის მქონე მოსაზრებას. Nნოვაციები წარმოიშვება მაშინ, როდესაც იქმნება ახალი ღირებულება, რომელიც აისახება საბოლოო მოქმედებაზე (საქმიანობაში) ან საბოლოო პროდუქტის თვისებებზე; ინოვაციები კი გამოყენებაში დანერგილი სიახლეა, რომელსაც აქვს დადებითი ეფექტი და გააჩნია საბაზრო მოთხოვნა. ის არის ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის, მისი ფანტაზიის, გამოგონების, რაციონალიზაციის და ა.შ. შედეგად მიღებული საბოლოო პროდუქტი; ამ ცნებასთაბ ახლოს დგას გამოგონება. იგი ეწოდება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების ნებისმიერ დარგში მიღწეულ ტექნიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიცავს სიახლეს და აკმაყოფილებს „გამოგონების შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; ხოლო აღმოჩენა არის ბუნებაში არსებული მოვლენების, პროცესების, კანონებისა და კანონზომიერებების შემეცნება. ნებისმიერი ასეთი შემოქმედებითი სიახლის უკან, მხოლოდ ადამიანის ნიჭი და უნარი დგას.

გამოგონებები იყოფა ხუთ ძირითად დონედ[2]: I დონე არის „არაგამომგონებლური გამოგონებები“ ანუ ტექნიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც აკმაყოფილებენ საპატენტო კანონით წამოყენებულ მოთხოვნებს, მაგრამ რეალურად არ შეიცავენ რაიმე თვისობრივ ან პრინციპულ სიახლეს. მაგალითად, ორპირიანი მექანიკური პირის საპარსი, დამსახურებულად ჩაითვალა გამოგონებად, რადგან პირველ და მეორე საპარს პირს

1 Fredrik Harens speech "The Developing World". Part 1. http://www.youtube.com/watch?v=6PrDx5kxacw

2 Г.С. Альтшуллер, "Найти идею", Петрозаводск: Скандинавия, 2003, С. 49 -54.

შორის, კანის მექანიკურმა დაჭიმვამ, საგრძნობლად გაზარდა გაპარსვის ხარისხი, მაგრამ ყველა სხვა ახალი „გამოგონებები“, რომლებიც შეიცავდნენ ორზე მეტ საპარს პირს, მიეკუთვნება „არაგამომგონებლური გამოგონებების“ კატეგორიას მიუხედავად იმისა, რომ იგი ფაქტიურად შეიცავს რაღაც „სიახლეს“, რომელიც ძველი სიახლის მულტიპლიკაციას გულისხმობს მხოლოდ; II დონე არის ტექნიკური გადაწყვეტილებები, რომლებშიც სისტემის შიგნით გაჩენილი შეუთავსებლობა ამოხსნილია, მაგრამ რაიმე თვისობრივი სიახლე მას არ შეუძენია; III დონეა გამოგონებები, რომლებშიც სიახლე მიღებულია სისტემაში გაჩენილი შეუთავსებლობების ამოხსნის გზით და აკმაყოფილებს საპატენტო კანონის მოთხოვნებს. ამ კატეგორიას მიეკუთვნება გამოგონებების უმრავლესობა (საწერი კალამი, მექანიკური სანთებელა, პარაშუტი, მაცივარი და ა.შ.); IV დონე არის გამოგონებები, რომლებშიც შექმნილი შეუთავსებლობები მიეკუთვნებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის ერთ დარგს, ხოლო მისი ამოხსნა შესაძლებელი გახდა მეცნიერების და ტექნიკის სულ სხვა დარგის/დარგების/ გამოყენებით. მაგალითად, ავტომობილის ძრავში მოძრავ ნაწილებს შორის წარმოქმნილი ხახუნის ძალა, დაძლეულია საპოხი ნივთიერებების გამოგონებით, რომელიც თავისი არსით მექანიკას კი არა, ქიმიის დარგს განეკუთვნება; V დონეა გლობალური გამოგონებები, როდესაც მიღწეულ სიახლეს თან სდევს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დარგების წარმოქმნა. მაგალითად, კომპიუტერის, მობილური ტელეფონის ან კოსმოსური ხომალდის გამოგონება;

პროგრესის მამოძრავებელი ძალაა შემოქმედებითი აზროვნების ზრდა, რომლის შედეგად, ჩვენი განმარტებით, სისტემის/პროცესის გაუმჯობესების სურვილი პირდაპირპროპორციულია მისი არასრულყოფილებით გამოწვეული უარყოფითი შედეგის და უკუპროპორციულია მისგან მიღებული კმაყოფილების ხარისხის. ეს კანონზომიერება გამომდინარეობს იქიდან, რომ ადამიანი ყოველთვის ზრუნავდა არასრულყოფილი სისტემების/პროცესების სრულყოფისა და საიმედოობისათვის.

ნებისმიერ სიახლეს თან სდევს მატერიალური სიკეთეების

მიღება და შესაბამისად ჩნდება მიზნობრივი ინოვაციების დაკვეთის საჭიროება. პირველად ამ მიზეზმა დააფიქრა ადამიანი შემოქმედებითი აზროვნების (შესაძლებლობების) ზრდის მეთოდებზე. მაგალითად, თანამედროვე კონკურენციის პირობებში, ნებისმიერი ორგანიზაციის ხელმძღვანელს უწევს იმოქმედოს პრინციპით: „ჯერ არ ვიცი როგორ და რა გზით, მაგრამ რაღაცით უნდა ვიყო კონკურენტზე წინ". სამაგიეროდ ეს პრობლემა არ აწუხებს ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებს და შესაბამისად არც ფიქრობენ მის გადაჭრაზე. მენეჯერისთვის სწორედ ეს არის საგამომგონებლო სიტუაციის ხელოვნური ინიცირების მიზეზი.

შემოქმედებითი აზროვნების უნარი, მჭიდრო კავშირშია და გარკვეულწილად ეყრდნობა კიდეც ადამიანის წარმოსახვის უნარს, ანუ მის შესაძლებლობას წარმოიდგინოს ობიექტები, სისტემები და პროცესები იმ მომენტშიც კი, როდესაც არა აქვს შეხება მასთან, ვერ შეიგრძნობს ან ის საერთოდ არ არსებობს სინამდვილეში.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია წარმოსახვის სამი დონე:[1]

1. ობიექტებისა და პროცესების წარმოსახვა, რომლებსაც ადამიანი ოდესმე შეხებია და აღუქვამს (ჰქონია რაიმე შეგრძნება);
2. ობიექტებისა და პროცესების წარმოსახვა, რომლებიც არ არსებობს მის პირად პრაქტიკაში, მაგრამ მასზე აქვს რაიმე ინფორმაციული წარმოდგენა (მას აქვს ინფორმაცია ამის შესახებ);
3. ობიექტებისა და პროცესების წარმოსახვა, რომლებიც არ არსებობენ სინამდვილეში და ამავე დროს არც ინფორმაცია გააჩნია წარმოსახვითი საწყისი ბიძგის მისაღებად.

სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები. დავახასიათებთ ზოგიერთ მათგანს:

ფრიც ცვიკის მორფოლოგიური მეთოდის თანახმად,[2] ხელოვნურად ხდება საგამომგონებლო სიტუაციის სიმულირება ისეთი

1 С. Литвин, «Развитие творческого воображения», Учебно-методическое пособие, Ленинград 1981г, С. 45.

2 Г. С. Альтшуллер, Введение в ТРИЗ. Электронная книга, (Неалгоритмические методы), 2010.

ცხრილების მეშვეობით (იხ. ცხრილი 1), რომლებშიც ობიექტების ჩამონათვალი, აბსოლუტური შეზღუდვის გარეშე სახელდება ქაოტურად. დასახელებული ობიექტები, თანაბარი გადანაწილებით თავსდება ცხრილის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სვეტებში.

ცხრილი 1

	ტელევიზორი	კედელი	სათამაშო	მაგიდა
ბურთი	ბურთი-ტელევიზორი	ბურთი-კედელი	ბურთი-სათამაშო	ბურთი-მაგიდა
სკამი	სკამი-ტელევიზორი	სკამი-კედელი	სკამი-სათამაშო	სკამი-მაგიდა
სარკე	სარკე-ტელევიზორი	სარკე-კედელი	სარკე-სათამაშო	სარკე-მაგიდა
მინა	მინა-ტელევიზორი	მინა-კედელი	მინა-სათამაშო	მინა-მაგიდა

აღნიშნულ ცხრილში მიღებულია 4X4=16 შესაძლო გადაწყვეტილება.

გამოიყენება „ფანტაზიური აზროვნების გამოყენების ხერხი". ამ მეთოდის თანახმად:

- არჩეულია რაიმე გასაუმჯობესებელი ობიექტი;
- სისტემაში შემოდის ნებისმიერი დამატება;
- ობიექტის ან სისტემის ცვლილება განიხილება ახალი დამატებების გათვალისწინებით;

ალექს ოსბორნის ფსიქოლოგიური მეთოდი ("ინტელექტუალური შეტევა", "გონებრივი იერიში")[1] ითვალისწინებს შემოქ-

1 Г. С. Альтшуллер, Введение в ТРИЗ. Электронная книга, (Неалгоритмические методы), 2010.

მედებითი შესაძლებლობების აქტივიზაციის სტიმულირებას, აუდიტორიული ეფექტის გამოყენებით. შედეგი მიიღწევა შემდეგნაირად: შერჩევით შეკრებილ პიროვნებათა ჯგუფის წინაშე ისმება ესა თუ ის გადასაჭრელი ამოცანა/პრობლემა და მიმდინარეობს გამოთქმული აზრების შეჯამება. ერთადერთი პირობა არის ის, რომ აკრძალულია გამოთქმურლი აზრების კრიტიკა ან მათზე გაცინება.

ამ მეთოდის უარყოფითი მხარეა ის, რომ არც თუ ისე იშვიათად, ვერ ხერხდება გამოთქმული იდეების ობიექტურად შეჯამება, რადგან შემფასებელს არ გააჩნია შეფასების უნივერსალური კრიტერიუმები. ძირითადად ამ მიზეზის გამო, ჭარბობს შემფასებლების სუბიექტური ფაქტორები. ეს მეთოდი დღესაც ითვლება ყველაზე გავრცელებულად, რადგან გამოსაყენებლად ძალიან ადვილია, არ მოითხოვს სპეციალურ მომზადებას ან რომელიმე სპეციალური მეთოდიკის ცოდნას.

კოლუმბის მეთოდის („ეძებდა ინდოეთს და აღმოაჩინა ამერიკა“)[1]არსი იმაში მდგომარეობს, რომ გასაუმჯობესებელი ობიექტისთვის წინასწარ არ ირჩევა თუ რისი გაუმჯობესება არის საჭირო და რა საბოლოო შედეგის მიღწევა ისახება მიზნად, ანუ ის მთავარია გაუმჯობესდეს და სულ ერთია როგორ და რა გზით.

რობინზონ კრუზოს მეთოდი ყველაზე შეზღუდულია ზემოთ წარმოდგენილ მეთოდებს შორის.[2] სხვებისგან განსხვავებით, ამოცანის პირობებში თავიდანვე ჩადებულია დამკვეთის კონკრეტული აკრძალვები. ძირითადად, ამოცანას აქვს შემდეგი სახე: „ხელთ მაქვს მხოლოდ . . . . (გაკეთდეს ჩამონათვალი) და რა შეიძლება იქნას მიღებული მათი მეშვეობით“? ან „ხელთ არ მაქვს თითქმის არაფერი, მაგრამ მოსაძებნია რაიმე გამოსავალი“.

ჰამლეტის მეთოდი განხილული მეთოდებისგან იმით განსხვავება, რომ გაუმჯობესება მიიღწევა ჯერ ობიექტში/სისტემაში ან პროცესში არსებული შეუთავსებლობების გამოვლენით და

1 Г. С. Альтшуллер, Творчество как точная наука, 1979, С. 43-47;
2 იქვე, გვ. 48-52;

შემდგომში სრულიად კონკრეტული ამოცანების ამოხსნით. [1]

როგორც ცნობილია, წინააღმდეგობები და შეუთავსებლობა არის ორი საპირისპირო მოთხოვნის არსებობა ერთი და იგივე ობიექტთან/სისტემასთან ან პროცესთან. სისტემას ან სისტემის ობიექტს/ობიექტებს ეხება საპირისპირო მოთხოვნები. არსებობს მისი გადაჭრის სამი ხერხი:[2]

1. წინააღმდეგობრივი მოთხოვნების ამოხსნა დაყოფის ხერხით დროსა და სივრცეში;
2. დაპირისპირებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით;
3. ავლის გზით, ანუ სისტემური გადასვლის წესით.

წინააღმდეგობრივი მოთხოვნების გადაჭრა სივრცეში დაყოფის გზით ხორციელდება ისე, რომ ყველა შესაძლო შემთხვევაში გამოირიცხოს მათი ერთობლივი ქმედება. მისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა მიდგომები. მაგალითად, **გამოტანის ხერხის** გამოყენების დროს, ობიექტს/სისტემას ან მოვლენას უნდა მოსცილდეს ერთ-ერთი დაპირისპირებული მოთხოვნა (ხელის შემშლელი ან ერთადერთი აუცილებელი); **ადგილობრივი ხარისხის ხერხის გამოყენებისას** ობიექტს ან სისტემას, უნდა დაუკმაყოფილდეს მოთხოვნილება არა მთლიანად, არამედ მის ერთ რომელიმე ნაწილში; **კოპირების ხერხი გამოიყენება, როდესაც** წინააღმდეგობის აცილება ევალება განსახილველ ობიექტს ან სისტემას მასშტაბის ზრდით. **შუამდგომელის გამოყენების ხერხის** თანახმად, წინააღმდეგობის აცილება ევალება არა თვით ობიექტს/სისტემას, არამედ დამატებით ორგანიზაციულ სტრუქტურას.

დაპირისპირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისას დროში ობიექტს/სისტემას ან პროცესს ეძლევა ისეთი თვისება, როდესაც დაპირისპირებული მოთხოვნები მასზე მოქმედებს დროის სხვადასხვა მონაკვეთებში და ამავე დროს ვერ ახდენს უარყოფით ზეგავლენას.

1 იქვე, გვ. 53-60;
2 Г. С. Альтшуллер, Введение в ТРИЗ. Электронная книга, 2010, (Указатели эффектов);

ადამიანები მართვისას ხშირად იყენებენ წინასწარი მოქმედების ხერხს, როდესაც ობიექტს/სისტემას ან პროცესს, შეძლებისდაგვარად წინასწარ ეძლევა აუცილებელი დადებითი თვისება მთლიანად ან ნაწილობრივ.

მოცულობითი პარამეტრების შეცვლის ხერხით, წინააღმდეგობის გადაჭრა ხორციელდება ერთი მოცულობიდან მეორეში გადასვლის გზით.

პარამეტრების შეცვლის ხერხის გზით ხდება წინააღმდეგობის გადაჭრა სისტემაში პარამეტრების ცვლილებებით დროსა და სივრცეში.

მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საწინააღმდეგო ქმედებების გამოყენების გზით (ანტისისტემაში გადასვლის წესი) მოითხოვს მისაღები შედეგის საპირისპირო ქმედებას.

თუ შეუთავსებლობის გადაჭრის შედეგად, მიღებულია ძალიან კარგი დადებითი ეფექტი, მაგრამ მას ამავე დროს აღმოაჩნდა არასასურველი უარყოფითი შედეგიც, საჭიროა სისტემაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც მიუღებელ საზიანო ქმედებას გარდაქმნის სასარგებლო დადებით შედეგად.

ფუნქციონალური და ღირებულებითი ანალიზი (დ. მაელზი და ი. სობოლევი), [1] არ გულისხმობს ამა თუ იმ პროდუქციის, ობიექტის ან სისტემის შეფასებას ეკონომისტების შეხედულებებით. მეთოდი გულისხმობს სისტემაში შემავალი ელემენტების (დეტალების) ხვედრითი წონის განსაზღვრას მთავარი, ძირითადი და დამატებითი ფუნქციების შესრულების თანაფარდობაში, ანუ იმას, თუ რა ხვედრითი წილი მიუძღვის კონკრეტულ დეტალებს მთავარი, ძირითადი და სხვა საჭირო ფუნქციების შესრულების საქმეში. ამავე დროს, განისაზღვრება, თუ მათზე რა ღირებულებითი ხვედრითი წილი მოდის სისტემის მთლიან დანახარჯებში.

თე მოვახდენთ ამ შეფასებითი სისტემის ტრანფორმირებას მენეჯმენტში, მივიღებთ ამა თუ იმ მმართველობითი სისტემის ხვედრითი წილის შეფასების შესაძლებლობას მმართველობითი სისტემის მთავარი ფუნქციის შესრულების საქმეში და ასეთი

1 Р. Каплан, Р. Купер, Функционально-стоимостной анализ, 2007.

ანალიზის შედეგად ძალზედ თვალსაჩინო გახდება თუ რომელი მმართველობითი რგოლია პირველ რიგში გასაუმჯობესებელი ან სალიკვიდაციო მთლიანად.

საგამომგონებლო ამოცანათა ამოხსნის თეორიის (საათ)[1] მთავარი ინსტრუმენტს წარმოადგენს 13 საფეხურიანი ალგორითმი.[2] აქედან ძირითადი საფეხურებია 9 და 4 დამხმარე. ამოცანის პირობა საჭიროა ჩაიწეროს შემდეგი წესის გამოყენებით: ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ . . . (მიეთითოს თუ რაში გამოიყენება გასაუმჯობესებელი სისტემა და რაში მდგომარეობს პრობლემის არსი), რომელიც შეიცავს . . . (დასახელდეს სისტემის შემადგენელი ნაწილები); აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ წინააღმდეგობა და შეუთავსებლობა შეიძლება იყოს მარკეტინგული, პროცესუალური, იურიდიული, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, პოლიტიკური, ტექნიკურ და ასე შემდეგ.

მართვის წინააღმდეგობების კვლევისას გამოიყენება და Max ამოცანების მცნებები. Min ამოცანა ეწოდება ამოცანების იმ კატეგორიას, როდესაც სისტემა უმჯობესდება შეუთავსებლობის/შეუთავსებლობების ამოხსნის გზით, მაგრამ თვითონ სისტემა განიცდის მინიმალურ ცვლილებებს. Min ამოცანა არ ნიშნავს იოლად ამოსახსნელ ამოცანას. უმეტეს შემთხვევაში მისი ამოხსნა გაცილებით უფრო რთულია ვიდრე Max ამოცანის, რადგან მასში, ამოცანის პირობები ყოველთვის შეზღუდულია დამკვეთის მკაცრი ჩარჩოებით.

Max ამოცანა ეწოდება ამოცანების ისეთ კატეგორიას, როდესაც გაუმჯობესებულ სისტემაში დასაშვებია ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის სრულიად ახალი სისტემის შექმნა.

ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების ზრდის აღნიშნული მეთოდები ისწავლება მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში.[3] თანამედროვე ეტაპზე ამ მეთოდებს დაემატა

1 Г.С. Альтшуллер, Найти идею. Введение в теорию изобретательских задач, 2007.

2 Г. С. Альтшуллер, Алгоритм решения изобретательских задач, 1986.

3 ქვეყნები, სადაც ინტენსიურად დაიწყო ამ მეთოდების სწავლება, იხ: http://triz-guide.com/886.html

საგამომგონებლო ამოცანათა ამოხსნის თეორიაც (TRIZ), რომელიც ყველაზე აქტუალური ხდება არა მხოლოდ მსოფლიოს სასწავლო დაწესებულებებში, არამედ ეკონომიკისა და ბიზნესის წამყვან ორგანიზაციებში.

დღეს, საქართველოს არც ერთ სასწავლო დაწესებულებაში, არ ისწავლება ინოვაციური მართვისა და შემოქმედებითი აზროვნების ზრდის მეთოდები, რაც მომავალში უეჭველად აისახება საზოგადოების კრეატიული აზროვნების მაჩვენებლებზე.

THE RESEARCH METHODS OF CONTRADICTIONS IN INOVATIVE MANAGEMENT SYSTEM

Temur Maisuradze
PhD student of St. Andrew's the first called
Georgian University of Patriarchate of Georgia,
Member of Parliament

SUMMARY

The paper presents a nature of contradictions for innovation managing systems, problems classification and widely used methods to resolve the contradictions for the creative thinking management; It considers the most common methods and techniques, systems for solution of incompatibility that are used in scientific - research activities.

ლოჯისტიკა _ თანამედროვე ბიზნესის განვითარებისათვის

ნანული ხიზანიშვილი
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ იმ ჭეშმარიტებას, რომ მეცნიერებაში ფასეულობით ღირებულებას იძენს მხოლოდ ის, რისი შესწავლა, შემეცნება და გადაცემა არის შესაძლებელი.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე ვთვლი, რომ ლოჯისტიკა და მისი გამოყენება საწარმოებს აძლევს შესაძლებლობას მიაღწიონ მაღალ ეკონომიკურ ეფექტს.

ლოჯისტიკა, როგორც მეცნიერება და როგორც ხელოვნება სამოქალაქო სფეროში იწყებს ჩამოყალიბებას გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში. ლოჯისტიკის ევოლუცია მჭიდრო კავშირშია საბაზრო ურთიერთობების ისტორიასა და ევოლუციასთან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან თვით ტერმინი „ლოჯისტიკა" ბიზნესში დამკვიდრდა და ფართო გამოყენება ჰპოვა მსოფლიოში გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს. შემდგომ პერიოდში მიმდინარეობს დისკუსიები დასავლეთის სპეციალისტებს, მეცნიერებს შორის ლოჯისტიკის სახელწოდებისა და არსის თაობაზე.

თანამედროვე ბიზნესში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ლოჯისტიკური მართვა. მისი ათვისებისა და გამოყენების მეთოდები დამოკიდებულია განვითარების ხარისხზე, ამიტომაც არის, რომ ბიზნესის ლოჯისტიკური მართვა გამოიყენება იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკური განვითარების დონე მაღალია და შესაბამისად, მაღალია ბიზნესის მზადყოფნის ხარისხიც ლოჯისტიკური მიმართულებების რეალიზაციაში.

ბიზნესი და ლოჯისტიკა განუყოფელი პროცესებია, რამდენადაც თანამედროვე ბიზნესში დროის დიდი ნაწილი (94%) იხარ-

ჯება მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მოპოვებისა და გამოყენების პროცესებზე.

ამით არის ნაკარნახევი თანამედროვე ბიზნესისათვის ლოჯისტიკის საფუძვლების ათვისების აუცილებლობა, მისი გამოყენება სამეწარმეო საქმიანობის პროცესში.

ლოჯისტიკა შეისწავლის და ორგანიზაციას უკეთებს მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების ეფექტიანად მართვის პროცესებს მომხმარებლის პროდუქციით დაკმაყოფილების და მომსახურების ფორმების სრულყოფის მიზნით.

ეკონომიკაში მატერიალური ნაკადების მართვის პროცესის საშუალებითაწყდება უამრავი სხვადასხვა ამოცანა, ესენია: მოთხოვნისა და წარმოების პროგნოზირება, შესაბამისად კი გადაზიდვების მოცულობისაც, მატერიალური ნაკადების მიმართულებების და ოპტიმალური მოცულობების განსაზღვრა, დასაწყობების ორგანიზაცია, ტრანსპორტირება და სხვა მრავალი.

განვიხილოთ ვინ წყვეტს ამ ამოცანებს.

მატერიალური ნაკადები წარმოიქმნება იმ სხვადასხვა საწარმოს და ორგანიზაციის საქმიანობის შედეგად, რომლებიც აწარმოებს და მოიხმარს ამა თუ იმ პროდუქციას და მომსახურებას, რომელსაც საჭიროებს. ამ დროს მატერიალური ნაკადების მართვაში საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ საწარმოებს და ორგანიზაციებს:

– საერთო მოხმარების სატრანსპორტო საწარმოებს;

– საბითუმო ვაჭრობის საწარმოებს;

– კომერციულ-საშუამავლო ორგანიზაციებს;

– საწარმოო დამამზადებლებს, რომელთა მზა პროდუქციის საწყობები ასრულებენ მრავალნაირ ლოჯისტიკურ ოპერაციებს.

ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ძალებით ყალიბდება მატერიალური ნაკადები, უშუალოდ ხორციელდება და მოწმდება საქონელბრუნვის (მოძრაობის) პროცესი.

ლოჯისტიკური საქმიანობის განხორციელება და დაგეგმვა, მართვა და კონტროლი მჭიდროდაა გადახლართული საწარმოში საქმიანობის სხვა სახეებთან. მაგ. საწარმოს ერთი ქვეგანყოფილება დაკავებულია მასალების შესყიდვით, მეორე — მარაგების შენახვით, მესამე — მზა პროდუქციის მასალებით. ამასთანავე ამ ქვეგანყოფილებათა მიზნები შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ ერთობლივი მატერიალური ნაკადის რაციონალური ორგანიზაციის მიზნებს, რომლებიც გაივლიან საწარმოში. ამიტომ, ლოჯისტიკური მიდგომა ფუნქციურ დაგეგმვაზე გულისხმობს სპეციალური ლოჯისტიკური სამსახურის გამოყოფას, დამკვეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობის ჩამოყალიბებიდან დაწყებული მყიდველთან მზა პროდუქციის მიწოდებით დამთავრებული.

ლოჯისტიკის სფეროში საქმიანობას აქვს საბოლოო მიზანი, ესენია:

– საჭირო საქონელის მიწოდება;

– საჭირო რაოდენობით;

– შესაბამისი ხარისხის;

– საჭირო ადგილას;

– საჭირო დროის;

– საჭირო მომხმარებლის;

– ოპტიმალური დანახარჯებით.

ლოჯისტიკური საქმიანობის მიზანი — ბიზნესში — ითვლება მიღწეულად, თუ კი ეს შვიდი პირობა შესრულებულია. რა თქმა უნდა 100%-ის სიზუსტით ამ პირობების დაცვა არც ერთ ქვეყანაში არ იქნება შესაძლებელი, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ ბევრი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები არის მოსაწესრიგებელი და გასათვალისწინებელი, განსაკუთრებით მე-3 და მე-5 პირობის შემთხვევაში, როცა მომხმარებელი საჭირო დროს ვერ იღებს შესაბამისი ხარისხის საქონელსა და მომსახურებას.

ლოჯისტიკის ძირითადი მიზნის რეალიზაციისთვის, აუცილებელია მისი ქვემიზნების დადგენა, მათ შორის ძირითადია:

– კონტროლის ეფექტიანი სისტემის ორგანიზაცია, რომელიც გამომდინარეობს მოგებისა და რისკის, შემოსავლებისა და გასავლების, შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების ანალიზიდან;

– სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონალურად შეთანხმებული

და ტექნოლოგიურად რაციონალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა;

– საინფორმაციო და სხვა ნაკადების ორგანიზების თვალსაზრისით, მართვის ეფექტური მატერიალური სისტემის შექმნა, რომლის მიზანია დანახარჯების მინიმიზება, არსებული სიმძლავრეების მაქსიმალური გამოყენების პირობებში.

ლოჯისტიკური სისტემების შექმნა უნდა განვიხილოთ, როგორც ბიზნესში კონკურენციული ბრძოლის, მოგების ამაღლების გარანტია. ასეთი მიდგომა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ლოჯისტიკური სისტემების ფორმირება დაკავშირებულია:

– ბაზრის სიღრმისეულ შესწავლასთან, მისი ტენდენციებისა და კანონზომიერების დადგენასთან;

– ალტერნატიული ვარიანტების შემუშავების მეთოდების ოპტიმიზაციასთან და სწორი არჩევანის განსაზღვრის პრობლემებთან;

– ყველა დონეზე და მართვის ყველა სფეროში მოქმედებათა სინქრონიზაციასთან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლოჯისტიკური კონცეფციის პრაქტიკული გამოყენება მოქმედი სტრუქტურის პირობებში იძლევა შესაძლებლობას:

– ავამაღლოთ მატერიალური, ინფორმაციული და სხვა ტიპის ნაკადების მოძრაობის მთელი გზის ანალიზის ობიექტურობისა და კონტროლის შედეგიანობა;

– შევიმუშავოთ გადაწყვეტილებათა მიღების ალტერნატიული ვარიანტები, გავმართოთ და მოვაწესრიგოთ მათი მიღების შესაძლებლობები;

– გავიმარტივოთ ეკონომიკურ-მათემატიკური და სხვა მეთოდების გამოყენების შესაძლებლობები მათი დაგეგმვის, რეალიზაციისა და კონტროლის ეტაპებზე;

– დავადგინოთ გადასაწყვეტი ამოცანების შეფასების კრიტერიუმების პარამეტრების სისწორე, რაც იძლევა შესაძლებლობას მოვახდინოთ სამეურნეო სუბიექტების საკვლევი და პრაქტიკული საქმიანობის ოპტიმიზაცია;

– ავიმაღლოთ მიზნობრივი ორიენტირების შერჩევის ეფექტიანობა.

აი, ეს არასრული ჩამონათვალი, რაც ობიექტურ აუცილებლობას ქმნის ლოჯისტიკის შესწავლისა და განვითარებისთვის და საბოლოო ჯამში თანამედროვე ბიზნესის წარმატებულად წარმართვისათვის.

LOGISTICS – FOR THE DEVELOPMENT OF MODERN BUSINESS

N. Khizanishvili I. GogebashviliTelavi
State University Associated professor,
Doctor of Economics

Summary

The using of logistics gives a chance to solve any problems connected with material and informational flows. Specifically these problems could be: disposition production and store house stuff, development in the sphere of service, working out of rational direction of material flows, making of logistic chain and its complex management, transporting and definition of size of store houses, selection of sending objects for raw materials, semi-finished products, and so on.; organization of transportation processes, and creating of informational systems for its management. This is the incomplete list of what gives us the ability to manage and develop modern business.

სტრატეგიული დაგეგმვის როლი და მნიშვნელობა კორპორაციის მართვის სისტემაში

ნანა მაისურაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ანოტაცია: კორპორაციული მართვის ერთ-ერთ ძირითადი ამოცანაა სტრატეგიული მართვის სრულყოფისა და კონკურენტუნარიანობის ოპტიმიზაციის რაციონალური გზების გამოვლენა. მწვავე კონკურენციულ გარემოში საქმიანობა კორპორაციის მენეჯმენტიდან მოითხოვს მოკლე და გრძელვადიანი ისეთი სტრატეგიული მართვის მექანიზმების გამოყენებას, რომელიც გათვლილი იქნება მომავალ მოგებაზე, ამისთვის კი აუცილებელია მეცნიერული ხედვის და მიდგომების ჩამოყალიბება არა მარტო კორპორაციული მართვის სისტემაში, არამედ წინასწარ შედგენილ სტრატეგიული განვითარების ბიზნეს-გეგმაში.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული დაგეგმვა, ფასწარმოქმნის პოლიტიკა, კონკურენცია.

თეორიული მასალებისა და უშუალო დაკვირვების საფუძველზე დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა დგება იმისთვის, რომ დაეხმაროს კორპორაციას თავისი ყველა შესაძლებლობების გამოვლენაში და მათ გამოყენებაში, რათა მან მიაღწიოს თავისი მიზნების აღსრულებას ცვალებად და მაღალ-კონკურენციულ გარემოში. პროცესი, რომლის დროსაც ხდება სტრატეგიული შესაძლებლობების დადგენა ეს არის ერთი მხრივ, კორპორაციის მიზნებისა და შესაძლებლობების, და მეორე მხრივ, ბაზარზე მოქმედ შესაძლო ცვლილებებს შორის კავშირი. დაგეგმვაში იგულისხმება მიზნების დასახვა და იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა გაკეთდეს მათ მისაღწევად, რომლიც გაწერილია დროში და როგორც წესი დაყოფილია პერიოდებათ.

მოკლევადიანი (პერიოდი) მიმდინარე სტრატეგიული გეგმა აღწერს მიმდინარე ვითარებას, მიმდინარე მიზნებს, მიმდინარე წლის სტრატეგიებს, მოქმედებათა პროგრამას, ბიუჯეტს და კონტროლის ფორმებს.

გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა ასახავს იმ ფაქტორებს და ძალებს, რომლებიც მოქმედებენ კორპორაციის მუშაობაზე უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე. იგი მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს, ძირითად მარკეტინგულ სტრატეგიებს და განსაზღვრავს აუცილებელ რესურსებს, და ასეთი გრძელვადიანი გეგმების ყოველწლიურად განახლება ხდება, რა თა ყურადღების მიღმა არ დარჩეს გარემოში რაიმე ცვლილებები, რამეთუ დროულად მოხდეს მათზე რეაგირება. წლიური და გრძელვადიანი გეგმები ეხმარება კომპანიებს მიმდინარე მუშაობაში [6; 2].

სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენს ფუნდამენტს ბევრი წარმატებული კორპორაციისათვის. იგი იწყება გლობალური მიზნების განსაზღვრით და კორპორაციის მისიით. შემდეგ დგინდება უფრო კონკრეტული მიზნები. ამისათვის გროვდება სრული ინფორმაცია ორგანიზაციის შიდა გარემოს შესახებ, კონკურენტების შესახებ, ბაზარზე არსებული ვითარების შესახებ და ყველა სხვა სახეობის ინფორმაცია, რომლებიც ასე თუ ისე გავლენას მოახდენს კორპორაციის საქმიანობაზე.

სტრატეგიული დაგეგმვა უნდა შედგეს და, შესაბამისად, წარიმართოს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, ბუნებრივ-კლიმატური და ყველა სხვა მომქმედი გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, მიკრო დონეზე კი, ტექნიკურ-ეკონომიკურმა კვლევებმა უნდა უზრუნველყოს კორპორაციის (დარგის) საქმიანობის გეგმის ფორმირება, რომელიც მოიცავს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას: კორპორაციის როლის დადგენა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და მისი ძირითადი ამოცანების (მიზნების) განსაზღვრა; კორპორაციის მოსალოდნელი ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფების (განყოფილებების) მითითე-

ბით; საწარმოს პროდუქციაზე არსებულ საბაზრო მოთხოვნათა და მომავალში მათზე მოთხოვნის ზრდის შესაძლებლობათა განსაზღვრა; გაყიდვების მოცულობათა პროგნოზირებისა და გასაღების პროგრამების შედგენა მოსალოდნელი შემოსავლებისა და მარკეტინგზე დანახარჯების განსაზღვრით. საკითხის ეს ნაწილი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ის მოიცავს ისეთ ამოცანებს როგორიცაა: გაყიდვების არხების განვითარება ან/და გაძლიერება ჯვარედინი გაყიდვების განვითარება; გაყიდვების დამატებითი სტიმულირება; საწარმოო პროგრამის (პროგნოზის) შემუშავება საწარმოო სიმძლავრეების ოპტიმალურად გამოყენების გათვალისწინებით; წარმოების ფაქტორების (მატერიალური, შრომითი) მოთხოვნათა განსაზღვრა მიმდინარე და მომავალ პერიოდებში მიწოდების უზრუნველსაყოფად; მომავალში ნავარაუდევი ტექნოლოგიებისა და პროცესების გამოყენების განჭვრეტა ინოვაციური დანახარჯების შეფასებით; ფინანსური პროგრამის ფორმირება, რომელშიც აისახება მოთხოვნა აქტივებზე (ძირითად და საბრუნავ კაპიტალზე), საინოვაციო დანახარჯებზე, საწარმოს საქმიანობის ფინანსური (მოგების ნორმის) მაჩვენებლების შეფასება [7].

შესაბამისად, ეკონომიკური ლიტერატურის შესწავლის და პრაქტიკული დაკვირვების საფუძველზე იკვეთება, რომ კორპორაციის სტრატეგიული ბიზნეს-გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ამოცანებს: პოლიტიკური გადაწყვეტილებების განსაზღვრა; ეკონომიკის სამომავლო მდგომარეობის შეფასება; საწარმოო სიმძლავრეების (ტექნიკური პროგრესის) შეფასება და შესაძლო ინვესტიციების მოცულობების წინასწარი შეფასება. საკითხებისა და ამოცანების გაანალიზების და კორპორაციის მთავარი მიზნის არჩევის შემდეგ, ბიზნეს-გეგმაში ასახვა უნდა ჰპოვოს მარკეტინგის სტრატეგიამ, რომელშიც მნიშვნელოვანია კომერციული სტრატეგია და ფასწარმოქმნის პოლიტიკის განსაზღვრა.

კომპანიის მიერ წარმოებულ საქონელზე საბაზრო ფასის ფორმირების 9წარმოქმნის) პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

ფასწარმოქმნის ამოცანის დასმა, მოთხოვნის სიდიდის განსაზღვრა, დანახარჯების შეფასება, კონკურენტების საქონლის ფასების ანალიზი, ფასების დაგეგმვის მეთოდის შერჩევა, საბოლოო ფასისა და მომავალში შესაძლო ცვლილებების შეტანის წესების დადგენა, სახელმწიფოს მხრიდან ფასების რეგულირების მომენტის გათვალისწინება.

ფასწარმოქმნის პოლიტიკა კორპორაციებში დამოკიდებულია მის მიერ შემუშავებულ მარკეტინგულ სტრატეგიაზე, ხოლო ამ პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობას განსაზღვრავს საბაზრო კონკურენციის ტიპი, რომელიც საფუძველს იძლევა ფასების დასაბუთების, დადგენის და გამოყენების პროცესის გამოვლენის. ამასთან, ფასწარმოქმნის პროცესი კორპორაციებში ხორციელდება გარკვეული თანმიმდევრობით ანუ ეტაპობრივად. კორპორაციებში ფასების დადგენისას გამოყოფენ შემდეგ ძირითად ეტაპებს, სახელდობრ: ფასწარმოქმნის ამოცანის დასახვა; მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრა; საბაზრო ფასების შეფასება; საბოლოო ფასის დადგენა.

კორპორაციის ბიზნესის დაგეგმვის პროცესში ერთ-ერთ რთულ კვანძად საწარმოო პროგრამის ფორმირება გვევლინება, რომელიც თავის ასახვას ჰპოვებს ბიზნეს გეგმაში.

ბიზნესის დაგეგმვის პროცესი მოიცავს ოპერატიულ, წლიურ და პერსპექტიულ ოპტიმალური საწარმოო პროგრამის ფორმირების ორგანიზაციულ ასპექტებს, კერძოდ: საწარმოო სიმძლავრეების ანალიზს და მეცნიერულად დასაბუთებული საწარმოო სიმძლავრეების მაჩვენებლების (ნორმატივების) მოპოვებასა და დაგეგმვაში გამოყენებას; პროდუქციის მაქსიმალურად შესაძლო წარმოების დასაბუთება-გაანგარიშებას მარკეტინგულ გამოკვლევათა გათვალისწინებით; მაღალეფექტიანი ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებების შემუშავებას; პროდუქციის შრომატევადობის ერთეულის განსაზღვრას.

დაგეგმვის პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს საწარმოო პროგრამების ოპტიმიზაციის განსაზღვრის მეთოდიკას, რომელიც

უნდა ითვალისწინებდეს მოცემული ტექნოლოგიის პირობებში დანადგარების მოქმედი დატვირთვის შესაძლებლობას.

კორპორაციული სტრატეგიული დაგეგმვის ბოლო ეტაპზე ყალიბდება ფინანსური სტრატეგია. კორპორაციის საფინანსო სტრატეგია (გეგმა) მოიცავს რამდენიმე დოკუმენტს, რომელთა განსაზღვრა გულდასმით უნდა წარმოებდეს. მათ შორის გამოყოფენ: გაყიდვების მოცულობის პროგნოზირებას; ფულადი სახსრების შემოსავლებისა და გასავლების ბალანსს; შემოსავლებისა და დანახარჯების ნაერთ ცხრილებს; საწარმოს აქტივებისა და პასივების ნაერთ ბალანსს; მოგების მაჩვენებელთა ფორმირებისა და გამოყენების პრიორიტეტებს; ფასიანი ქაღალდების პორტფელს; საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ეტაპებს; დაინტერესებულ მხარეთა ფინანსური მოლოდინის განჭვრეტას და ა.შ. [3].

კორპორაციის ფინანსურ სტრატეგიაში მნიშვნელოვანია საინვესტიციო პროექტის ღირებულების მართვა, კერძოდ, ღირებულებისა და დანახარჯების წარმოშობის ადგილის მიხედვით: საინვესტიციო სახსრების მიღების წყარო და ფორმები, კაპიტალურ დაბანდებათა უკუგება და საინვესტიციო დივიდენდების მაჩვენებელი.

კორპორაციის საფინანსო გეგმა, როგორც წესი, აიგება მარკეტინგული კვლევების, და მარკეტინგული პროგნოზირების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს კორპორაციის საწარმოო გეგმის შესაძლებლობებიდან. კორპორაციის საქმიანობის გეგმის შინაარსობრივ სტრუქტურას განსაზღვრავს კორპორაციის სპეციფიკურობა. მაგრამ ყველა შემთხვევაში სტრატეგიული გეგმა უნდა იყოს მოქნილი, რათა საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდეს მისი მოდიფიკაცია და კორექტირება. სტრატეგიული გეგმიდან ნათლად უნდა ჩანდეს, თუ რა მიზანს ისახავს კორპორაცია, რაც გაადვილებს მისი რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებას.

ქართულ და უცხოურ პუბლიკაციებში თუ სახელმძღვანელო ლიტერატურაში [4; 5; 8] აღნიშნულია, რომ კორპორაციის

მენეჯმენტმა მისიისა და მიზნების განსაზღვრის შემდეგ უნდა დაიწყოს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დიაგნოსტიკური ეტაპი. ამ ეტაპის პირველი რიგის ამოცანაა გარეგანი გარემოს შესწავლა, რომლის მიზანია განისაზღვროს ის ფაქტორები, რომელიც უქმნის სირთულეებს კორპორაციის სტრატეგიის რეალიზაციას და გამოავლინოს (შემდეგში განავითაროს) პოზიტიური ფაქტორები, რომლებიც ქმნის მიზნების მიღწევისათვის ხელსაყრელ შესაძლებლობას.

გარეგანი გარემოს ანალიზი წარმოადგენს ისეთი სახეობის პროცესს, რომლის მეშვეობითაც მგეგმავები ავლენენ კორპორაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ სირთულეებს და შესაძლებლობებს, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება კორპორაციის ის ძლიერი და სუსტი მხარეები (SWOT-ანალიზი), რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სტრატეგიული დაგეგმვის დროს. ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრისას ასევე აუცილებელია შიდა გარემოებების ანალიზი, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს შიდა ცვლადების გამოვლენა, განსაკუთრებით კი ისეთი ცვლადების, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან და წარმოების ციკლთან.

სტრატეგიული დაგეგმვის მკვლევართა შორის არსებობს საერთო მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ სტრატეგიული დაგეგმვა ოთხი ძირითადი კომპონენტისაგან და, შესაბამისად, ამდენივე ეტაპისაგან შედგება, ეს კომპონენტებია: სტრატეგიული დაგეგმვის მიზნების ფორმულირება; სტრატეგიული დაგეგმვის ფორმულირებაზე ზემოქმედი გარე და შიდა გარემოს შეფასება; სტრატეგიული ალტერნატივების შეფასება; სტრატეგიული დაგეგმვის მიზნების განხორციელება და კონტროლი.

სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები ფუნქციონალურად ურთიერთდამოკიდებულია და მოიცავენ, კერძოდ:

სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი - მოიცავს ორგანიზაციის გარემოსა და მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ არსებული სტრატეგიული ინფორმაციის დამუშავებას. ამ ეტაპზე დაგეგმვის პროცესის წარმატების უზრუნველსაყო-

ფად შესაძლებელია სპეციფიკური მეთოდების გამოყენება, მაგალითად, ძირითადი განუსაზღვრელობის გამოსაკვლევად სცენარების ანალიზის მეთოდი. პირველი ეტაპი და სხვა დანარჩენი შეესაბამება კორპორაციული მართვის კონცეფციას.

მეორე ეტაპი მოიცავს იმ გზებისა და საშუალებების განხილვას, რომლებსაც მენეჯერები იყენებენ ბიზნესის გარემოში შეცვლილ გარემოებებზე რეაგირების მიზნით. ამ ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში, არსებული სტრატეგია და მისი ეფექტიანობა ოფიციალურად გადაისინჯება ან ახალი სტრატეგიული ვარიანტები დამუშავდება. ამასთან, მეორე ეტაპისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური და სხვა მაჩვენებელთა დინამიკის ჩამოყალიბება. ეს ეტაპი იმით მთავრდება, რომ უფროსი აღმასრულებელი პირი (დირექტორი) ან დირექტორთა საბჭო სამეთვალყურეო საბჭოსთან ათანხმებენ კორპორაციის არსებულ ან შეცვლილ სტრატეგიას.

სტრატეგიული დაგეგმვის მესამე ეტაპი ეხება ახლად შემუშავებულ ან არსებული სტრატეგიული ვარიანტების პრაქტიკულ განხორციელებას, ბიზნეს-გეგმის, საწარმოთა შორის კოორდინირებული გეგმებისა (საჭიროების შემთხვევაში) და ბიუჯეტის შედგენის საფუძველზე. სტრატეგიული გეგმების პრაქტიკული განხორციელების პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ზედა დონის სტრატეგიული გეგმები დაყოფილი უნდა იყოს ოპერატიულ გეგმებად. ოპერატიულ დონეზე ქვედანაყოფის (დეპარტამენტის, განყოფილების) გეგმა შეიძლება დაიყოს ნათლად გამოკვეთილი სტადიების მქონე თანმიმდევრულ პროექტებად, რომლებიც გავლენას იქონიებს სხვადასხვა ბიზნესპროცესებზე. სტრატეგიული გეგმების ეფექტიანი განხორციელების პროცესის ფუნდამენტს წარმოადგენს სათანადოდ კოორდინირებული საბიუჯეტო პროგრამები (გეგმები), რაც უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ გეგმები საკმარისად არ ის უზრუნველყოფილი რესურსებით და ადეკვატურად არის დაფინანსებული. საბოლოოდ, სტრატეგიული გეგმების განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ორგანიზაციის ზედა და ქვედა დონეების ეფექტიანი მართვისა და ადმინისტრირების პროცესებზე, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ პიროვნებები და ჯგუფები სათანადოდ იქნებიან მოტივირებული და აღჭურვილი სტრატეგიული გეგმების პრაქტიკაში განსახორციელებლად [3; 2].

სტრატეგიული დაგეგმვის მეოთხე ანუ ბოლო ეტაპზე მუშავდება დროზე დაფუძნებული ეტაპობრივი მაჩვენებლები, რომლის საფუძველზე ხორციელდება დადგენილი ფინანსური მაჩვენებლის შესრულება (მათ შორის სამუშაო ძალის დენადობა, მოგების მარჟა და ინვესტიციების უკუგება) და სტრატეგიულ კურსზე მონიტორინგი. სტრატეგიული ეტაპების მაჩვენებლები უნდა მიებას, ანუ შეესაბამებოდეს კორპორაციის საქმიანობის შედეგებს, მაგალითად, საფირმო ნიშნის შესახებ ბაზრის ინფორმირებულობას და მოცემულ ან სხვადასხვა ქვეყნის ბაზრის წილს. ამგვარი შეფასებადი თვითკონტროლირებადი მიზნები კორპორაციას საშუალებას აძლევს, კონცენტრაცია მოახდინოს სტრატეგიული დაგეგმვის მთავარ მიზანზე, ფინანსურ და სტრატეგიულ მიღწევებზე.

კორპორაციული მართვის სისტემაში ფორმალურ სტრატეგიულ დაგეგმვას მნიშვნელოვანი დანახარჯები ახლავს, რომელიც საჭიროებს კორპორაციის მაღალი რანგის მენეჯერების ფართო მონაწილეობას, რამეთუ, მიზნის მისაღწევად, ხარჯები შეიძლება გაიწიოს სპეციალური პერსონალის დაქირავებაზე, რომელიც კონკრეტულად დაგეგმვის პროცესს წარმართავს, თუ სპეციალური პერსონალის დაქირავება არ მოხდა, მაშინ, უფროს მენეჯერებს პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეთ პროგრამის შესრულებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ანაზღაურების ნაწილი მიღწეულ გეგმურ მაჩვენებლებზე უნდა იყოს დამოკიდებული.

პრაქტიკოს მკლევარებს შორის ხშირად მიმდინარეობს კამათი საჭიროა თუ არა ფორმალური გეგმა, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ფორმალური გეგმები ასუსტებს ორგანიზაციის მოქნილობას და მის შესაძლებლობას, დაუყოვნებლივ მოახდინოს

რეაგირება ახალ მოვლენებსა და გარემოებებზე [1], მაგრამ, იგივე პრაქტიკოსი მკლევარები აღიარებენ, რომ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით აუცილებელია საქმიანობის გეგმის შედგენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბურდული ფრ.** ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები. გამ.: ,,თსუ", თბ., 2000 წ.

2. **კაკაბაძე ვ.** ბიზნეს-ადმინისტრირება (სრულყოფის თორმეტი საფეხური). გამ.: ,,მერიდიანი", თბ., 2011 წ.

3. **ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ.** კორპორაციული ფინანსები. ტომი II, გამ.: ,,უნივერსალი" თბ., 2013 წ.

4. **ხარებავა რ.**ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები. გამ.: ,,სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი", თბ., 2012 წ.

5. **Липартия З. Ш.** Стратегическое планирование: проблемы, методы, перспективы. Изд.: Тб. Ун., 1998 г. 256 ст.

6. **Маисурадзе Н.** О Возможности Конвергенции Финансовой Политики, Кавказский Регион. VI Студенческая международная научно-практическая конференция. Новосинирск, декабрь 2012 г.

7. **Мескон М. Х., Альберт М., Хедоури Ф**. Основы менеджмента: Перевод с англ. Изд. «Дело», Москва 2002 г.

8. **Vinicius C**. Corporate Board Structure, Managerial Self-Dealing and Common Agency. First Draft: July, 2004. This Draft: October, 2005.

SUMMARY

Nana Maisuradze
Sokhumi State University Doctoral Student

THE ROLE AND SIGNIFICANCE OF THE STRATEGIC PLANNING FOR THE CORPORATE GOVERNANCE SYSTEM

This scientific article substantiates an importance of the business planning for the corporate strategic development which is considered as an instrument for representing and utilization of the Corporation's ability and which helps to fulfill the goals of the Corporation.

It is also shown in this article, that based on theoretical materials and direct observation, since the corporation's management objectives have been considered, the planning of the diagnostic phase shall be carried out , as its main goals are an external environment study and identification of the factors which pose difficulties for the implementation of the Corporation strategy as well. The External Environment Analysis is a such kind of process with the help of which planners can reveal the difficulties and opportunities related to Corporation' business activities and then, based on that shall determine the strengths and weaknesses of the Corporation (SWOT- analysis) to be considered after in a strategic planning work to be done. Along with the determination of the strengths and weaknesses of the Corporation, it is also very important to carry out the analysis of the local circumstances where the internal variables' apparency have a significant role, especially those variabilities which are associated with the financial resources or with the production cycles.

In this article for the meanings of general assessment it also is underlined, that often the practitioner-researchers consider any business planning activities as a very formal thing, however, the same practitioner-researches acknowledge that it is necessary to develop the business-plan in order to reduce the risks that are related with any of such a business activity.

ბიზნეს ორგანიზაციებში ახალი თაობის ინტერნეტ პროტოკოლის (IP36) დანერგვის ტექნიკური და ფინანსური საკითხებისათვის

თეიმურაზ ტაბატაძე
თსუ საინფორმაციო დეპარტამენტის ქსელისა
და სერვერული სისტემების განყოფილების უფროსი,
საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი

თეიმურაზ გოგნაძე
თსუ მთავარი სპეციალისტი, ბიზნესის
ადმინისტრირების დოქტორი

პრობლემის წინაპირობები. დღეისათვის არსებულ გლობალურ საერთაშორისო ქსელში (ინტერნეტში) გამოყენებული ქსელური პროტოკოლებიდან ფაქტიურად მთელი წილი (დაახლოებით 90%) მოდის მეოთხე ვერსიის ინტერნეტ პროტოკოლზე (IPv4), რომელსაც მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნია. მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

1. ერთ ერთი უმთავრესი ნაკლოვანება არის **მისამართების დიაპაზონის შეზღუდულობა.** IPv4 პროტოკოლში ჰოსტის მისამართი მოცემულია 32 თანრიგიანი რიცხვით და მაქსიმალური რაოდენობა მისამართებისა დაახლოებით 4 მილიარდ 300 მილიონია (2^{32}), მაგრამ მისამართების იერარქიული სტრუქტურის გამო ეს რიცხვი რეალურად ბევრად ნაკლებია. ყოველი ქსელის (ქვექსელის) დამისამართებისას 2 მისამართი გამოყენებულია ქსელისა და ე.წ. ფართომაუწყებლისათვის (Broadcast), ასევე ქვექსელის ზომა, რომელიც 2-ის ხარისხების ჯერადია იწვევს გამოუყენებელი მისამართების დანაკარგებს. დღეისათვის ახალი დიაპაზონის მისამართების გამოყოფა პრაქტიკულად შეწყვეტილია უმეტეს რეგიონულ ინტერნეტ რეესტრებში (RIR).

2. **მარშრუტიზაციის ცხრილის სიდიდე.** რაც უფრო მეტი

ახალი საკომუნიკაციო კვანძი ჩნდება ინტერნეტ ქსელში ,მით უფრო იზრდება ამ კვანძების შესაბამისი ქსელებისკენ მიმავალი მარშრუტების რაოდენობა. ეს კი შესაბამისად იწვევს იმ მარშრუტიზაციის ცხრილის ზომის გაზრდას, რომლითაც ხელმძღვანელობს მარშრუტიზატორი პაკეტების გადართვისას. შედეგად იზრდება მოთხოვნილება პროცესორის სიმძლავრესა და მეხსიერებაზე.

3. **პაკეტების ფრაგმენტირება.** იმის გამო რომ ქსელში ჩართულია სხვადასხვა მწარმოებლისა და სხვადასხვა ტექნოლოგიით მომუშავე მოწყობილობები (უფრო სწორად მათი ინტერფეისები და საკომუნიკაციო საშუალებები) ვერ ხერხდება პაკეტის მაქსიმალური ზომით გადაცემა ცალკეულ უბნებზე (შუალედურ მარშრუტიზატორებზე), რაც საჭიროებს მათ დაწყვეტას, დანაწილებას ცალკეულ ფრაგმენტებად და შემდგომში კვლავ შეერთებას. ეს პროცესი ამცირებს მონაცემთა გადაცემის სიჩქარეს და მოითხოვს დამატებით პროცესორის რესურსებს.

4. **პაკეტების დამუშავების კომპლექსურობა.** IPv4 პაკეტს აქვს 12 სხვადასხვა ველი. რომელთაგან ზოგიერთის შემოწმება, ხოლო სათაურების საკონტროლო ჯამის ხელახალი კალკულაცია ყოველი მარშრუტიზაციის გავლისას ხდება.

5. **გადაცემის უსაფრთხოება.** ქსელური დონე (ISO/OSI 7 დონიანი მოდელის მიხედვით) უნდა წარმოადგენდეს იმ დონეს ,რომლის პროტოკოლებშიც უნდა იყოს რეალიზებული მონაცემთა უსაფრთხო გადაცემის მექანიზმები (შიფრაცია, მონაცემთა მთლიანობა და ა.შ.), თუმცა IPv4 ვერ იძლევა ამის საშუალებას და საჭირო ხდება დამატებითი პროტოკოლების (IPSec) გამოყენება, რომელებიც ართულებს სისტემების კონფიგურირებას, ამცირებს გადაცემის სიჩქარეს და ზრდის მოთხოვნებს აპარატურულ რესურსებზე.

6. **გადაცემის ხარისხის მართვა.** გადასაცემი ინფორმაციის ხასიათის მიხედვით საჭირო ხდება ხოლმე პრიორიტეტების მიკუთვნება სხვადასხვა ტიპის ნაკადისათვის. ეს განსაკუთრებუ-

ლად ეხება ვიდეო და აუდიო მონაცემების გადაცემას, რომლის დროსაც დაცული უნდა იყოს დაყოვნების დროის ინტერვალის უცვლელობა და არხის გამტარუნარიანობა. IPv4 -ის პაკეტის სათაურებში (Header) ამისათვის გამოყოფილია Tos (Type of service) ველი, რომლითაც შესაძლებელია სერვისების იდენტიფიცირება, თუმცა ის არასაკმარისია სრულყოფილად ნაკადების გადაცემის მართვისათვის და სხვადასხვა მწარმოებლის მარშრუტიზატორები ზოგჯერ სხვადასხვა მექანიზმით ახდენენ ამ თვალსაზრისით პაკეტების დამუშავებას.

7. მობილობა. როდესაც ესა თუ ის ორგანიზაცია იცვლის ინტერნეტ პროვაიდერს ან საჭირო ხდება მისი ფიზიკური ადგილმდებარეობის მონაცვლეობა .ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდი სამუშაოების ჩატარება უწევს ქსელის ადმინისტრატორებს ახალი მისამართების ადაპტაციისათვის - ანუ არ არსებობს მისამართების ავტოკონფიგურაციის მექანიზმი. გარდა ამისა სხვადასხვა ორგანიზაციებში, რომლებიც სხვადასხვა სახის სერვისებისათვის IP მისამართების რეგისტრირებას იყენებენ (მაგ. ინტერნეტ დომენების ჩანაწერები) განაცხადების გაკეთება და შემდეგ რეაგირებაზე დალოდება, რაც ასევე იწვევს ხოლმე გარკვეული სახის პრობლემებს.

ამ ნაკლოვანებების მოგვარების მიზნით გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყეს ახალი თაობის ინტერნეტ პროტოკოლის შემუშავება, რომელმაც საბოლოოდ 1996 წელს მე-6 ვერსიის სახე მიიღო (IPv6).

ეს პროტოკოლი მისი განსხვავებული სტრუქტურისა და მასში განხორციელებული სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით ამცირებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკულად მთლიანად ხსნის, ზემოაღნიშნულ პრობლემებს:

1. მისამართების რაოდენობის დეფიციტის პრობლემის მოხსნა განპირობებულია იმით, რომ 32 თანრიგიანი მისამართების ნაცვლად გამოყენებულია 128 თანრიგიანი დამისამართება, რაც პრაქტიკულად გვაძლევს საშუალებას სრულიად საკმარისი რა-

ოდენობა გამოიყენებოდეს როგორც ჰოსტების, ასევე ქსელების (ქვექსელების) ადრესაციისათვის;

2. რაც შეეხება მარშრუტიზაციის ცხრილის ზომის შემცირებას, ეს ხდება იმის ხარჯზე რომ ინტერნეტ პროვაიდერებს შეუძლიათ მათი კლიენტების ქსელების მისამართების პრეფიქსები ერთ დიდ პრეფიქსში გააერთიანონ და ასე გამოაცხადონ ის IPv6 ქსელში, ანუ მარშრუტიზაციის ცხრილში რამოდენიმე ჩანაწერი შეიცვლება ერთი ჩანაწერით;

3. IPv6 პროტოკოლში პაკეტების ფრაგმენტაცია აღარ ხდება იმის ხარჯზე რომ „მთელი მარშრუტის გასწვრივ“ დგინდება გადაცემის მაქსიმალური ბლოკის ზომა (MTU) და ამ სიდიდის მიხედვით ფორმირდება პაკეტები;

4. პაკეტების დამუშავება მარშრუტიზატორების გავლისას (Hop) გამარტივებულია იმით, რომ ჯერ პაკეტებში ნაცვლად 12 ველისა ახალ პროტოკოლში გვაქვს მხოლოდ 7 ველი და ამასთან აღარ ხდება საკონტროლო ჯამის რეკალკულაცია. გადაცემის საიმედოობა კი უზუნველყოფილია არხული და სატრანსპორტო პროტოკოლებით, რომლებიც იყენებენ საკონტროლო ჯამებს ;

5. IPSec პროტოკოლი რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა კონფიდენციალურობას, მთლიანობას და აუტენტიფიკაციის მექანიზმებს IPv4-საგან განსხვავებით უკვე ორგანულადაა შერწყმული IPv6-თან და აღარაა აუცილებელი დამატებითი პროტოკოლების გამოყენება;

6. მონაცემთა გადაცემის მართვისათვის IPv6 პროტოკოლში გარდა ტრაფიკის კლასის ველისა (რომელიც ითვლება IPv4-ის Tos ველის შემცვლელად) დამატებით შემოღებულია ნაკადის მომნიშვნელი ველი (Flow Label) რომელიც პაკეტებს მიაკუთვნებს ამა თუ იმ ნაკადს, რის შედეგადაც იზრდება პაკეტების გადართვის სწრაფმოქმედება. ეს ველი ასევე გამოიყენება სერვისების ხარისხის მართვის მექანიზმშიც (Qos);

7. მისამართების მობილობისათვის IPv6-ში ჩანერგილია სპე-

ციალური ავტოკონფიგურირების მექანიზმი, რომლის წყალობითაც ჰოსტის ფიზიკური მისამართი ჩაქსოვილია ავტომატურ მისამართში რაც იძლევა ე.წ. **"plug-and-play"** პრინციპის განხორციელების საშუალებას. გარდა ამისა მარშრუტიზატორების ინტერფეისებს შეიძლება გააჩნდეთ ერთდროულად რამდენიმე ტიპის მისამართი რაც იძლევა საშუალებას ჰოსტთან გარკვეული კავშირის შენარჩუნებისა იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მისამართზე სხვადასხვა მანიპულაციები ხდება, ასევე შესაძლებელია პროვაიდერზე დამოკიდებული და პროვაიდერისაგან დამოუკიდებელი მისამართების გამოყენება.

გარდა ზემოთჩამოთვლილი ტექნიკური ხასიათის უპირატესობისა ახალი პროტოკოლის გამოყენება პერსპექტიულია ორგანიზაციული და ფინანსური თვალსაზრისითაც. მაგალითად, მისამართების გარკვეული სიდიდის ბლოკის (პრეფიქსის) აღება, ავტონომიური სისტემის დარეგისტრირება შესაბამის რეგიონალურ ინტერნეტ რეესტრებში უფრო იოლად და მომავალისთვის ნაკლები ფინანსური ხარჯითაა შესაძლებელი. მიუხედავად ამისა მისი დანერგვა უმრავლეს ქვეყნებსა თუ კომპანიებში მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობს. ეს გამოწვეულია მთელი რიგი ტექნიკური თუ ეკონომიკური მიზეზებით. მათ შორის:

შედარებით ძველი მოწყობილობებს, როგორც სამომხმარებლო (პერსონალური კომპიუტერები, ნოუტბუკები, მობილური სმარტფონები, IP კამერები, ქსელური პრინტერები და ა.შ.), ასევე ქსელურს (მარშრუტიზატორები, მართვადი კომუტატორები, უსადენო წვდომის წერტილები და ა.შ.) არ გააჩნიათ IPv6 პროტოკოლის მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო და ბიზნეს ორგანიზაციები საჭიროებენ დამატებით ფინანსურ დანახარჯებს არსებული ტექნიკის განახლების ან მოდიფიცირებისათვის. მაგალითად, 1 მართვადი კომუტატორის შეცვლა, რომელიც აუცილებელი მოწყობილობაა ნებისმიერი უმცირესი ზომის ქსელისთვისაც კი, რამოდენიმე ასეული დოლარი მაინც

ღირს. საშუალო და დიდ ორგანიზაციებში კი ასეთი კომუტატორები ათეულობით და ასეულობითაა. რაც შეეხება მარშრუტიზატორებსა და აპარატურულ ფილტრებს (ე.წ. ფაირვოლი) თითოეული მათგანის ფასი საშუალო ქსელისათვის რამოდენიმე ათასი დოლარია.

არსებული ინტერნეტ სერვისები, რომლებიც უკვე ფუნქციონირებენ, ასევე მათთან მომუშავე აპლიკაციები შემუშავებულია Ipv4 პროტოკოლის მიხედვით და ადმინისტრატორებს და პროგრამების შემმუშავებელ ჯგუფებს უწევთ სერიოზული სამუშაოების ჩატარება ფუნქციონირებისა და ტესტირების მიზნით. ფინანსური თვალსაზრისით კი რიგ შემთხვევებში აუცილებელი ხდება ახალი პროგრამული პაკეტების შეძენა დეველოპერული კომპანიებისაგან.

რადაგანაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გარდაუვალია ორივე პროტოკოლის თანაარსებობა, აქედან გამომდინარე ის გარკვეულ ქსელურ მოწყობილობებსა თუ სერვერებზე ურთიერთტრანსლირებისათვის საჭიროა ერთროულად მუშაობდეს ორივე მათგანი (ე.წ. Dual Stack). ეს კი უარყოფითად მოქმედებს ქსელების სწრაფმოქმედებაზე და ზრდის აპარატურული რესურსებისადმი მოთხოვნილებას.

აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე ცალკეული სახელწიფოებს უმეტესწილად არ აქვთ შემუშავებული შესაბამის კონცეფციები თუ გეგმები, რაც იწვევს ბიზნეს ჯგუფების ნაკლებ დაინტერესებას ამ პრობლემატიკის მიმართ. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ადამიანური რესურსების ფაქტორიც, რაც იმაში მდგომარეობს რომ საჭირო ხდება ამ დარგის სპეციალისტების გადამზადება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით - ესეც თავის მხრივ დამატებითი დროისა და ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

ზემოაღნიშნული პრობლემების მიუხედავად , უახლოეს წლებში ახალი პროტოკოლის დანერგვა გარდაუვალი გახდება

ისეთ მნიშვნელოვან ბიზნეს ორგანიზაციებისათვის მაინც, როგორიცაა ინტერნეტ პროვაიდერები. წინაამღდეგ შემთხვევაში თუ არსებული არქიტექტურის შენარჩუნებისკენ წავა ინვესტიციები ინტერნეტი დაკარგავს იმ თვისებებს, რასაც იგი დღეს ფლობს და გახდება უფრო ნაკლებად ჩქარი და უსაფრთხო. ამიტომ ამ პროტოკოლზე გადასვლისათვის საჭიროა სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარება, კერძოდ:

• ღია ქსელებსა და სერვისებში IPv6 პროტოკოლის მხარდაჭერის გაფართოება;

• სპეციალური პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია IPv6 პროტოკოლის შესწავლისათვის;

• საგანმათლებლო და სასწავლო ხაზით IPv6 პროტოკოლის პროპაგანდირება

• სპეციალიზირებულ პროგრამებში დანერგვა;

• IPv6-თან მუშაობის სტანდარტების აქტიურად შემუშავება;

• ინტერნეტ სერვისების განვითარების სტრატეგიელ გეგმებში IPv6 პროტოკოლის გათვალისწინება ტექნიკური და ფინანსური თვალსაზრისით.

ჩვენის აზრით, თუკი რომელიმე ორგანიზაცია თუ კომპანია ახლიდან ქმნის თავის ქსელს, მაშინ მათ ადვილად შეუძლიათ IPv6 მისამართებისა და მასთან დაკავშირებული დომენური სახელების დანერგვა. პრობლემა რჩება ამ მისამართების „გარე სამყაროსთან“ დაკავშირება და კომუნიკაცია, რაშიდაც ცხადია აუცილებელი გახდება ინტერნეტ პროვაიდერის მხარდაჭერა. გაცილებით პრობლემატურია იმ ორგანიზაციებისა თუ კომპანიების გადასვლა ახალ პროტოკოლზე, ვინც უკვე სრულად იყენებს Ipv4-ს და ასევე საკუთრივ ინტერნეტ პროვაიდერებისა. აღსანიშნავია ასევე ქსელისა და მიკროპროცესორული აპარატურის მწარმოებელთა როლი იმ თვალსაზრისით, რომ მიმდინარე ეტაპზე მოხდეს გამოშვება ორივე პროტოკოლის მხარდამჭერი მოწყობილობებისა, შემდგომ კი თანდათანობით მხოლოდ IPv6 ზე მომუშავესი.

დაბოლოს ავღნიშნავთ, რომ საქართველოში ახალი პროტოკოლის დანერგვა განპირობებული იქნება ევროპის თანამეგობრობის მიერ შემუშავებული „ევროპაში IPv6 პროტოკოლის დანერგვა“ გეგმის თანახმადაც.

ლიტერატურა და ინტერნეტ ბმულები:

1. Diane Teare, Implementing Cisco IP Routing (ROUTE) Foundation Learning Guide Published by:Cisco Press Indianapolis, IN 46240 USA

2. IPv6 для домашних сетей - http://habrahabr.ru/post/159775/

3. Д. Бурков - Текущее состояние и перспективы внедрения протокола IPv6. «Технологии и средства связи» #4, 2013

http://www.iana.org/numbers

http://tools.ietf.org/html/rfc3587

გადაწყვეტილების მიღების თეორია და პრაქტიკა თანამედროვე მენეჯმენტში

ევგენი ბარათაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ პროფესორი

ირმა მახარაშვილი
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

მანანა მარიდაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი,
სტუ-ს უფროსი მასწავლებელი

პირადი გადაწყვეტილებების უმეტესობა მიიღება სწრაფად, გრძნობებზე, წარსულ გამოცდილებაზე, ასოციაციებზე, ჩვევებზე, ტრივიალურ შედეგებზე ან აშკარა უპირატესობებზე დაყრდნობით, ხოლო მენეჯმენტში მიღებული გადაწყვეტილება მოითხოვს უფრო დინჯ და წინასწარ მოფიქრებულ მოდგომას, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას, სპეციალისტებისაგან რჩევის მიღებას, ოფიციალურ შეფასებას და ანალიზს.

გადაწყვეტილების მიღების პრობლემის იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები:

- მნიშვნელოვანი შედეგები, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღებას მოჰყვება;
- გაურკვევლობა;
- კონფლიქტის გამომწვევი მიზნები;
- მრავალრიცხოვანი დაინტერესებული მხარეების არსებობა;
- გადაწყვეტილების გარემოს სირთულე;
- ანგარიშვალდებულების საჭიროება;

გადაწყვეტილების მიღებაში მეცნიერება ყოველთვის თამაშობს გარკვეულ როლს. სამწუხაროდ, სამეცნიერო ინფორმაცია იშვიათადაა ხელმისაწვდომი იმ ფორმატში, რომ სასარგებლო აღმოჩნდეს გადაწყვეტილების მიღებისას. ეს ნაშრომი გვიჩვენებს როგორ უნდა აღმოიფხვრას არსებული უფსკრული სამეცნიერო ცოდნასა და მნიშვნელოვან პირად და საჯარო გადაწყვეტილებებს შორის.

სამეცნიერო ცოდნა იოლად ხელმისაწვდომი არ არის ჩვეულებრივი ადამიანებისა და პოლიტიკოსებისათვის. სამეცნიერო ცოდნის რეალიზება ხდება სამეცნიერო ჟურნალების სტატიებში და სამეცნიერო წიგნებში, რომელიც გასაგებია, მხოლოდ მეცნიერთა ჯგუფის მცირე ნაწილისათვის. ამავე დროს, გადაწყვეტილების მიმღებებს აქვთ კითხვები, რომლებზე მეცნიერული პასუხის გაცემაც საკმაოდ რთულია.

სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც რელევანტურია მეცნიერებისა და გადაწყვეტილების მიღების დაკავშირებასთან, მოიცავს რისკის შესახებ ინფორმაციას, სამეცნიერო კომუნიკაციას, და გადაწყვეტილების ანალიზს. ნაშრომი ხაზს უსვამს მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია გადაწყვეტილების ანალიზზე, რაც ხელს უწყობს მეცნიერების გამოყენებას გადაწყვეტილების მიღებაში. ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა ნაშრომები ფაქტობრივად აღწერენ როგორ გამოიყენება (ან უგულებელყოფილია) მეცნიერება, სამეცნიერო ორგანიზაციები და ინფორმაცია, რომელსაც ეს ორგანიზაციები გვაწვდიან და როგორ აღიქმება იგი ხალხის მიერ.

მეცნიერებისა და გადაწყვეტილების მიღების დამაკავშირებელი ჩარჩო. გადაწყვეტილების მიღების თეორიების უმეტესობა თვლის, რომ გადაწყვეტილებებს უნდა ჰქონდეთ ორი საყრდენი: შეხედულებები და ფასეულობები. გადაწყვეტილების მიმღების შეხედულებები მისი რეალობის აღქმის ანარეკლია, ფაქტების, მოსაზრებების და ეჭვების ჩათვლით. შეხედულებები შესაძლებელია და უნდა იყოს კიდეც დაფუძნებული მეცნიერებაზე. ეს განასხვავებს მას რწმენის ცნებისაგან. გადაწყვეტილების მიმღების

ფასეულობები აისახება გადაწყვეტილების მიმღების მისწრაფებებზე და მიზანზეც, რის მიღწევასაც ის ცდილობს, მათ შორის დასახულ ამოცანებსა და კომპრომისებზეც.

ეს ორმაგი კონცეფცია (შეხედულებებისა და ფასეულობების) არსებობს გადაწყვეტილების მიღების ყველა თეორიაში, მათ შორის ღირებულებების თეორიაში, მოსალოდნელი სარგებლის მიღების თეორიაში და მოსალოდნელი სარგებლის მიღების სუბიექტურ თეორიაში, ასევე არსებობს აღწერითი ხასიათის თეორიები, ისეთი, როგორიცაა პერსპექტივების თეორია და კუმულაციური პერსპექტივების თეორია, ასევე სხვადასხვა განზოგადებული მოსალოდნელი სარგებლიანობის თეორია. გადაწყვეტილების ანალიზი წარმოადგენს გამოყენებითი გადაწყვეტილების თეორიას. ის მოიცავს შეხედულებებისა და ფასეულობების მოდელებს, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდს. შეხედულებები მოდელირებულია როგორც მოვლენების ალბათობა ან ალბათობის განუსაზღვრელ რაოდენობაზე გადანაწილება.



სქემა 1
შეხედულებებისა და ღირებულებების მოდელზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მეცნიერულ ცოდნასთან დამაკავშირებელი ჩარჩო

ეს მოდელები შესაძლოა გამოვიყენოთ მეცნიერებასთან ყოველგვარი კავშირის გარეშეც, გადაწყვეტილების მიმღების შეხედულებებისა და ფასეულობების გამოყენებით. თუმცა, ბაიესის სტატისტიკოსები და ანალიტიკოსები ირწმუნებიან, რომ შეხედულებების განახლება ხდება ინფორმაციით და ამ ექსპერტების აზრი გასათვალისწინებელია, როდესაც შეხედულებებზე ვსაუბრობთ. ამგვარად, მეცნიერულმა ცოდნამ არსებულ მეცნიერულ ფაქტებზე ან ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობით შესაძლოა გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიმღების შეხედულებებზე **(იხილეთ სქემა 1).**

მეცნიერულ ცოდნასა და ფასეულობებს შორის კავშირი ნაკლებად მნიშვნელოვანია. მრავალი ავტორი აღნიშნავს, რომ შეხედულებები უფრო მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღებისას, ვიდრე ფასეულობები.

სხვადასხვა მოდელები აერთიანებს მონაცემებს, რომლებიც მოიცავს ხარჯთსარგებლიანობის ანალიზს და მრავალი ატრიბუტის მქონე მოგების ანალიზს. ეკონომისტებმა შეისწავლეს როგორც ფართოდ გაყიდვადი, ასევე ნაკლებადგაგაყიდვადი საქონლის ღირებულება დანახარჯისა და მოგების ანალიზის კონტექსტში. მაგალითად, უფრო მაღალი ხელფასი უფრო სარისკო სამსახურისთვის ასახავს რისკის გაღების ღირებულებას. მონაცემები მიღებულია იმ კვლევების შედეგად, სადაც საზოგადოების წევრებს სთხოვენ გამოხატონ მზაობა გადაიხადონ თანხა გარკვეულ საქონელსა თუ მომსახურებაში. ეს კვლევები იძლევიან სამეცნიერო მითითებებს თუ როგორი თანამიმდევრობით დავალაგოთ გადაწყვეტილებების შედეგები. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სტატისტიკური სიცოცხლის დაკარგვის თავიდან აცილება, რომელიც შეფასებულია დაახლოებით 6-7 მილიონ დოლარად. გადაწყვეტილების მიღების ანალიტიკოსებმა შეიმუშავეს ანალოგიური პროცედურები უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებთა და დაინტერესებულ პირთაგან ღირებულებების გამოსავლენად.

ჩვენი ცოდნა მოსალოდნელი შედეგების შესახებ შეიძლება

დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: სრული ცოდნა მიმდინარე საწარმოო-ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების შესახებ, ალბათობა მოსალოდნელი შედეგებისა და გაურკვევლობა შედეგების ხასიათისა და რაოდენობის შესახებ. სრული ცოდნა იძლევა იმის საშუალებას, რომ ზუსტად განვსაზღვროთ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარება. ეკონომიკაში, განსაკუთრებით ზოგიერთ დარგში (მაგალითად, სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში) სრული ცოდნა პრაქტიკულად გამორიცხულია. ადამიანს რომ შეეძლოს მომავალი განვითარების სრული განჭვრეტა, არსებითად გამარტივდებოდა ინვესტიციისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდიკა.

რისკი დაფუძნებულია ალბათობის თეორიაზე. არსებობს რისკისა და მოლოდინის გაანგარიშების საკმაოდ ვრცელი თეორია და იგი ცალკე განხილვის საგანია, რაშიც ფართოდ გამოიყენება მათემატიკურ-კიბერნეტიკული ტექნიკა და ტექნოლოგია. ჩვენ აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ ზოგადი პრაქტიკული და მეთოდოლოგიური ხასიათის მიმოხილვით.

მომავალი სამეურნეო-ეკონომიკური სიტუაცია შეიძლება განვჭვრიტოთ სანდოობის განსაზღვრული ხარისხით. თუ, მაგალითად, მოვლენა მეორდება 10 თეორიული შესაძლებლობიდან 9-ჯერ, ამბობენ, რომ დადებითი შედეგის ალბათობა 90%-ს შეადგენს. ამგვარად, შეიძლება გავიანგარიშოთ ბიზნესთან და საწარმოო - ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალი მოვლენა და ამით მივუახლოვდეთ მოსალოდნელი შედეგის სიზუსტეს. რაც შეეხება მრავალ გაუთვალისწინებელ ფაქტორსა და მოვლენას, მათზე აგებული გადაწყვეტილება ხშირად ეფუძნება ინტუიციასა და სუბიექტურ შეფასებებს.

შედეგების გაურკვევლობაზე საუბრობენ იმ შემთხვევაში, როდესაც მმართველობითი გადაწყვეტილების დამუშავებისა და მიღების დროს შეუძლებელია ემპირიულად (ცდით მიღებული ცოდნა) გავიანგარიშოთ ეკონომიკური ფაქტორებისა და მათი პარამეტრების გავლენა საბოლოო შედეგებზე. ასეთ შემთხვევაში (განსაკუთრებით, როდესაც გადაწყვეტილების მიღება დროში

განსაზღვრულია) მენეჯერი იძულებულია, გადაწყვეტილება მიიღოს სუბიექტურად, განჭვრიტოს მომავალი სიტუაცია არასაკმარის მონაცემებზე დაყრდნობით.

ალბათობისა და გაურკვევლობის ხარისხის გაანგარიშებანი დაფუძნებულია ალბათობის თეორიაზე. ალბათობა არის აპრიორული (ცდით დამოწმებული) და სტატისტიკური. საწარმოო-ეკონომიკურ საქმიანობაში შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა ერთნაირი ხდომილების მქონე შედეგი. ასეთ შემთხვევაში განსაზღვრული სიტუაციის (მოვლენის) მქონე ხდომილება (განხორციელება) გაიანგარიშება თანაფარდობით:

$$p = \frac{m}{n}$$

სადაც n - ალბათობაა, n - დადებითი შედეგების (ანუ მოცემული მოვლენის ხდომილების) რიცხვია, ხოლო n - ცდის (ანუ შესაძლებელი ვარიანტების) რიცხვია. მომავალი შედეგების შესახებ შეიძლება უფრო სრული შედეგები მივიღოთ შემდეგი ტოლობის გამოყენებით:

$$Q = \frac{a + 4b + c}{6}$$

სადაც b - არის მომავალი შედეგების ოპტიმისტური შეფასება, b - საშუალო შეფასება, c – პესიმისტური შეფასება, Q – შედეგი.

ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს რისკის ფაქტორის გათვალისწინებას. მოქმედება სამეურნეო რისკის პირობებში დამოკიდებულია მმართველობით ხელოვნებაზე, მენეჯერის უნარზე — გაბედულად შეარჩიოს ყველაზე ხელსაყრელი ალტერნატივა, სრულად გამოიყენოს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება და ინტუიცია. მოვლენები, რომელსაც მენეჯერი აწყდება თავის საქმიანობაში, შეიძლება მისგან უმართავიც იყოს და მოულოდნელიც. ინფორმაციული გაურკვევლობის პირობებში მას ერთგვარი რისკის გაწევაც უნდა შეეძლოს. რისკის მიზეზი შეიძლება იყოს ბაზარზე

ფასების მოულოდნელი ზრდა ან შემცირება, სახელმწიფოს მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტების შემოღება, რომელიც ცვლის საწარმოს პოლიტიკას, სტიქიური მოვლენები, სოციალური ძვრები და ა.შ. საწარმოო რისკი ნიშნავს არასასურველ მოსალოდნელობას ინფორმაციული გაურკვევლობის პირობებში. ეს ფაქტორი არსებითია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

გაურკვევლობა მოითხოვს წინდახედულობას რესურსების მოზიდვასა და გამოყენებაში, სესხების აღებისას. მაგალითად, თუ კრედიტორები თვლიან, რომ სესხის გაცემა დაკავშირებულია რისკთან, მათ შეუძლიათ, შეამცირონ კრედიტის ოდენობა, გაზარდონ განაკვეთის პროცენტი, გაზარდონ საგარანტიო მოთხოვნები, ან შეამცირონ სესხის დაფარვის ვადები. და მაინც, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა მიზანმიმართული დანერგვა სამეურნეო რისკის მოქმედებას სულ უფრო მართვადს ხდის.

მაგრამ, სანამ არსებობს რისკის ფაქტორი, მისი მოქმედების მექანიზმი, იგი მუდმივი შესწავლის საგანი უნდა იყოს. არსებობს რისკის შემდეგი სახეები:

1. საწარმოო რისკი. იგი განპირობებულია წარმოების პირობების შეცვლით, როდესაც იცვლება კლიმატური პირობები, სამუშაო ძალაზე, მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილება, ტექნიკის გამოყენების ვადები, პროდუქციის ხარისხი და ა.შ.

2. საბაზრო რისკი. რისკის ეს სახე გამოწვეულია პროდუქციასა და წარმოების ფაქტორებზე ფასების მოულოდნელი ცვლილებით. ფასების მუდმივი ცვლილება მოქმედებს საქონლის მოთხოვნა-გასაღების მდგომარეობაზე.

3. ფინანსური რისკი. იგი დაკავშირებულია წარმოების აქტივების ფინანსურ უზრუნველყოფასთან. სასესხო კაპიტალის ზრდა, ფულადი სახსრების გაუთვალისწინებელი მოძრაობა ქმნის ვალების დროული დაფარვის საფრთხეს.

4. შეუთავსებლობის, ანუ დაძველების რისკი. მოსალოდნელია ისეთი სიტუაციის შექმნა, როცა წარმოების ტრადიციული

ხერხები და მეთოდები ახლად დანერგილი ტექნოლოგიისადმი შეუსაბამონი არიან.

5. უბედური შემთხვევის გამო ზარალის რისკი. აქ იგულისხმება მოსალოდნელი ზარალი ხანძრის, სტიქიურ უბედურებათა, გაქურდვის, ავარიების და ა.შ. შემთხვევებში, რომლებიც რისკის გაწევის საკმაოდ გავრცელებული მიზეზებია.

6. იურიდიული რისკი. მენეჯერის საქმიანობაში ერთ-ერთი ფაქტორია საკანონმდებლო ნორმებისა და სამთავრობო პროგრამების მოულოდნელი ცვლილება.

7. რისკის სუბიექტური ფაქტორი. იგი წარმოიშობა ადამიანის ხასიათის, ქცევის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ამის მაგალითია საჭირო შემსრულებლის დაკარგვა ყველაზე საპასუხისმგებლო და დაძაბული შრომის პერიოდში, საქმიანი პარტნიორის მხრიდან პირის გატეხვა, ავადმყოფობა, შემსრულებლის ინტერესების შეცვლა სხვადასხვა მიზეზის გამო.

ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ ხშირად სამეურნეო ხელმძღვანელი სათანადოდ ვერ აფასებს ან საერთოდ უგულებელყოფს რისკის როლს. ასეთ შემთხვევაში შედეგი შეიძლება საკმაოდ მძიმე იყოს.

თუ მოვლენის ეფექტი და ალბათობა უმნიშვნელოა, შეიძლება იგი უგულებელვყოთ და პირიქით – კარგად უნდა იქნეს შესწავლილი და შეფასებული მნიშვნელოვანი მოვლენები. მაგრამ, როგორ მოვიქცეთ თუ მოვლენა უმნიშვნელოა, ხოლო მისი ალბათობა მაღალი, ან მისი გავლენა საწარმოო შედეგებზე დიდია, მაგრამ ალბათობა - დაბალი. აი აქაა საჭირო სწორედ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება შესაბამისი პროგრამების გათვალისწინების საფუძველზე, სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტთა სამსახურის გამოყენება.

ძალზე არსებითია მენეჯერის დამოკიდებულება რისკის მიმართ, ვინაიდან მმართველობითი გადაწყვეტილება, რა რანგისაც არ უნდა იყოს, ყოველთვის შეიცავს რისკის ელემენტებს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ მენეჯერი რომელ ალტერნატივას აძლევს პრიორიტეტს. ყოველ ხელმძღვანელს თავისებური

მიდგომა და სარისკო სიტუაციაში განსხვავებული მოქმედება ახასიათებს. თითოეული მათგანის სარისკო პირობები დამოკიდებულია საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მიზნებსა და პოტენციალურ შემოსავლებზე. რაც უფრო ძლიერია საწარმო, ან საერთოდ მენეჯერის ობიექტი, მით უფრო თამამად მიდის იგი რისკზე. აქ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მის ხასიათს — ოპტიმისტია ის თუ პესიმისტი, შეუძლია თუ არა რისკის გაწევა. მართვაში ადამიანთა ერთი ჯგუფიც აღწევს ხოლმე წარმატებას და მეორეც, მაგრამ ოპტიმისტები უფრო თამამად ემხრობიან და აიტაცებენ ყოველივე პროგრესულს. რისკს თავს არიდებს უფრო კონსერვატიული ხასიათის მენეჯერი. მას ურჩევნია თავისი კაპიტალი დააბანდოს სანდო, საიმედო საქმეში და უარს ამბობს ძალზე სათუო მოგებაზე. ამიტომ იგი წინასწარ დებს ხელშეკრულებებს, ჰქმნის სადაზღვევო გარანტიებს მოულოდნელი დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, თანახმაა საშუალო, მაგრამ გარანტირებული მოგების მიღებაზე.

მოქმედების ხასიათის მიხედვით, საწინააღმდეგო პოლუსზე დგას რისკიანი ბიზნესმენი, ადამიანი, რომელიც მზადაა წავიდეს რისკზე მოგების თუნდაც სულ უმნიშვნელო ზრდის მიღების მიზნით.

ამ უკიდურესობასთან ერთად არსებობს რისკის პირობებში მოქმედების მესამე გზაც — რისკის კონტროლის (მართვის) შესაძლებლობის გამოყენება. განვიხილოთ ეს შესაძლებლობანი.

ბიზნესის გარე ეკონომიკური პირობებისადმი შესაბამისობა ნიშნავს საწარმოს უნარს მოახდინოს შესაბამისი ცვლილებები და კორექტირებები გარე სიტუაციისა და არასასურველ ცვლილებათა უარყოფითი ეკონომიკური შედეგების შემცირების მიზნით. ასეთი ღონისძიებების გატარება, როგორც წესი, დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ გაწეული დანახარჯები უნდა შევაფასოთ მათი ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით. საწარმოო შემგუებლობის ერთ-ერთი მაგალითია საწარმოს ტექნიკისა და მოწყობილობათა მრავალმიზნობრივი გამოყენების შესაძლებლობათა გათვალისწინება. რისკის შესამცირებლად შეიძლება გამოვიყენოთ წარმოების დივერსიფიკაციაც, რაც ნიშნავს შეთანწყობილი დარგების სახეობათა გაფართოებას. დივერსიფიკაცია იძლევა მეტ შედეგს საწარმოო რისკის შესამცირებლად მაშინ, როდესაც ისეთ დარგებს შევათანწყობთ ერთმანეთთან, რომლებიც სხვადასხვანაირად რეაგირებენ საბაზრო კონიუნქტურასა და განსხვავებული რესურსების მოზიდვის შესაძლებლობაზე. როდესაც სხვადასხვა სახის საქონელს ფასების ცვლილებების ურთიერთსაწინააღმდეგო დინამიკა ახასიათებს, ანუ როდესაც ერთ-ერთის ფასი ეცემა, გამოწვეული დანაკარგების კომპენსირება ხდება სხვა სახის საქონელზე ფასების მომატებით.

ინფორმაციის უზრუნველყოფა. დიდი ოდენობით სანდო ინფორმაცია არსებითად ამცირებს რისკს. ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროებია:

1. საწარმოო შედეგების სისტემატიური რეგისტრაცია;
2. საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების შესახებ ჩანაწერები;
3. გასული პერიოდის ფასების დიაგრამები, ფასთა ტენდენციების განსაზღვრისათვის;
4. ბაზრის განვითარების პერსპექტივის შეფასებანი;
5. მიმდინარე ფინანსური ანგარიშები ფაქტიური და გეგმიური დანახარჯების შედარებისა და კონტროლისათვის;
6. სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ინფორმაცია;
7. ტექნოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის ნორმატივები და წესები.

ზოგიერთ შემთხვევაში სამეცნიერო ჯგუფებმა შესაძლოა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მისცენ რჩევები. სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად შეიქმნა ეროვნული კვლევის საბჭო (The National Research Council), რომელიც ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქმნის დირექტორთა საბჭოებს, კომიტეტებს და ჯგუფებს. მეცნიერების საკომუნიკაციო ჩართულობის კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს საზოგადოების მონაწილეობით პროცესების, ასევე დაინტერესებულ პირთა ჯგუფების და სპეციალური საკომუნიკაციო მასალების განვითარების შექმნა.

ლიტერატურა:

1. Effective Management Decision Making by Ian Pownall 2011
2. Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitorsby Michael E. Porter1980
3. The 7 Habits of Highly Effective People: Powerful Lessons in Personal Changeby Stephen R. Covey 2010
4. http://content.time.com/time/specials/packages/article/0,28-804,2086680_2086683_2087656,00.html
5. hbswk.hbs.edu/topics/leadership.html
6. www.forbes.com/management

DECISION-MAKING THEORY AND PRACTICE OF MODERN MANAGEMENT

EVGENI BARATASHVILI
Doctor of economic science, professor of GTU
IRMA MAKHARASHVILI
Doctoral student of Caucasus international University
MANANA MARIDASHVILI
Doctoral student of Business Administration,
Senior Teacher of GTU

Resume

The Scientific knowledge has a great role in any decision-making theory, which is based on attitudes and values. The issue of how to connect the scientific knowledge of the beliefs and values and how to make decisions in this way is still important.

Thus, it is possible to connect effectively the science of decision-making as a personal choice, as well as public decisions. Science can and should occupy an important role in the lives of all the major decision-making.

მოტივაციის თანამედროვე თეორიები და მათი შედარებითი დახასიათება

თამარ ვანიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

ნებისმიერი მენეჯერის მთავარი მიზანია ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ მისმა ორგანიზაციამ შეძლოს მაღალკონკურენტულ გარემოში საკუთარი მისიის შესრულება. ცვლილებებია ის ერთადერთი მუდმივი მახასიათებელი, რომელიც ასეთ გარემოს გამოარჩევს. ცვლილებები ბადებს ახალ-ახალ გამოწვევებს, უბიძგებს ადამიანებს სრულყოფისკენ, შეზღუდვების და ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გადალახვისაკენ. ცვლილებებია იმის მიზეზი, რომ დღეს როგორც ორგანიზაციების, ისე ცალკეული პირების ეკონომიკური წინსვლა შეუძლებელია უწყვეტი განვითარების და სწავლის გარეშე.

ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობის მთავარი ფაქტორი ადამიანებია, რომლის გათვალისწინება მოითხოვს არა მარტო მეცნიერულ მიდგომას, არამედ მისი გამოყენების ხელოვნებას კონკრეტულ სიტუაციებში. თითოეულ მუშაკს ახასიათებს ქცევის განსაკუთრებული მანერა, გააჩნია ფასეულობებისა და შრომისადმი მოტივაციის თავისი სისტემა.

მოტივაციაზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ორგანიზაციების ეფექტიანი მუშაობა. შეიძლება ორგანიზაციას ქონდეს საუკეთესო სტრუქტურა, მაგრამ არ იყოს ეფექტიანი იმ ის გამო, რომ ხელმძღვანელობას არ შეუძლია მუშაკთა შრომის წარმართვა დასახული მიზნისაკენ. მაშასადამე, ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს მუშაობის კოორდინაცია, უნდა უბიძგოს ადამიანებს იმუშაონ სათანადო დონეზე. ასე, რომ, მენეჯერი არის პრაქტიკაში მოტივაციის პრინციპების გამტარებელი.

მოტივაცია საქმიანობისკენ საკუთარი თავისა და სხვა პირების სტიმულირების პროცესია პირადი ან ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად [1].

როგორც განმარტებიდან ჩანს, მოტივაცია მიზნის მისაღწევად მომუშავეთა სტიმულირების პროცესია-შინაგანი პროცესია, იგი ყველა ადამიანში ინდივიდუალური სახით ვლინდება. ადამიანები, რომლებიც მიზნის მისაღწევად მაღალი მოტივაციით გამოირჩევიან, უმეტესწილად შეუპოვრები და შრომისმოყვარენი არიან.

მოტივაცია პირდაპირ კავშირშია, საქმიანობიდან მიღებულ შედეგებთან. თანამედროვეობაში ის თამაშობს გადამწყვეტ როლს, ძველად ეს ასე არ იყო. ის დრო, როდესაც დამქირავებელი უბრძანებდა მომუშავეს, წავიდა. ეხლა მომუშავეები მეტად მომთხოვნები არიან. მათ უნდათ, რომ იცოდნენ თუ რა ხდება ორგანიზაციაში, სურთ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ა.შ.

მთლიანობაში, შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა, რომ საქმიანობიდან მიღებული შედეგები მჭიდრო კავშირშია მოტივაციასთან. მომუშავეები საკმარისი მოტივაციით - არიან პროდუქტიული ადამიანები, რომლებსაც უნდათ და შეუძლიათ კიდეც გააკეთონ ის, რაც მათ სჭირდებათ, ისე, რომ ამოცანებიც შესრულდეს და შედეგებიც გაუმჯობესდეს. შეუქმნა მომუშავეს მოტივაციის პირობა ნიშნავს: ,,გააკეთო ისე, რომ მათ თავისი საქმე ყოველთვის შეასრულონ დიდი სიამოვნებით.'' ფაქტები, რომლებიც ნეგატიურ განწყობას ქმნიან უნდა იყოს რაც შეიძლება ცოტა, ხოლო ფაქტები რომლებიც პოზიტიურ განწყობას ქმნიან - მეტი. ეფექტური მოტივაცია არ არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ადამიანი შენთვის სულ ერთია.

ადამიანებზე გამიზნული ზემოქმედების აუცილებლობა ცნობილი იყო გაცილებით ადრე, ვიდრე სიტყვა ,,მოტივაცია'' გაჩნდებოდა მენეჯმენტის ლექსიკაში. ადამიანებზე გავლენის მოსახდენად ყველაზე პირველად გამოიყენეს ,,მათრახისა'' და ,,თაფლაკვერის'' პოლიტიკა. მეფეები ადამიანებზე ან მახვილს აღმართავდნენ, ან ჯილდოს გადასცემდნენ მათ.

მოტივირება ადამიანის იმ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული შინაგანი მდგომარეობაა, რომლებიც სტიმულს აძლევენ

მის მოქმედებებს და დასახული მიზნების მისაღწევად წარმართავენ [2].

მოტივაციის თანამედროვე თეორიები. ანალიზისათვის განვიხილოთ რამდენიმე მოტივაციური თეორია და კულტურებს შორის მათი გადაცემის შესაძლებლობები. **მიზნის დასახვისა და მოლოდინის თეორიები** ხაზს უსვამს მიზნის მიღწევასა და რაციონალურ და ინდივიდუალურ მოსაზრებებს-ამერიკული კულტურისათვის დამახასიათებელ თვისებებს.

მასლოუს საჭიროებათა იერარქიის თეორია ამტკიცებს, რომ ადამიანები ფიზიოლოგიური დონიდან იწყებენ და თანდათან შემდეგი თანმიმდევრობით გადადიან იერარქიაზე: ფიზიოლოგიური, უსაფრთხოება, სოციალური, პატივისცემა და თვითრეალიზაცია. ეს იერარქია ამერიკული კულტურის შესატყვისია. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, საბერძნეთი, მექსიკა (სადაც ძლიერია გაურკვევლობის თავიდან აცილების ნიშან-თვისებები), უსაფრთხოების საჭიროება იერარქიის სათავეში მოექცეოდა. ქვეყნებში, რომლებსაც მაღალი ქულა აქვთ მასაზრდოებელ ნიშან-თვისებებში, როგორიცაა დანია, შვედეთი, ნორვეგია, ნიდერლანდები და ფინეთი, იერარქიის სათავეში სოციალური საჭიროება მოექცეოდა [3]. მაგალითად, ჩვენ შეიძლებოდა გვეფიქრა, როცა ქვეყნის კულტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასაზრდოებელ კრიტერიუმს, დაქირავებულებს უფრო გუნდური სამუშაო მისცემოდა.

სამართლიანობის თეორიამ შედარებით ძლიერი მხარდაჭერა მოიპოვა შეერთებულ შტატებში. ეს არ არის გასაკვირი, რადგან აშშ-სთვის დამახასიათებელი ჯილდოთა სისტემა ეყრდნობა ვარაუდს, რომ მშრომელები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჯილდოების სამართლიან განაწილებას. შეერთებულ შტატებში სამართლიანობა ნიშნავს ანაზღაურების მჭიდრო კავშირს სამუშაოს შესრულებასთან. ამისგან განსხვავებით, ფაქტების თანახმად, კოლექტიურ კულტურებში, განსაკუთრებით აღმოსვლეთი და ცენტრალური ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, დაქირავებულები ფიქრობენ, რომ მა

თი ინდივიდუალური საჭიროება და მათ მიერ შესრულებული სამუშაო ჯილდოებში უნდა აისახოს [3]. უფრო მეტიც, კომუნიზმის მემკვიდრეობასა და ცენტრალიზებულ ეკონომიკასთან შესაბამისად, დაქირავებულები ავლენენ ქცევას, თითქოს რაღაც ეკუთვნით, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ელიან, სამუშაოს შედეგი უფრო მეტი იქნება, ვიდრე მათ მიერ ჩადებული რესურსები [3]. ამ მიგნებების მტკიცებით, დაქირავებულების მიერ სამართლიანად რომ იქნეს აღქმული, აშშ-სთვის დამახასიათებელი ანაზღაურების პრაქტიკას შეიძლება მოდერნიზება დასჭირდეს, განსაკუთრებით რუსეთსა და ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კულტურათაშორისი შესაბამისობა, მაგალითად საინტერესო სამსახურის სურვილი თითქმის ყველა მშრომელისათვის მნიშვნელოვანია, მათი კულტურული კუთვნილების მიუხედავად. შვიდ ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბელგიის ბრიტანეთის, ისრაელისა და შეერთებული შტატების მუშებმა თერთმეტ მიზანს შორის ,,საინტერესო სამუშაოს'' პირველი ნომერი მიაკუთვნეს. ეს ფაქტორი მეორე ადგილზე დააყენეს იაპონიაში, ნიდერლანდებსა და გერმანიაში [3]. ასევე, ერთ-ერთ კვლევაში, სადაც შედარებულია, თუ რა სამსახურს ანიჭებენ უპირატესობას შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიასა და სინგაპურში, განვითარება, მიღწევა და პასუხისმგებლობა პირველ სამ ადგილზე დგას და ერთნაირი რეიტინგი აქვთ [3]. ორივე ეს კვლევა ორ-ფაქტორიან თეორიაში შინაგანი ფაქტორების მნიშვნელობის უნივერსალობას ვარაუდობს.

განსხვავება ორგანიზაციულ და ეროვნულ კულტურასშორის: IRIC პროექტი.სიტყვა ,,კულტურის'' გამოყენება, როგორც ერების, ისე ორგანიზაციების კონტექსტში, იმაზე მიანიშნებს, რომ კულტურის ეს ორის სახე იდენტური ფენომენებია. თუმცა ერი არ არის ორგანიზაცია და კულტურის ეს ორი სახე სხვადასხვა ბუნებისაა.

განსხვავება **ეროვნულ** და **ორგანიზაციულ კულტურას** შორის დაფუძნებულია ღირებულებებისა და პრაქტიკების განსხვავებულ ნაზავზე.

ეროვნული კულტურა წარმოადგენს ერთგვარი მენტალური პროგრამის ნაწილს, რომელსაც ვიძენთ ჩვენი ცხოვრების პირველი ათი წლის განმავლობაში ოჯახში, საცხოვრებელ გარემოცვაში, სკოლაში. ის ჩვენი საბაზისო ღირებულებების უდიდეს ნაწილს მოიცავს.

ორგანიზაციულ (ანუ კორპორაციულ) კულტურას ვიძენთ მაშინ, როდესაც შევდივართ ორგანიზაციაში, როგორც უკვე მყარად ჩამოყალიბებული ღირებულებების მქონე ახალგაზრდა, ან არც თუ ისე ახალგაზრდა, ზრდასრული. ორგანიზაციის კულტურა მეტწილად შედგება ორგანიზაციის პრაქტიკებისაგან [4],რასაც ჩვენ ვუწოდებთ ჩვევებს, შეიძლება ასევე დაერქვას ჩვეულებები, წეს-ჩვეულებები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, წესები, როგორც კულტურის ნაწილი, ისინი გამოყო ბრიტანელმა ანთროპოლოგმა **ედუარდ ტეილორმა** ,,კულტურა ის კომპლექსური მთელია, რომელიც მოიცავს ცოდნას, რწმენას, ხელოვნებას, მორალს, სამართალს, ჩვეულებებსა და ნებისმიერ სხვა უნარსა და ჩვევებს, რაც ადამიანმა, როგორც საზოგადოების წევრმა, აითვისა თავისი არსებობის განმავლობაში'' [4].

ორიენტირებული კვლევები გამუდმებით ავლენენ სხვადასხვა ერებს შორის ამ მიმართულებით არსებულ შთამბეჭდავ განსხვავებებს.

1985 წლიდან 1987 წლამდე ინტერკულტურული თანამშრომლობის კვლევის ინსტიტუტმა (IRIC) ჩაატარა **კვლევა,** ამ კვლევას **გირტ ჰოფსტედე** ხელმძღვანელობდა. კვლევამ მოდელად გამოიყენა **IBM -ის ეროვნებათაშორისი კვლევა.** პარადოქსულია, მაგრამ ამ უკანასკნელს არ მიუცია პირდაპირი ინფორმაცია IBM-ის კორპორაციული კულტურის შესახებ, რადგან ყველა შესწავლილი განყოფილება ერთი კორპორაციიდან იყო და შედარებისთვის გარე ფაქტორები არ არსებობდა. როგორც ეროვნებათშორისი კვლევის დამატება, IRIC - ის კვლევა ორგანიზაციათაშორისი იყო: ნაცვლად იმისა, რომ ერთი კორპორაცია მოეცვა რამდენიმე ქვეყანაში, ის შეეხო რამდენიმე სხვადსხვა

ორგანიზაციას ორ ქვეყანაში, კერძოდ, დანიასა და ჰოლანდიაში [4].

IRIC -ის კვლევამ გამოავლინა, რომ ჩვევებთან შედარებით ღირებულებების როლი და მნიშვნელობა ორგანიზაციულ დონეზე, აბსოლიტურად საპირისპიროა მათი როლისა - ეროვნულ დონეზე. სხვადასხვა ორგანიზაციაში მომუშავე ყველა სხვა პარამეტრით მსგავსი ადამიანების შედარებამ აჩვენა საკმაოდ დიდი განსხვავება მათ ჩვევებს შორის, მაგრამ გაცილებით ნაკლები განსხვავება ღირებულებების თვალსაზრისით.

ორგანიზაციები თავიანთი ოპერაციების კოორდინაციასა და კონტროლს ახორციელებენ მსოფლიოს მასშტაბით მსგავსი პრაქტიკების დანერგვით. ეს პრაქტიკები შთაგონებულია ეროვნული წარმომავლობით (იქნება ეს აშშ, იაპონია, გერმანია, ჰოლანდია თუ სხვა), მაგრამ სხვადასხვა ეროვნების თანამშრომლებს მათი დასწავლა და ათვისება შეუძლიათ.

თუ ორგანიზაციის წევრთა ღირებულებები, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია რაიმე სხვა კრიტერიუმით და არა ორგანიზაციის წევრობით, მაშინ ამ ღირებულებების ორგანიზაციაში მოხვედრა ხდება შერჩევა-დაქირავების მეშვეობით: კომპანია ქირაობს განსაზღვრული ეროვნების, სქესის, ასაკის, თუ განათლების ადამიანებს. ორგანიზაციაში მათი შემდგომი სოციალიზაცია წარმოადგენს პრაქტიკების, ტრადიციების (კერძოდ, სიმბოლოების, გმირებისა და რიტუალების) დასწავლის საკითხს.

ჰოლანდიელმა მკვლევრებმა, **ჯ. სოეტერსმა** და **ჰ. შრედერმა** ერთმანეთს შეადარეს ადგილობრივი და უცხოური ფირმების თანამშრომლების ღირებულებები და დადგინეს, რომ მათ შორის განსხვავებას განაპირობებს მათივე არჩევანი და არა მუშაობის დაწყების შემდეგ ჰოლანდიაში არსებულ ღირებულებებთან სოციალიზაცია.

ადამიანური რესურსების დეპარტამენტები, რომლებიც ახორციელებენ დასაქირავებელი ადამიანების წინასწარ შერჩევას, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორგანიზაციული ღირებულებების შენარჩუნების პროცესში (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მიმართულებით).

ამრიგად,სამუშაოს შედეგიანობის და სრულყოფილების აუცილებელი ფაქტორია მოტივაცია. მოტივაციის ცნება ძირითადად საწარმოს დემოკრატიულობასთან ასოცირდება. როგორც ადრეული, ისე თანამედროვე თეორიების განხილვამ გვაჩვენა - ძნელია ადამიანს გაუღვიძო მონდომება, მთლიანად დაუთმოს ენერგია თავის საქმიანობას. მოტივაციის ამაღლების მთავარი ხაზია ფსიქოლოგიის კონცეფციების უფრო სიღრმისეული შესწავლა, რომელიც მიღებულია XX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან. ცხოვრება არ დგას ერთ ადგილას, ამიტომ იცვლება სტიმულირების სხვადასხვა მეთოდების ზემოქმედებაც. ის მეთოდები, რომლებიც აღიარებული იყო საუკუნის პირველ ნახევარში, ასახავდნენ იმ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მათ თანდათანობით დაკარგეს ძალა. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან მატერიალურ კეთილდღეობაზე, ამას მივყავართ სწორედ მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირების ცვლილებასთან - მათ საქმიანობაში.

თუ შევხედავთ მოტივაციის სისტემას ფსიქოლოგიური კუთხით, მაშინ ძალიან გაძნელდება იმის დადგენა, თუ რა უბიძგებს ადამიანს შრომისკენ. თუ გავეკეთებთ ორი თეორიის **(შინაარსობრივი და პროცესუალური)** ანალიზს, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, მივალთ შემდეგ დასკვნამდე:

შინაარსობრივი თეორია - ადამიანთა შესაძლებლობების შესწავლაზეა დაფუძნებული, რომლებიც მათი ქცევის ძირითად მოტივებად უძღვება მათსავე საქმიანობას.

პროცესუალური თეორიები - ასუფთავებს იმ პროცესებს, რომლებიც მიდის ადამიანის შიგნით. ამ თეორიებში განხილულია მომუშავეთა ძალისხმევის განაწილება და ისეთი არჩევანის გაკეთება, რომელიც სჭირდებათ მათ კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

ყველა თანამედროვე მენეჯერი ვალდებულია მომუშავეებს შე-

სასრულებლად ისეთი მიზანი დაუსახოს, რომელიც მათ მისცემს პოზიტიურ ფსიქოლოგიურ ეფექტს. ასეთი მიდგომით, რა თქმა უნ და, უფრო თანამედროვე თეორიები ხასიათდება. თანამედროვე მიდგომა კი ძირითადად გვთავაზობს შემდეგს: გავაცნოთ მომუშავეებს თავისი ვალდებულებები და დავეხმაროთ მათ- გაცნობიერებაში, შევარჩიოთ მათთვის საუკეთესო დაჯილდოვების სახე, გეგმის და ქმედების განხორციელების საუკეთესო გზა, ვიზრუნოთ მომუშავეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

ძირითადად მმართველობითი ღერძი, **მომუშავეთა ინტერესების ზემოქმედებაზე** და **მოტივაციაზეა** დამოკიდებული, რათა მივიღოთ საუკეთესო შედეგი საქმიანობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., ,,უნივერსალი''. 2008. -101 გვ.

2. გვენცაძე ნ., ადამიანური რესურსების მართვა. თბ., სტუ. 2008. -გვ.22-23.

3. რობინსი ს. პ., ჯაჯი ტ. ა., ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2009. -109 გვ.

4. ჰოფსტედე გ., ჰოფსტედე გ. ი., კულტურები და ორგანიზაციები. თბ., ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტი. 2011.

СОВРЕМЕННЫЕ ТЕОРИИ МОТИВАЦИИ И ИХ СРАВНИТЕЛЬНЫЕ ХАРАКТЕРИСТИКИ

Тамар Ванишвили

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены современные теории мотивации, их эффективность в практических работах и зависимость органов управления, необходимость разработки мотивационных систем на производстве, разница между организационными и национальными культурами, проект IRIC.

ბიზნეს-ანგელოზები და ვენჩურული კაპიტალი - მცირე ბიზნესში კერძო კაპიტალის ინვესტირების მნიშვნელოვანი წყარო

ნათია შენგელია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,
სტუ პროფესორი, სსუ ასოცირებული პროფესორი

რევაზ შენგელია
ედ, სტუ პროფესორი, ჟურნალ
"ეკონომიკის" მთ. რედაქტორი

ჟუჟუნა წიკლაური
ედ, სტუ პროფესორი

მცირე ბიზნესი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკის დასაყრდნია. მისი განვითარება ქმნის დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ხელს უწყობს ადამიანების შემოქმედებითი უნარის გამოვლენას, განვითარებას და ბიზნესის გამრავალფეროვნებას.

სულ სხვა მდგომარეობაა საქართველოში. აქ მინიმალური რაოდენობით ხორციელდება მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები, ფირმები განიცდიან ფინანსური რესურსების ნაკლებობას და დაბალია მათი მენეჯმენტის კვალიფიკაციის დონე. შედეგად, მცირე ბიზნესის წილი კერძო სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 19%-ს შეადგენს. ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება პრობლემის შესწავლა და იმ გზების გამოვლენა, რითაც შესაძლებელი გახდება მცირე ბიზნესში ინვესტიციების მოზიდვა,განსაკუთრებით მასში კერძო კაპიტალის ინვესტირება. მცირე ბიზნესში, განსაკუთრებით განვითარების საწყის სტადიაში კერძო კაპიტალის ინვესტირების ყველაზე ცნობილი და მნიშვ-

ნელოვანი წყარო კი ვენჩურული კაპიტალი და ე.წ. „ბიზნეს-ანგელოზებია“.

გარდამავალი, ტრანსფორმირებადი ქვეყნების სურვილი შეიძლება იყოს სისხლხორცეული დაინტერესება მხოლოდ და მხოლოდ სტრატეგიული ინვესტორებით. მაგრამ ადვილია იმის მიხვედრა, რომ ეს სურვილი რეალური არ არის. საქმე იმაშია, რომ ინვესტორის ოპტიმალური ტიპი კომპანიისთვის განისაზღვრება მისი **განვითარების სტადიის** მიხედვით. ბიზნესის განვითარების სტადიის განსაზღვრისას ინვესტორები ითვალისწინებენ შემდეგ კრიტერიუმებს: ბაზარზე სტრატეგიული პოზიცია, მწარმოებლურობის (ერთ მუშაკზე გამომუშავება), ეფექტიანობის და კვალიფიკაციის დონე, საკვანძო ბიზნეს პროცესების და სისტემების, ასევე მათი მასშტაბურობის, კორპორაციული ურთიერთდამოკიდებულების შესაძლებლობათა ეფექტიანობა.

მეცნიერთათვის ბიზნესის განვითარების სტადიის დადგენის დროს საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების პერსპექტივების განსაზღვრისას ინვესტორმა, ჩვენი აზრით, ასევე შეიძლება გაითვალისწინოს ისეთი ობიექტური, რეალური გარემოება, როგორიცაა მოცემული საინვესტიციო რეგიონის სივრცეზე არსებული ტრადიციული ფაქტორები. ეს ფაქტორები დიდ დაღს ასვამენ ინვესტირების პროცესის მსვლელობას და ამ სივრცეში ეკონომიკური რეფორმების შედეგებს. საქმე იმაშია, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, კაპიტალური მშენებლობა, დაბანდებები, ინვესტიციები მიეკუთვნებოდა ეკონომიკის ყველაზე პრობლემურ სფეროს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას ეს გარემოება არ იქნა მხედველობაში მიღებული. ამიტომ, გამომდინარე აქედან, არ იქნებოდა სამართლიანი საინვესტიციო აქტიურობის შემაფერხებელი ფაქტორთა უმრავლესობა რეფორმების დროს დაშვებული შეცდომებისადმი მიგვეკუთვნებინა. მაგალითად, მონაცემები ადასტურებენ, რომ საქართველოში ინვესტიციების მოცულობა ყველაზე ნაკლებად კლებულობს უფრო მეტად იმ რეგიონებში, რომლებშიც რეფორმამდელ პერიოდში ინვესტირების შედარებით ნორმალური მდგომარეობა იყო

და, პირიქით, დაბალი ინვესტიციური აქტიურობა აღინიშნება იმ საინვესტიციო სივრცეში, სადაც ტრადიციულად ნაკლები ინვესტიციები წარიმართებოდა.

ბიზნესის განვითარების ადრეული სტადიებს აფინანსებენ უპირატესად სარისკო კაპიტალის მატარებლები, ხოლო უფრო მომწიფებულ სტადიებს ინსტიტუციონალური და *სტრატეგიული* ინვესტორები. თუკი ტრანსფორმირებადი, განსაკუთრებით პოსტსაბჭოური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მდგომარეობიდან ამოვალთ, აუცილებელია, ბოლოსდაბოლოს ვაღიაროთ: მიუხედავად ქვეყნის ბევრ საწარმოთა ხანდაზმულობისა, უმრავლესობა მათგან ჯერ კიდევ ბიზნესის განვითარების **ადრეულ სტადიაზე** იმყოფება. შესაბამისად, ისინი, ავტომატურად ხვდებიან სარისკო, „ვენჩურული“ კაპიტალის[1] ზონაში, რომელთა მატარებლად გამოდიან პირდაპირი ფინანსური ინვესტორები. შედარებისთვის: მარტო ბოსტონში მოქმედებს 800—მდე ვენჩურული ფონდი, მაშინ როდესაც რუსეთში რეალურად მუშაობს არა უმეტეს სამი—ხუთისა. აშშ—ში უკანასკნელ წლებში ვენჩურული ინვესტირების წლიური მოცულობა საშუალოდ 50 მლრდ. დოლარის დონეზეა, ევროპაში კი 10 მლრდ.-ს არ აღემატე-

1 „ვენჩურული“ კაპიტალის ინვესტირება ხდება მაღალი რისკის დონიან საქმეებში (საერთო საბაზროსთან შედარებით) და მისი წარმატებით რეალიზაციის შემთხვევაში ამ კაპიტალს მისი მფლობელისათვის მოაქვს უფრო მაღალი მოგება. გრძელვადიანი ხასიათისა და თავდაპირველად უკუგების არარსებობის გამო, აგრეთვე იმ რისკით, რომ ეს ინვესტიციები შეიძლება საერთოდ უშედეგო აღმოჩნდეს , ამიტომ ბანკებს არ შეუძლიათ სარისკო პროექტების მასშტაბური დაფინანსება და ისინი „ვენჩურულმა“ კომპანიებმა ჩაანაცვლეს. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს დიდ ცოდნას, დიდ ფულსა და დიდ გარჯას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“ და თავისი მომგებიანობითა და რისკიანობით არ ჩამორჩება ნავთობით, იარაღებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობას (გ. ცაავა. ვენჩურული ბიზნესი როგორც ინოვაციების დაფინანსების საშუალება. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, № 5, 2010, გვ. 76. საერთოდ,ვენჩურული კაპიტალისტების მიზანია კომპანიის წილის შესყიდვის გზით ინვესტიციების განხორციელება მასში და მას შემდეგ, რაც კომპანია გაფართოვდება და განვითარდება, საკუთარი წილის გაყიდვა მომგებიან ფასად (იხ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“,№ 1, 2013, გვ.102.)

ბა. საქართველოში ბიზნესის ეს სახეობა ჯერ-ჯერობით ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან არ გვაქვს ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე ფინანსური ინფრასტრუქტურა.

ვენჩურული ბიზნესის მთავარი პირობაა, განვითარებული საფონდო ბაზარი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვენჩურული კაპიტალის მუშაობის მთავარი პრინციპი.[1] არა და საქართველოში, როგორც ადამიანისეული კაპიტალით მდიდარ ქვეყანაში, ჩვენი აზრით, დაუშვებელია, უფრო მეტიც, დანაშაულიც კია, ვენჩურული ბიზნესის განვითარების საფუძვლები არ შეიქმნას. საქართველოს სჭირდება ისეთი ეროვნული საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც წაახალისებს კრეატიულ აზროვნებას, დიდი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მქონე კრეატიულ ცოდნას, კრეატიულ პროდუქტს და, მაშასადამე, განაპირობებს კრეატიული ბიზნესის მძლავრი ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებას, ამ მიმართულებით შესაბამისი ფინანსური წყაროების მოძიებას. ვფიქრობთ, ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ნებისმიერმა ქვეყანამ და მათ შორის საქართველომ საერთაშორისო ბაზარზე თავისი ღირსეული ადგილი სრორედ ამ სექტორში უნდა დაიმკვიდროს. ყოველივე ეს კი შეუძლებელი გახდება, თუკი არ შეწყდება ე.წ. „ტვინების გადინება“, ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების დაკარგვა.

ქვეყნის თუ რეგიონის საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად და შესაბამისად საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად ერთ—ერთ მთავარ მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ სარისკო დაფინანსების ინფრასტრუქტურის განვითარება. აუცილებლად უნდა წავახალისოთ ქვეყნის რეგიონებში ვენჩურული დაფინანსების ფონდების შექმნა, რომელთაც ექნებათ რეგიონული ხელისუფლების მხარდაჭერა; ეს უნდა იყოს ისეთი ფონდები, რომლებიც გარანტიას მისცემენ ინვესტორებს გამოისყიდონ აქციები განსაზღვრულ ფასად რამდენიმე წლის შემდეგ, იმ პირობით, რომ კომპანიები მიაღწევენ ეფექტიანობის განსაზღვრულ

1 იქვე, გვ. 77.

მაჩვენებლებს; რესტრუქტურიზაციის ფონდები, რომლებიც შეისყიდიან არაეფექტიანი კომპანიების ვალებს, დააფინანსებენ მათ რესტრუქტურიზაციას და მერე, გაყიდიან პაკეტებს სტრატეგიულ ინვესტორებზე. საქართველოში არის საამისო პირობები, რომ ჩამოყალიბდეს ინტელექტუალური საკუთრების სრულყოფილი ბაზარი, ამუშავდეს საფონდო ბაზარი, შეიქმნას ვენჩურული ფონდები, ბიზნეს—ინკუბატორები, ტექნოპარკები, რომლებიც ვენჩურული კომპანიების პროტოტიპები გახდებიან და უზრუნველყოფენ დასაქმებას.

ბიზნესის განვითარების ადრეული, განსაკუთრებით დაწყების სტადიების დაფინანსებაში, განსაკუთრებულ, საუკეთესო გარე წყაროს წარმოადგენენ „ბიზნეს-ანგელოზები“ (Business Angel - მდიდარი ადამიანი, რომელიც საკუთარი დანაზოგის ნაწილს ახლადშექმნილ, არალიკვიდურ ფორმაში აბანდებს კაპიტალს პერსპექტიულ საქმეში. ასეთი ადამიანები ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობენ, მაგალითად, წარმატებული კომერსანტები, სპეციალისტები, სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვან დანაზოგს). ეს არის კერძო ინვესტიციების ყველაზე ძველი, ხშირად გამოყენებადი და მნიშვნელოვანი არაფორმალური ბაზარი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სახელმწიფო საქმიანობის გლობალური მონიტორინგის ორგანიზაციის (CEM) გამოკვლევების თანახმად ქვეყნებში დამწყებ ფირმებში განხორციელებული ინვესტიციების 90% „ბიზნეს—ანგელოზებზე“ მოდის და ასეთი ინვესტიციების რაოდენობა რამდენჯერმე აჭარბებს ფორმალური ინვესტიციების (მაგალითად, ბანკების და ა.შ.) დაბანდებებს. აშშ-ში 500 000 „ანგელოზის“ მიერ დამწყებ საწარმოში ყოველწლიურად 45 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ხორციელდება. „ანგელოზების“ მიერ ფულის გაცემის პროცედურა გაცილებით მარტივია, ასევე სარგებლის განაკვეთი უფრო დაბალია, ვიდრე ბანკებში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში.

„ბიზნესანგელოზები“ კერძო ინვესტორებია, რომლებიც ახორციელებენ საკუთარი ფულის ინვესტირებას პერსპექტიულ ბიზნესში. „ბიზნესანგელოზები“ ძირითადად ახორციელებენ შე-

დარებით მცირე ინვესტიციებს, ვიდრე ვენჩურული კაპიტალია და ავსებენ იმ ფინანსურ ნაპრალს, რომელიც რჩება ვენჩურულიკაპიტალისტების ყურადღების მიღმა. ბიზნეს-ანგელოზები ინვესტირებას ახორციელებენ მცირე და განვითარების საწყის სტადიაზე მყოფ ფირმებში. ასეთ ინვესტორებს განსაკუთრებით იზიდავთ ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებული მცირე ზომის ფირმები. მათ ყოველთვის სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ კომპანიის მართვაში და აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. ინვესტირების განხორციელების შემდეგ „ბიზნესანგელოზები" ხდებიან ინვესტიციების მიმღები ფირმის მნიშვნელოვანი წილის მფლობელები. საქართველოში 2009 წლის მდგომარეობით, იმ ინვესტორების რიცხვი, რომლებიც საკუთარ თავს „ბიზნესანგელოზის"პოზიციაზე განიხილავენ, ძალზე მცირეა - დაახლოებით 50-60. თანხა, რომელსაც ქართველი „ბიზნესანგელოზები" პერსპექტიულ პროექტებში აბანდებენ, საშუალოდ 50 000 ლარს შეადგენს. მოგება კი, რომელსაც ისინი ინვესტიციებიდან ელოდებიან, საშუალოდ 30%.[1]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არაფორმალური კერძო კაპიტალის ორგანიზებული ბაზრის არსებობა ტრანსფორმირებადი ეკონომიკის, განსაკუთრებით პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მათ შორის, ჩვენი აზრით, საქართველოშიც, აუცილებელია ბიზნესის განვითარების, სამუშაო ადგილების შექმნის, სიღარიბის დაძლევის და მაშასადამე, ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ვფიქრობთ, ამ მიმართულებითაც საქართველომ უნდა დაიმკვიდროს მოწინავე ადგილი მსოფლიო ბაზარზე.

1 http://www.commersant.ge/npopup.php?nid=8127

მსოფლიო ეკონომიკა

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად საქართველოს ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები

მაია ბენია
სტუ დოქტორანტი

ევროკავშირის დღევანდელი ურთიერთობა საქართველოსთან მიმდინარეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის – სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა – ფარგლებში. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს რეფორმის პროცესს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მათი ევროკავშირთან პოლიტიკური კავშირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარების მიზნით. პარტნიორობის საფუძველი საერთაშორისო კანონმდებლობის პრინციპებისა და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის, დემოკრატიისა და სამართლის ნორმების პრინციპების დაცვა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემაა, ასევე, საბაზრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და კარგი მმართველობა.

ევროკავშირს აქვს ე.წ. სტაბილიზაციის და ასოცირების შეთანხმებები მაკედონიასთან, ალბანეთთან, მონტენეგროსთან, ბოსნია და ჰერცეგოვინასთან, გაფორმებულია ევრო–ხმელთაშუაზღვისპირეთის შეთანხმებები ტუნისთან, ისრაელთან, მაროკოსთან, პალესტინასთან, იორდანიასთან, ეგვიპტესთან, ალჟირთან და ა.შ. ეს შეთანხმებები ევროკავშირის ამ ქვეყნებთან ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველია.

2013 წლის 29 ნოემბერს ვილნიუსის სამიტზე მოხდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების

პარაფირება. ასოცირების შესახებ შეთანხმების მიზანი აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების ევროკავშირთან მეტად დაახლოებაა. მოლდავეთსა და საქართველოს დამატებითი სირთულე შეუქმნა შესაფერისი ფორმულირების მოძებნამ საიმისოდ, რომ ხელშეკრულების ამოქმედება სეპარატისტულ რეგიონებშიც ყოფილიყო გათვალისწინებული - მოლდავეთის შემთხვევაში დნესტრისპირეთში, საქართველოს შემთხვევაში კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ასოცირების ხელშეკრულების სავაჭრო კომპონენტი სამივე სეპარატისტულ რეგიონს შეიძლება შეეხოს იმ პირობით, თუ ადგილობრივი კომპანიები ევროპული სტანდარტების თანახმად იმუშავებენ.

რაც შეეხება ასოცირების ხელშეკრულების მიმართებას ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივასთან, პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ აღმოსავლელი პარტნიორებისთვის შეთავაზებული ასოცირების ხელშეკრულებები არ მოიცავს ევროკავშირის წევრობისკენ გზას, თუმცა ამას არც გამორიცხავს. ამდენად, ხელშეკრულების ეს ვარიანტი არ არის ისეთი მიმზიდველი, როგორიც თავის დროზე იყო დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის შეთავაზებული ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებდა ევროკავშირის წევრობისკენ გზას. თუმცა შეთანხმება, რომელსაც აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს სთავაზობენ, მოიცავს ბევრად მეტს, ვიდრე, მაგალითად, ტუნისისა და მაროკოსთვის შეთავაზებული დოკუმენტები, რომლებიც გამორიცხავდა საბოლოო გაწევრიანების პერსპექტივას. პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, რუსეთის მხრიდან მზარდი ზეწოლის ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის როლი საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობისათვის.

2013 წლის 22 ივლისს დასრულდა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე, რომელიც ,თავის მხრივ, ასოცირების შეთანხმების ნაწილია. ამ შეთანხმებით, მისი ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველო მიიღებს შესაძლებლობას

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში მოახდინოს როგორც საქონლის, ასევე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მომსახურებების ექსპორტი ევროკავშირში. საქართველო ვალდებულებას იღებს, დანერგოს ევროკავშირის კანონმდებლობის ის ელემენტები, რომლებიც ეხება ვაჭრობას, მომხმარებლის დაცვას და გარემოსდაცვით რეგულაციებს. ქვეყნებს, რომლებიც ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმებას მოაწერენ ხელს, ათი წლის განმავლობაში ევროკავშირის 350-მდე კანონის მიღება ან ჰარმონიზაცია მოუწევთ.

ამასთან, ამ შეთანხმების ხელმომწერ ქვეყნებს გზა გაეხსნებათ ევროკავშირის 500 მილიონი მომხმარებლისა და ბაზრისკენ, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 12.9 ტრილიონ ევროს უტოლდება.

გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან საშუალოდ 2.8 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს და მას მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 27% უკავია. ყოველწლიური ექსპორტი 400 მლნ. აშშ დოლარს აღემატება და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 15-16% შეადგენს. საშუალოდ ყოველწლიურად იმპორტი 2.4 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება და მთლიანი იმპორტის 29-31% უკავია.

საქართველოს ძირითად საექსპორტო ჯგუფებს ევროკავშირის ქვეყნებში შეადგენს: ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ხილისა და ბოსტნეულის წვენები, უალკოჰოლო სასმელები, თხილი და კაკალი, ცხოველური ტყავები, მინერალური სასუქები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, შავი ლითონის და სპილენძის ჯართი და ნარჩენები, მანგანუმის ოქსიდები.ამიტომაც, წვდომა ევროკავშირის, მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს და მდიდარ ბაზარზე არის მძლავრი იმპულსი ქართული ბიზნესისა და ექსპორტის განვითარებისათვის. ეს შეთანხმება ასევე მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს მიმზიდველობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის.

დამოუკიდებელი კვლევების მიხედვით ღრმა და თავისუფალი

სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შედეგად საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი 12%–ით, ხოლო იმპორტი 7.5%–ით გაიზრდება. მოსალოდნელია მშპ–ს ზრდა 4.3% –ით. ბუნებრივია, ეს გრძელვადიანი პროცესია და ბევრ სფეროში რეფორმების განხორციელებას მოითხოვს.

შეთანხმების ეკონომიკურ ნაწილში საუბარია იმაზე, რომ ევროკავშირმა და საქართველომ ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, თავიანთი ეკონომიკების დადებითი მხარეების უკეთ გათვითცნობიერებით და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დანერგვით. „საქართველომ უნდა იბრძოლოს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად და თანდათანობით დაუახლოვოს მისი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის სტანდარტებს.

მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ რეგულარულ ეკონომიკურ დიალოგს, რომელიც მიმართული იქნება მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის გაცვლისკენ, რაც მოიცავს როგორც სტრუქტურულ რეფორმებს, ასევე ეკონომიკურ განვითარებას. მნიშვნელოვანია გამოცდილებისა და პრაქტიკის გაცვლა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფინანსები, მონეტარული და სავალუტო პოლიტიკა.

აუცილებელია ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება რეგიონული ინტეგრაციის მიმართულებით, ორმხრივი თანამშრომლობის განხილვა ეკონომიკის, ფინანსურ და სტატისტიკურ სფეროებში. რაც შეეხება ფინანსურ მხარდაჭერას, ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ საქართველოს შეუძლია ისარგებლოს ევროკავშირის შესაბამისი დაფინანსების მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით. საქართველოს ასევე შეუძლია სარგებელი მიიღოს ევროპის საინვესტიციო ბანკისგან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან და სხვა საერთასორისო ფინანსური ორგანიზაციებისგან. ფინანსური მხარდაჭერა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იმ მიზნების მიღწევაში, რასაც შეთანხმება ითვალისწინებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების ხელშეკრულებას ექსპერტთა ნაწილი უარყოფით ჭრილში განიხილავს, თუმცა ევროკომისარმა შტეფან ფულემ უსაფუძვლო უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება გამოიწვევს საქართველოს ბაზარზე ევროკავშირიდან ჭარბი იმპორტის შემოდინებას. მისი განცხადებით, შიშები, რომ ასოცირების ხელშეკრულება გაანადგურებს ქართული ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებს, უსაფუძვლოა, პირიქით, ქართულ ეკონომიკას საშუალება მიეცემა ევროკავშირს დაეწიოს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და სარგებელი ნახოს მსოფლიოს ყველაზე დიდ ბაზარზე გასვლით. ამასთანავე, ქართული კანონები, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსვლის შემდეგ, მცირე და საშუალო მწარმოებლებს ევროპის დიდ ბაზარზე კონკურენციის გაწევაში დაეხმარება. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, აგრეთვე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ხელს შეუწყობს ქვეყნის, საზოგადოებისა და ეკონომიკის მოდერნიზებას, გააძლიერებს კანონის უზენაესობას და მოახდენს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდირებას,მოიზიდავს ინვესტიციებს, შექმნის სამუშაო ადგილებს და მისი ზრდის სტიმულირებას მოახდენს. მშპ, ვაჭრობის მოცულობა და რეალური ხელფასები გაიზრდება. მომხმარებლისთვის ის ცხოვრების დონეს გააუმჯობესებს, შექმნის საქონლის მრავალფეროვნებას, კონკურენტუნარიან ფასებსა და უკეთეს ხარისხს, ასევე ჯანდაცვის მაღალ სტანდარტებსა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას ეკონომიკის, ბიზნესისა და დასაქმებულთათვის.

რეფორმები საქართველოს მიამსგავსებს ევორკავშირის წევრ ქვეყნებს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ის ქართულ საზოგადოებაში მოიტანს ევროპულ მთავარ ფასეულობებს - ურთიერთპატივისცემას, ტოლერანტობას და კანონის უზენაესობას.დაამკვიდრებს პროგნოზირებულობასა და თანმიმდევრობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არა მარტო წესებსა და რეგულაციებში, რომელიც მართავს ეკონომიკურ აქტივობას. ეს არის საქართველოს მომავლისთვის ინვესტირება.

მილოცვა

გამოჩენილი მეცნიერი - იუბილარი

რევაზ შენგელია
სტუ პროფესორი, ჟურნალ „ეკონომიკის“
მთ. რედაქტორი

გიორგი შუბლაძე
თსუ პროფესორი

გიორგი მალაშხია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი, სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრი საქართველოში და საზღვარგარეთ – უკვე 50 წელია ემსახურება ეკონომიკურ მეცნიერებასა და უმაღლესი კვალიფკაციის სპეციალისტთა მომზადების საქმეს. იგი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა საქრთველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ეკონომიკის, სოციალური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევთ ინსტიტუტში, ფინანსების სამეცნიერო-კლევით ინსტიტუტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რამდენიმე სხვა უმაღლეს სასწავლბელში.

გიორგი მალაშხია არის 250-ზე მეტი მეცნიერული და მეცნიერულ-პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი, რომელებიც გამოქვეყნებულია საქართველოსა და საზღვარგარეთ ქართულ, ინგლისურ , რუსულ და სხვა ენებზე, მათ შორისაა 15 წიგნი. იგი ასევე არის რამდენიმე წიგნის თანაავტორი, მრავალი საერთაშორისო

მეცნიერული ფორუმის მონაწილე, საერთაშრისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების წევრი, მრავალჯერაა გამარჯვებული სამეცნიერო ნაშრომების კონკურსში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია რამდენიმე ათეული საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომი, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

გიორგი მალაშხიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნი–ერების განვითარებაში, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების მეცნიერულ კვლევაში. მისი ნაშრომები გამოყენებულია საქარ–თველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის საგნების შეწავლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომების მომზადებისას, ციტირებულია უცხოეთის სამეცნიერო ლიტერა–ტურაში. საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებათა მიერ გავრცელებულია მისი მრავალი ნაშრომის სრული ტექსტები. მისი ცალკეული იდეები, მაგალითად, ეკონომიკის ადამიანურობის პრობლემა, საერთაშორისო მასშტაბით მეცნიერული დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

გიორგი მალაშხია გამოირჩევა ეკონომიკური და სოციალური პრობლემებისადმი ფუნდამენტური, მასშტაბური, მრავალმხრივი მიდგომით, რის შედეგად მისი ნაშრომები ხასიათდება მოვლენებისა და პროცესების ღრმა წვდომით, ახლებური ხედვით. სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებაში განსაკუთრებული აღიარება ჰპოვა მისმა ფუნდამენტურმა მონოგრაფიამ: ,,მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია“ (თბილისი, 1995. მოკლე ტექსტი გავრცელებულია საზღვარგარეთ რუსულ ენაზე ინტერნეტის მეშვეობით), რომელიც საერთოდ წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკველვას ეკონომიკის მეტათეორიის ირგვლივ. ამ ნაშრომით საფუძველი დაედო მეცნიერებაში ეკონომიკური მეტათეორიის მიმართულებას, რომელზეც რამდენიმე წლის შემდეგ გაიშალა მუშაობა საზღვარგარეთაც (ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში და სხვა). ამ ნაშრომის იდეების შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას ემსახურება გიორგი მალშხიას სხვა

ცნობილი წიგნები: ,,ეკონომიკურ ფილოსოფიური ესეები (თბილისი . 2001); ,,ადამიანური ეკონომიკა (რუსულ ენაზე, სანკტ-პეტერბურგი – თბილისი, 2009); ,,მოგების მეტათორია - ახალი ხედვა" (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. 2007 , 2012); ,,ზომიერი ადამიანი " (ქართულ და ინგლისურ ენებზე, 2013); ,, სოციალური ენერგია " (2013); ,,უქმი ეკონომიკა (ქართულ და ინგლისურ ენებზე, 2014) და სხვა.

გიორგი მალაშხია , მეცნიერების უნივერსალურ და სპეციალურ მეთოდებთან ერთად, თავის კვლევებში იყენებს მის მიერ შემუშავებულ მიდგომებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მას მრავალმხრივი და სიღრმისეული ძიების საფუძველზე ახლებურად, ღრმა წვდომით წარმოადგინოს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების მოვლენები და პროცესები, გააკეთოს ფუნდამენტური შინაარსის თეორიული განზოგადებები, შემოიტანოს მეცნიერებაში ახალი თეორიული დებულებები, ორიგინალური შინაარსით წარმოდგინოს საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული კანონზომიერებანი, პერსპექტივა.

ეს მეთოდოლოგიური სიახლეებია: ჯერ ერთი, ანთროპოცენტრული მიდგომა ახალი გაგებით, რაშიც იგულისხმება საზოგადოების ცხოვრების მოვლენების კვლევა ადამიანის ბუნების, ძირეულ თვისებათა, ერთი მხრივ, და ინტერესების, მოთხოვნილებების (მიდრეკილებების) გათვალისწინებით, მეორე მხრივ; მეორე, აქსიომეტრიული (ფასეულობითი) და ევდემონისტური (ბედნიერების) თვალსა–ზრისით ცხოვრების მოვლენათა და საზრისის გაგება; მესამე, გენეტიკური – განვითარების წარსულში გავლილი გზის, ფილოგენეზისა და ონტოგენეზის ბიოლოგიურ კანონზომერებათა გამოყენება სოციუმის მოვლენათა კვლევაში. მის მიერ გამოყენებულია აგრეთვე სხვა სპეციალური მეთოდური სიახლეები, კერძოდ, ეკონომიკური პარამეტრების გათვლის, ანალიზის და განზოგადებისათვის და ა.შ.

აღნიშნული, მის მიერ შემუშავებული ახალი მიდგომების გამოყენებით და კვლევის უნივერსალური კლასიკური მეთოდების, ბიოლოგიური, ფსიქოლო–გიური, საბუნებისმეტყველო მეცნიერ-

ებათა მიღწევების მოშველიებით, ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვებით გიორგი მალაშხიას მიერ მიღებულ თეორიულ შედეგებს შორის, რომლებიც ამდიდრებს არსებულ მეცნიერულ ცოდნას ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ირგვლივ, ჩვენი აზრით, განსაკურებით აღსანიშნავია შემდეგი სიახლეები:

საზოგადოების ყოველგვარი სიკეთის, დოვლათის შექმნისა და ზრდის, ადამიანთა მიერ საქმიანობის პროცესში წმინდა ანუ დანახარჯებზე მეტი შედეგის (პროდუქტის) მიღების ახლებური, ღრმა ახსნა სოციალური ენერგიის, მისი მთლიანად თუ ნაწილობრივ მუქთი (უდანახარჯო) წყაროების კატეგორიათა გამოყენებით, ამის საფუძველზე პროგრესის ორიგინალური კონცეფციის ჩამოყალიბება; განვითარების დონის შენახვის, აგრეთვე სოციოგენეტიკური კანონების მიგნებით და დასაბუთებით ცხოვრებისა და ეკონომიკის დინამიკის თავისებურებათა და კანონზომიერების ახალი ასპექტით წარმოდგენა; საზოგადოების სიმდიდრის წყაროების (სოციალური ენერგიის) ფორმათა ცვლის – ბუნებრივიდან ეკონომიკურ დოვლათად და ბოლოს სოციალურ სიკეთედ ტრანსფორმაციის ორიგინალური კონცეპტის შემუშავება; ეკონომიკური დინამიკის არაციკლური რყევების თვალსაზრისის ჩამოყალიბება; რიგი საკვანძო ეკონომიკური პარამეტრის, მათ შორის ეკონომიკური ზრდის საზოგადოებრივი სიმდიდრის ცვლილების საფუძველზე განსაზღვრის ახლებური ინტერპრეტაცია; დოვლათის განაწილებისა და სოციალური სამართლიანობის, ამ პროცესის ზნეობრივ იმპერეტივებთან კავშირის კონცეფცია; რაციონალური მოხმარების, მოთხოვნილებათა დიფერენციაციის, დაკმაყოფილების გაგებაში ახალი ხედვების შემოტანა; ადამიანთა მიდრეკილებების ფორმირების, ხასიათისა და მისი მიზეზების, საზოგადოებრივ კეთილდღობაზე და ცხოვრებაზე ზეგავლენის საკითხების დამუშავება; სიხარბის დაძლევის, მოხმარების რაციონალურობის, საყოველთაო კეთილდღეობისთვის ზომიერების მნიშვნელობის და თეორიაში მისი ასახვის აუცილებლობის დასაბუთება; უქმი დოვლათისა და უქმი ეკონომიკის კონცეფციის, დოვლათის რაციონალური მოხმარების (სარგებლობის

სრულად გამოყენების) ფუნდამენტური პრინციპის დასაბუთება; მოთხოვნილებათა განსაზღ–ვრულობის და მომხმარებლის სუვერენიტეტის ახლებური პარადიგმის შემოთავაზება; ეკონომიკური სიმდიდრის ზრდისა და საყოველთაო კეთილდღეობის დაცილების მიზეზების ახსნა; კეთილდღეობის თეორიის ხარვეზების დაძლევისთვის ფუძემდებლური მეცნიერული დებულებების შემუშავება; ადამიანური ადამიანის, როგორც ეკონომიკური ადამიანის ისტორიული ანტიპოდისა და პერსპექტიული შემცვლელის, იდეის შემოტანა და დასაბუთბება. ახალი ჰუმანური და ჰარმონიული საზოგადოების თეორიული მოდელის შტრიხების ფორმირების მცდელობა და სხვა.

გიორგი მალაშხიას მეცნიერული ნაშრომების ლაიტმოტივია ეკონომიკური და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ჰუმანიზაცია, გავლილი ისტორიული გზისა და ცხოვრების მანკიერებათა დაძლევა, როგორც ნამდვილი ადამიანური ცხოვრების წესის დამკვიდრების გარანტი, ამ მიმართულებით არსებული შესაძლებლობებისა და მათი გამოყენების გზების ძიება. ისტორიულ სიმახინჯეთა დაძლევა, ეკონომიკისა და მთელი ცხოვრების ჰუმანიზაცია მისი მიერ განხი–ლულია, როგორც ცხოვრების პროგრესის კრიტერიუმი და პერსპექტივის უალტერნატივო გზა, რის გარეშე არსებობს რეგრესისა და კატასტროფის საფრთხე.

გიორგი მალაშხიას მეცნიერული ნააზრევი გადმოცემულია მკაცრი ლოგიკური მსჯელობებისა და ანლიზის, დასაბუთების საფუძველზე, ობიექტების სირთულის გათვალისწინებით, ნათლად და გასაგებად (თუმცა ვერ ვიტყვით ყველასათვის სათანადო ცოდნის გარეშე ეს სრულიად ადვილი იყოს). ამასთან, მათი გაცნობიდან ყველას შეუძლია დაიკმაყოფილოს გარკვეული შემეცნებითი მოთხოვნილება, მათში იპოვოს ახალი მნიშვნელოვანი აზრები, იდეები.

გიორგი მალაშხიას მოღვაწეობაზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ მომენტს, მან თავისი ნაფიქრალი, განცდები, განწყობა, მრავალ მხატვრულ ნაწარმოებში, უმთვრესად ლექსების სახით გადმოგვცა, რომელთაგან გარკვეული ნაწილი დაბეჭდილია სხვადახვა გამოცემაში. ისინი ეხება ცხოვრების რთულ მოვლენებს, მათ ფილოსოფიურ, მხატვრულ გააზრებას, ასევე ავტორის დამოკი–დებულებას ბუნებისადმი, სამშობლოსადმი, ადამიანებისადმი, ცხოვრებისადმი და სხვა. მის ასეთ ერთ ნაწარმოებს მკითხველს გავაცნობთ ქვემოთ.

გიორგი მალაშხია ამჯამადაც ჩვეული ენერგიით და დიდი გატაცებით მუშაობს ახალ მეცნიერულ გამოკვლებებზე დ მხატვრულ ნაწარმოებებზე. ახლო მომავალში მკითხველი მიიღებს მის წიგნებს: ,,სიმდიდრე. ვისი მონაგარია ის?“, ,,დამოუკიდებელი ადამიანი: საკუთრება, თავისუფლება, დემოკრატია.“ უფრო დაშორებული მომავლისთვის გეგმაშია სხვა საინტერესო თემებზე დაწერილი მეცნიერული ნაშრომებისა და მხატვრული ნაწარმოებების გამოცემა.

ვუსურვებთ მას თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას, შემოქმედებით წარმატებებს და იმას, რომ ჰქონდეს საამისოდ აუცილებელი ყველა პირობა!

ჭეშმარიტება

ჭეშმარიტების მივდევ ნათებას,
სანთლით დავეძებ, ფიქრებში ვხედავ,
როცა ვარსკვლავად აკიაფდება,
ვერევი მაშინ ტკივილს და სევდას.
კაცობრიობის გონის სიკეთე
იშვიათობით არის დიადი,
ცხოვრების გზებზე შუქს იგი გვინთებს,
ჩამოეცლება გულს ხვაშიადი.
რომ მივაკლვლიო, სამყაროს ვქექავ,
და ისტორიის ვაბრუნებ ტომებს,
დავანთებ ცეცხლს და ძლიერ დავჭექავ,
შევერკინები ცდომილთა ლომებს.
მინდა მივწვდე იქ, სადაც სადგურობს,

რაშიც ძლიერად არის ჩასული,
ავაბრიალებ აზრის ნათურებს
ჩვენი ლამაზი სიტყვით ქართულით.
ძნელია პოვნა, ვით ყველა განძის,
ვით დიდი სიღრმის, ძნელია წვდომა,
როგორაც ჩვენი დიდების ვაზი,
ითხოვს ის სპეტაკ გულსა და შრომას.
ნულარ დავეძებთ, ვერ ვპოვებთ მისხალს
იმას ტირანთა ავ კოჰორტაში,
მძლავრ არმიათა არ ახლავს რისხვას,
არაა იგი მლიქვნელთა ტაშში!
ვერ ნახავთ ჭერქვეშ თუნდაც მსოფლიოს
ყველაზე ცნობილ სრა–სასახლეთა,
ვერ ეუფლება, დაშნით რომ სდიოს
მხედრიონთ გუნდი მას მძლეთა მძლეთა!
ვერ იხელთებენ ძალით და შიშით,
არ ხურდავდება დოლარ–მარკებად,
არ იბადება ზოზინა ტვინში,
მრუდი ჭოპისნით არ შანდაკდება;
არც დიდრონ სკივრში დაუდევს ბინა,
სიმდიდრის ურიცხვ მთებს განერიდა,
ვერც ოქრო–ვერცხლი და ვერცა რკინა
ვერ უბნევს გზა –კვალს და რჩება წმინდად!
ვაგნებ მის ბრწყინვას დაღლილი თვალით
მაშვრალთა ოფლში, რომ არ დამშრალა;
ის მასთანაა, უშრეტი ძალის
სიმართლის დროშა ვინაც გაშალა!
ვპოულობ კიდევ ნაოჭში შუბლის,
ბრძენთარძენთ ფიქრთა სიღრმეში უხვად ,
აზრთ კორიფეთა კოცონში გულის,
ვინც დგას კაცთ მოდგმის რწმენის ბერმუხად!..
ჭეშმარიტება დედის რძეშია
და მამის კაცურ ღრმა საუბარში,
ჩვენი ცხოვრების დიდი ეშხია,
სულის ალია გონის ბუხარში!
მისი მარცვალი ჩვენი განძია ,
როგორც კრისტალი შუქით უცვლელი,
ჭეშმარიტია ჯიხა, ვარძია,
სიტყვა ილიას, აზრი რუსთველის...
ვიცხოვროთ უნდა ჭეშმარიტებით –
ბედნიერების გზაა ნათელი,
კაცობის ტვირთი ვატაროთ მხრებით,
აი, ასეთი მწამს მე ქართველი!

გიორგი მალაშხია

ინფორმაცია

პირველად - ეკონომიკის დოქტორის, ინჟინერ-გეოლოგის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტის ვაჟა კაკაბაძის ინიციატივით, თბილისის №166 საჯარო სკოლაში 2014 წლის 9 აპრილს, 12 საათზე მოეწყო კონფერენცია

კონფერენციის მიზანია: მონაწილეს (მოწაფეს) შესძინოს შემდეგი უნარ-ჩვევები:

აბსტრაქტული აზროვნების უნარი:	ეკონომიკა დაკავშირებულია ინტელექტუალური ცოდნის გამოყენების, განჭვრეტის და ინტუიციის დიდ უნართან, რაც კონფერენციაში მონაწილეს შესძენს: ეკონომიკური საქმიანობის წარმოსახვით უნარს, ეს კი გამოუმუშავებს ისეთ ღირებულებებს როგორიცაა: უპირველეს ყოვლისა: უმაღლეს სასწავლებლებში მსგავს კონფერენციებში მონაწილეობის ცოდნას, ასევე: 1. ჭეშმარიტი ღირებულებების განსაზღვრის უნარს; 2. თეორიის პრაქტიკაში დანერგვის ხედვის უნარს; 3. მოკლე დროში და ინფორმაციის საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარს; 4. სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარს.
ზოგადი კომპეტენციები, სახელდობრ:	➢ ორგინალური იდეების გენერირებისა (შემოქმედებითობა) და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; ➢ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს; ➢ საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარს; ➢ პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარს; ➢ საჭირო ინფორმაციის მოძიების, დამუშავების უნარს; ➢ კრიტიკული აზროვნების, თვითკრიტიკისა და თვითმენეჯმენტის უნარს; ➢ სამოქალაქო და პიროვნული ეთიკური შეგნების საფუძველზე ქცევის უნარს.
კონფერენციის თემატიკა:	1. ჩემი მომავალი ბიზნესი; 2. როგორ დავიწყო ბიზნესი; 3. რა არის საჭირო ბიზნესის განვითარებისათვის.

კონფერენციაზე თემები წარმოადგინეს: 166-ე საჯარო სკოლა - **ანი სისორდია**; 166-ე საჯარო სკოლა - **იოსებ ხარშილაძე**; 166-ე სკოლა - **თამარ ლაფაური**; 166-ე სკოლა - **მარიამ გორდულაძე**; 155-ე სკოლა - **სალომე კაკაბაძე;** 155-ე სკოლა - **ანა ბაკურაძე;** საქართველოს საპატრიარქო წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - **მარიამ პაპუნიძე**; 116-ე სკოლა - **ნინო გოჩიტაიშვილი;** 116-ე სკოლა **თინათინ კუჭუხიძე**; 169-ე სკოლა - **ბესიკ ხუჯაძე.**

კონფერენციას ესწრებოდნენ:

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი **ზოია ადამია;**

ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **დიმიტრი ჯაფარიძე;**

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალ „ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი **რევაზ შენგელია;**

“RMG ჯგუფია” ოფის მენეჯერი და სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტი **ნანა მაისურაძე;**

ახალგაზრდული ორგანიზაცია ,,სკაუტი”-ის წევრი და სასწავლო უნივერსიტეტი ,,გორგასალის” მაგისტრი **ნინო შადური;**

116, 169 და 155-ე სკოლის დირექტორები;

166-ე სკოლის დირექტორი **ირმა ომანაძე.**

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი **ვაჟა კაკაბაძე**

ჟურნალ „ეკონომიკის“
მთავარი რედაქტორი
რ. შენგელია

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 233-50-23, 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 233-50-23, 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 15.03.2014წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.03.2014წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,375